დანართი №2

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
სსიპ ქალაქ ქუთაისის N14 საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ირმა ხუციშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი)

წევრები:

1. თინათინ გიორგაძე -(ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
2. სოფიო მგალობლიშვილი- (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
3. ნინო როსტომაშვილი- (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
4. ანა ობოლაძე- (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი,, წევრი);
5. ნატო კვეტენაძე- (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
6. შაქრო ჟღენტი- (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
7. ლია ნეფარიძე- (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
8. ნატო ხაჭაპურიძე -(ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი)
9. ნანა გიორგობიანი - (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
10. ლელა კაკაშვილი-(საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ ქალაქ ქუთაისის 14 საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	212678556

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქალაქი ქუთაისი
იურიდიული მისამართი	ქ. ქუთაისი. გრ. ორბელიანის ქ. N3
ფაქტობრივი მისამართი	ქ. ქუთაისი. გრ. ორბელიანის ქ. N3
საფოსტო ინდექსი	4700
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	www.14school.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	Kutaisi14@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი დაწესებულების ხელმძღვანელის ტელეფონის ნომერი	+995295940 577277514

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	2023 წლის 15.06 N 692499 ბრძანების საფუძველზე
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2023 წლის 10 და 11 ივლისი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	დაწყებითი საფეხური	დაწყებითი	ქართული ენა	ქ. ქუთაისი. გრ. ორბელიანის ქ. N3
2	საბაზო საფეხური	საბაზო	ქართული ენა	ქ. ქუთაისი. გრ. ორბელიანის ქ. N3
3	საშუალო საფეხური	საშუალო	ქართული ენა	ქ. ქუთაისი. გრ. ორბელიანის ქ. N3

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულებით“ განსაზღვრული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტის შესრულების შემოწმების მიზნით განხორციელდა ვიზიტი ქ. ქუთაისის N14 საჯარო სკოლაში.

ვიზიტის დაწყებამდე გაიმართა ექსპერტების ჯგუფის სამუშაო შეხვედრები, შემუშავდა ვიზიტის დღის წესრიგი. წევრები გაეცნენ სკოლის თვითშეფასებას და თანდართულ დოკუმენტაციას, დაწესებულებას წარუდგინეს წარმოების ფარგლებში დამატებით გამოსათხოვი დოკუმენტაციის ნუსხა. ვიზიტმა ჩაიარა თანამშრომლობით, საქმიან და მშვიდ ვითარებაში, ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ავტორიზაციის ოთხივე სტანდარტის მოთხოვნების მიხედვით სკოლაში სასწავლო პროცესების მართვასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას, დაათვალიერეს ინფრასტრუქტურა.

ექსპერტები გაესაუბრნენ როგორც სკოლის დირექციის წარმომადგენლებს, ისე ადმინისტრაციულ პერსონალს, სკოლის საგნობრივი კათედრების პედაგოგებს. ვიზიტის დასრულებისას ექსპერტებმა მიაწოდეს ინფორმაცია სკოლის წარმომადგენლებს იმ მიგნებების შესახებ, რომელიც ვიზიტის დროს გამოიკვეთა.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტრიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

	☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

	☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება	**აღწერა**
		(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)
	☒	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

მოსწავლეთა რაოდენობა: 1500	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ შესაბამისად შეაფასა დაწყებითი, საბაზო და საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები.

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი 1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
		ხარვეზი არ დაფიქსირებულა
სტანდარტი 3		*ხარვეზი*
		ხარვეზი არ დაფიქსირებულა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

		ხარვეზი
სტანდარტი 4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	*ხარვეზი არ დაფიქსირებულა.*

სტანდარტი 2	სასკოლო კურიკულუმი (კურიკულუმის შემუშავება)	***ხარვეზი***
		ხარვეზი არ დაფიქსირებულა.

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგანსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი 1	**სკოლის ფილოსოფია**	***სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია***
ინდიკატორი		
სტანდარტი 3	*სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა*	
სტანდარტი 4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	***სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია***
ინდიკატორი		

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაილობივი შესაბამისობისა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

სტანდარტი 2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი		.....

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი 1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*
ინდიკატორი		.....
სტანდარტი 3	*ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება*	*რჩევა*
ინდიკატორი 3.4.1.1	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას*	*სკოლას მიეცა რჩევა საქართველოს შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სსიპ სახელმწიფო რეზერვების და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოს მიწერილობის MIR92302203246. (31.07.2023წ),შესაბამისად დროულად უზრუნველყოს განსახორციელებელი მოთხოვნების შესრულება.*
ინდიკატორი 3.4.1.1.	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის*	*სასურველია, სკოლას ჰყავდეს კანონმდებლობის შესაბამისი უსაფრთოების სერტიფიცირებული სპეციალისტი.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

	საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას	

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (კურიკულუმის შემუშავება)	რჩევა
ინდიკატორი N 2. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	*კურუკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს*	*სასურველია 2023-2024 სასწავლო წლის დაგეგმვისას კურიკულუმებში გათვალისწინებულ იქნას კვლევითი ექსპერიმენტული სამუშაოები და მათი შესრულებისთვის საჭირო რესურსები.*

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

ექსპერტთა ჯგუფმა სრულად გაიზიარა სკოლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. <u>**სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;**</u>

ექსპერტთა ვიზიტის დროს სკოლის მიერ იქნა წარმოდგენილი სკოლის ახალი მისია, ხედვა, ღირებულებები, რაც შესაბამისობაშია ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან.
სკოლის მისიაა შიდა და გარე ფაქტორების სისტემატიური ანალიზით, მოსწავლეთა საჭიროებაზე და შესაძლებლობაზე მორგებული საათობრივი ბადითა და უნიკალური შეფასების სისტემის დანერგვის გზით,სკოლა ხელს უწყობს ისეთი უნარების გამომუშავებას, რაც მოსწავლეს ეხმარება აქტუალური შესაძლებლობების მიღმა არსებული ამოცანების გადაჭრაში, სკოლა ხელს უწყობს ზრუნვის, სწავლისა და კვლევის ისეთი გარემოს შექმნას, სადაც მიღებული ცოდნა და ღირებულებები ეპოქის/დროის შესატყვისია.
სკოლის ხედვაა: მუდმივ განვითარებაზე ორიენტირებული სკოლა, 2030 წლისთვის იქნება იმერეთის რეგიონში გამორჩეული სკოლა ინტერნაციონალიზაციის კუთხით გამორჩეული, რომელიც ხელს შეუწყობს კონკურენტუნარიანი, თავისუფალი და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ტოლერანტი ადამიანის ჩამოყალიბებას. სკოლის ორგანიზაციული კულტურა, სწავლა-სწავლება, სამუშაო პრინციპები და მიდგომები ეფუძნება შემდეგი ღირებულებებს :

- სამართლიანობას
- გუნდურობა/თანამშრომლობას
- ზრუნვას,
- გამჭვირვალობას,
- სკოლისადმი ერთგულებას;

ამ ღირებულებებით წარმართული საქმიანობა მიმართულია მისიის რეალიზებასა და სტრატეგიული მიმართულებების ეფექტურ განხორციელებაზე. სკოლის მისიაში აქცენტი გაკეთებულია სკოლის როლზე, როგორც სათემო განვითარების ცენტრზე ,რაც მნიშვნელოვანია და დიდ როლს ასრულებს მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე და განსაზღვრავს სკოლის კონკრეტულ მიზანს. მისია კონკრეტულია და ასახავს სკოლის იდენტობას. ხედვა აღწერს სამომავლოდ, დროის გარკვეულ პერიოდში სკოლა თავისი საქმიანობით როგორ განვითარდება , რა გამოწვევებს დაძლევს და როგორ მიაღწევს წარმატებას. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია**.

2. **<u>სკოლა სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;</u>**

სკოლა თავისი მისიით, ხედვით და ღირებულებებით განსაზღვრავს საკუთარ როლს ,როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს. სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული განვითარების გეგმა გარკვეულწილად აირეკლავს ამ საკითხს, დოკუმენტში განსაზღვრულია როგორ გარემოში, როგორი ადამიანური და მატერიალური რესურსით შეძლებენ მისიით განსაზღვრული ღირებულებების მქონე პიროვნების აღზრდას. სკოლა ახდენს სოციო-კულტურულ ჭრილში არსებული ელემენტების ანალიზს. სკოლისთვის პრიორიტეტია მოსწავლეებს დაეხმარონ იპოვონ თავიანთი მიდრეკილებები და განავითარონ , რათა მომავალში საზოგადოებაში საკუთარი ადგილის დაიმკვიდრონ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

სკოლის მთავარი ფასეულობა მოსწავლე და მისი შესაძლებლობების მაქსიმალური გამოვლენაა. სკოლაში აქტიურად ხორციელდება ისეთი პროექტები, რაც ხელს უწყობს გრძელვადიანი მიზნების მიღწევას. უსაფრთხო გარემოს შექმნისა და შენარჩუნების მიზნით სკოლაში მოქმედებს შემდეგი მექანიზმები: გამართული ინფრასტრუქტურა(შენობას ჩაუტარდა სრული რეაბილიტაცია), მანდატურები, მრჩეველთა საბჭო,რომელიც აქტიურადაა ჩართული სკოლის ცხოვრებაში, ასევე შენობა აღჭურვილია ვიდეოსათვალთვალო კამერებით, შემოღებულია მასწავლებელთა მორიგეობა და ა. შ აქედან გამომდინარე, სკოლაში მაქსიმალურად დაცულია ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება.
აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი სტანდარტთან შესაბამისია.

3. <u>სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით</u>

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით; სკოლამ წარმოადგინა სამეურვეო საბჭოს სხდომის N5 ოქმი 04 ივლისი 2023წ , სადაც განიხილეს და დაამტკიცეს მისია, ხედვა , ღირებულებები. ოქმში აღნიშნულია, რომ სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების ჩამოყალიბების მიზნით შეიქმნა სტრატეგიული დაგეგმვის სამუშაო ჯგუფი. სასკოლო საზოგადოების აქტიური ჩართულობით დაიწყო მუშაობა აღნიშნულ საკითხზე. სამუშაო ჯგუფის მიერ გამოიკითხა ყველა მასწავლებელი, მშობლებსა და მოსწავლეებს გაეგზავნათ კითხვარები, ჩატარდა კვლევა, გაკეთდა ანალიზი, საიდანაც სამუშაო ჯგუფმა დაადგინა მიმართულებები, ასევე ისიც, თუ რას მიიჩნევდა დაინტერესებული საზოგადოება სკოლის ძლიერ მხარედ. ამის შემდეგ მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით განისაზღვრა ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან შესაბამისი მიმართულებები, რაზე დაყრდნობითაც სასკოლო საზოგადოების ჩართულობით შემუშავდა მისია, ხედვა, ღირებულებები. აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია**.

4. <u>სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;</u>

სკოლის მისიის და ხედვის სასკოლო საზოგადოების მხრიდან გაზიარების საკითხი მიღწეულია. სასკოლო საზოგადოების წევრები ყოველდღიურ სასკოლო პრაქტიკაში აცოცხლებენ მისიაში გაცხადებულ მიმართულებებს. ისინი თანხმდებიან , რომ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

თითოეულმა წევრმა უნდა იხელმძღვანელოს სკოლის მისიის და ხედვის განხორციელების მიზნით შემდეგი პრინციპებითა და მიდგომებით: ბავშვის სიყვარული, პროფესიონალიზმი, საქმის სიყვარული, კეთილსინდისიერება და ა. შ. აპირებენ დაგეგმონ ისეთი აქტივობები რაც ხელს შეუწყობს მისიის მეტად გაზიარებას. სკოლას შემუშავებული აქვს შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმისა და სკოლის კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომლითაც განსაზღვრული აქვს მისიისა და ხედვის სასკოლო საზოგადოებისთვის გაზიარება. სკოლას აქვს მზაობა მომავალშიც გაზიარებული იყოს მისია და ხედვა სასკოლო საზოგადოებისთვის.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტს.

5. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;**

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი; სასკოლო საზოგადოების ჩართულობით შემუშავებული წარმოდგენილი ახალი მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა გამოკრული სკოლის დერეფანში თვალსაჩინო ადგილას, ასევე განთავსებულია სკოლის ოფიციალურ ვებ გვერდზე. სკოლის ადმინისტრაციასთან ინტერვიუირების დროს აღინიშნა, რომ კლასის დამრიგებლები სასწავლო წლის დასაწყისში მშობლებთან შეხვედრებისას გააცნობენ სკოლის მისიას, ხედვასა და ღირებულებებს. აღნიშნული დოკუმენტების ნახვა შეუძლიათ სკოლის საქმიანობით დაინტერესებულ ნებისმიერ პირს. ინდიკატორი სტანდარტთან შესაბამისია.

6. **სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.**

სკოლის სახელწოდება სსიპ ქალაქ ქუთაისისN14 საჯარო სკოლა შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს. სკოლა ახორციელებს ზოგადი განათლების კანონის შესაბამისად სწავლებას სამივე საფეხურზე. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 13 სექტემბრის N448 ბრძანებით „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ ბრძანებით მინიჭებული აქვს საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსი.სკოლის სახელწოდებად განისაზღვრა: სსიპ ქალაქ ქუთაისის N14 საჯარო სკოლა. ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დირექტორის 2023 წლის 04ივლისის N2-148 ბრძანება .
- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია.
- 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- სკოლის ვებ,გვერდი;

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;

სკოლას აქვს შემუშავებული სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, რომელიც სკოლის დირექტორის 2023 წლის 04 ივლისის N 2-148 ბრძანებით არის დამტკიცებული. დოკუმენტის მიზანია, აღწეროს სსიპ ქალაქ ქუთაისის N14 საჯარო სკოლაში (შემდგომში - სკოლა) სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების, განხორციელებისა და შეფასების ზოგადი მიდგომები, სტრატეგიულ დაგეგმარებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულები, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების სტრუქტურა და ძირითადი მოთხოვნები, შესრულების მონიტორინგი, პროცედურის განხორციელების წესები. მეთოდოლოგიაში ყურადღება გამახვილებულია გუნდურობაზე და თანამონაწილეობაზე: გუნდური მუშაობა სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის ინიცირების ფაზაში ხდება სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფის ფორმირება, ჯგუფი პასუხისმგებელია სტრატეგიული გეგმის პროექტის შემუშავებაზე და პროცესში სკოლის საზოგადოების ჩართვაზე. შემდეგ ხდება სკოლის მისიის განაცხადის რევიზია და სამომავლო ხედვის ფორმირება , რაც გასაჯაროვდება და სკოლის საზოგადოებას შესაძლებლობა ექნებათ გამოთქვან მოსაზრებები. თანამონაწილეობა - სტრატეგიული დაგეგმვა განიხილება როგორც თანამონაწილეობითი პროცესი, რაც უზრუნველყოფს სკოლის პერსონალის, მოსწავლეების, მშობლებისა და სხვა დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობას; სტრატეგიული დაგეგმვისას და შეფასებისას სკოლა იყენებს ღია და საჯარო მიდგომებს, რომელიც აისახება შესაბამის წესებსა და პროცედურებში. სამართლიანობა - ნებისმიერი გადაწყვეტილება ეყრდნობა სამართლიან არგუმენტებს და გადაწყვეტილების მიღების ობიექტურ კრიტერიუმებს. დოკუმენტში მკაფიოდაა გამოხატული სტრატეგიული პრიორიტეტის მიღწევის მექანიზმები. **ინდიკატორი სტანდარტთან შესაბამისია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

2. **<u>სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;</u>**

სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი და დამტკიცებულია სკოლის სამეურვეო საბჭოს სხდომაზე.(ოქმიN5. 04.07. 2023წ), ის შეიცავს სკოლის მისიასთან თავსებად მიზნებს.გეგმის სტრუქტურა წარმოდგენილია შედეგი ძირითადი პუნქტებით; ინფორმაცია დაწესებულების შესახებ, (ფოკუსი პროგრესზე დაფუძნებიდან დოკუმენტის შექმნამდე რა გზა გაიარა ,მისია, ხედვა, ღირებულებები, აღწერა როგორ იქნა დოკუმენტი შემუშავებული SWOT ანალიზი , მასზე დაფუძნებული იდენტიფიცირებული სტრატეგიული პრიორიტეტები და მიზნები, მათი აღწერა და თითოეული მიზნისთვის შესაბამისი ამოცანების განსაზღვრა. დოკუმენტი უზიარებს დაინტერესებულ მხარეებს სკოლის ხედვას, მისიას, ღირებულებებს, მიზნებსა და ამოცანებს, მათი მიღწევის გზებს. ხელს უწყობს სტრუქტურული ერთეულების შეთანხმებულ და ეფექტიან მუშაობას, დადგენილ ვადებში სტრატეგიული მიზნების მიღწევას და საქმიანობის შეფასებას. სკოლის ინსტიტუციური მდგრადობა და მუშაობის ეფექტურობა, ადგილობრივი და საერთაშორისო გამოცდილების გამოყენება, სკოლის მიერ მიწოდებული სერვისების ხელმისაწვდომობა, ხარისხის უზრუნველყოფის ეფექტური მექანიზმები, სკოლის დამეგობრება სხვა ქვეყნების საგანმანათლებლო დაწესებულებებთან გამოცდილების გაზიარებისა და სწავლის ხარისხის ამაღლების მიზნით
სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული ეს მიზნები და შესაბამისი ამოცანები ხელს უწყობს სკოლის მისიის განხორციელებას.
<u>ინდიკატორი სტანდარტთან შესაბამისია.</u>

3. **<u>სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;</u>**

სკოლამ წარმოადგინა 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა გამომდინარეობს შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმიდან, მასში გათვალისწინებულია სტრატეგიულ გეგმაში წარმოდგენილი ხუთივე სტრატეგიული მიზანი, კერძოდ სკოლის ინსტიტუციური მდგრადობა და მუშაობის ეფექტურობა უზრუნველყოფილია არსებული რესურსებით, ორგანიზაციული მოწყობითა და მიმდინარე პროცესებით, ადგილობრივი და საერთაშორისო გამოცდილებით და ა. შ. სკოლას აქვს ყოველწლიური თვითშეფასება, რომელზე დაყრდნობითაც იქმნება ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. ასევე სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიაში გაწერილია სამოქმედო გეგმის სტრუქტურა და ძირითადი მოთხოვნები და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი/შეფასების ფაზა. წარმოდგენილ მტკიცებულებებში ასახულია კათედრის ოქმები, სადაც საუბარია, რომ საგნის მასწავლებლები აკეთებენ სასწავლო პროცესის ანალიზს. ასევე სკოლაში ფუნქციონირებს ხარისხის განვითარების ჯგუფი, რაც მიანიშნებს იმ ფაქტზე, რომ მიმდინარეობს სასწავლო პროცესის მონიტორინგი. ამგვარად, შეიძლება ითქვას,რომ ერთწლიანი სამოქმედო გეგმა ყოველწლიურ თვითშეფასებას ეფუძნება. ***ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.***

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.**

სკოლის მიერ წარმოდგენილ ერთწლიან 2023-2024წ. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, წარმოდგენილია შესრულების გაზომვადი ინდიკატორები. ხუთივე სტრატეგიული მიზნის შესაბამისად გაწერილია აქტივობების რეალისტური განხორციელების პერიოდი, შეფასების ინდიკატორები, რაც თვალსაჩინოს ხდის რამდენად შესრულდა კონკრეტული ამოცანა, ასევე გაწერილია შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები, ჩართული მხარეები, შეფასების წყარო ანუ, შეფასებისთვის საჭირო დოკუმენტები, ცნობები, ოქმები, ანგარიშები და შესრულებისთვის საჭირო შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი სტანდარტთან შესაბამისია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დირექტორის ბრძანება N2-148. 04.07.2023წ.სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ;
- 2023-2030 წლების შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- 2023-2024სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;

სკოლის მიერ შემუშავებულ სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში მკაფიოდ იკითხება მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები, კერძოდ დოკუმენტის 12 -ე მუხლში მოცემულია სტრატეგიული გეგმის შესრულების მონიტორინგი/შეფასების ფაზაზე განსახორციელებელი აქტივობები, რამდენად არის მიღწეული დაგეგმილი მიზნები და რამდენად ეფექტური იყო სკოლის სტრატეგია. შეფასების შედეგებიდან გამომდინარე , შესაძლოა მოხდეს სტრატეგიული მიზნების გადახედვა და სამოქმედო გეგმის ცვლილება. სტრატეგიული გეგმის შეფასება სკოლის, მისი რომელიმე ერთეულის თუ კონკრეტული თანამშრომლის მუშაობის ეფექტურობის შეფასების ერთ-ერთი ინსტრუმენტია. აღნიშნულიდან გამომდინარე, სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს. აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი სტანდარტთან შესაბამისია.**

2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლას აქვს მზაობა განახორციელოს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგი და შეფასება, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით; მონიტორინგი განხორციელდება სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული სტრატეგიის და სტრატეგიის დანერგვის სამოქმედო გეგმის შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესის შესაბამისად, შეფასება მოხდება ორჯერ , შუალედური და შემაჯამებელი შეფასების სახით. შუალედური შეფასება ჩატარდება ახალი სტრატეგიული ციკლის დაწყებიდან მესამე წელს,ხოლო შემაჯამებელი სტრატეგიული ციკლის ვადის გასვლამდე ექვსი თვით ადრე იწყება და მთავრდება დოკუმენტის ვადის ამოწურვამდე. სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი განხორციელდება პირველი სემესტრის ბოლოს ორი ანგარიშით- შუალედური და წლიური ანგარიში. სკოლის მიერ ამ ეტაპზე წარმოდგენილია დირექტორის ანგარიში სამეურვეო საბჭოს მიმართ, ასევე პედსაბჭოს ოქმი, სადაც განხილულია სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიში. სკოლაში ფუნქციონირებს ხარისხის განვითარების ჯგუფი, რომლის ერთ-ერთ ფუნქციას წარმოადგენს სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი სწავლა-სწავლების კუთხით, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მიმართულებით. სკოლის დირექციასთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა,რომ სკოლა ახორციელებს დაკვირვებას, ძირითადად კათედრების დონეზე, საგაკვეთილო პროცესსა და ცალკეული სეგმენტების საქმიანობაზე.

<u>აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი სტანდარტთან შესაბამისია.</u>

3. <u>სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;</u>

სკოლის მიერ წარმოდგენილი გასული წლის სამოქმედო გეგმის და მისი ანგარიშის საფუძველზე, სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით, სასკოლო საზოგადოების წევრებთან გასაუბრების გათვალისწინებით სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა. ამის პრაქტიკა სკოლას აქვს და ეს პრაქტიკა გათვალისწინებული იქნება სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგების საჯაროობის უზრუნველყოფისთვის. შედეგები გამოქვეყნდება საჯაროდ სკოლის ოფიციალურ ვებ გვერდზე, სკოლის სტრატეგიისა და სტრატეგიის დანერგვის სამოქმედო გეგმების შემუშავებისა , მონიტორინგისა და შეფასების წესში განსაზღვრული ვადების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

შესაბამისად. ასევე განთავსდება სკოლის დერეფანში საინფორმაციო დაფაზე საჯაროდ. ***<u>აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი სტანდარტთან შესაბამისია.</u>***

4. <u>სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.</u>

სკოლას აქვს მზაობა მეთოდოლოგიიდან გამომდინარე , სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენოს სკოლის შემდგომი განვითარებისთვის. სტრატეგიული განვითარების გეგმით გათვალისწინებული მიმართულებების შესრულება შეფასდება და გამოიყენება სკოლის განვითარებისთვის, რეგულარულად გაიმართება შეხვედრები, ჩატარდება გამოკითხვები, რომელზეც განიხილება ზოგადი დადებითი და უარყოფითი ტენდენციები სკოლის განვითარებასთან დაკავშირებით, გამოიკვეთება საჭიროებები, პრობლემები და დაისახება გადაჭრის გზები. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგებს სკოლა გაანალიზებს, განსაზღვრავს წარმატებულ პრაქტიკას და სუსტ მხარეებს. აღნიშნულ ანალიზს გამოიყენებს მომავალი საქმიანობების დასაგეგმად, რათა მოხდეს თავსებადობა სტრატეგიული განვითარების გეგმასთან საბოლოო მიზნის მისაღწევად ან ახალი რეალობის გათვალისწინებით მოახდინონ მასში ცვლილებების შეტანა. ***<u>აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი სტანდარტთან შესაბამისია.</u>***

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის დირექტორის ბრძანება N2-148 . 04.07. 2023წ. სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ.
- სკოლის განვითარების სტრატეგიული განვითარების გეგმა.
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.

◦ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
◦ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. <u>**სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;**</u>

სსიპ ქალაქ ქუთაისის N14 საჯარო სკოლაში მოქმედი კანონმდებლობისა და საშტატო განრიგის შესაბამისად არსებობს სტრუქტურული ერთეულები დებულებებითურთ. სკოლაში დასაქმებულ პირებთან ფორმდება ხელშეკრულებები. სკოლის დირექცია - დირექტორი, დირექტორის მოადგილე და ბუღალტერი, ადმინისტრაცია - მატერიალურ - ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, საქმისმწარმოებელი, ბიბლიოთეკარი და საინფორმაციო მენეჯერი. არასაშტატო ერთეულები - 4 დამლაგებელი, 3 დარაჯი, ექიმი, 1 მუშა, 1 ცეცხლფარეში. სტრუქტურული ერთეულები - სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, მრჩეველთა საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა; ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი. სკოლა სტრუქტურული ერთეულების საქმიანობასა და მათ შორის კოორდინაციისთვის ხელმძღვანელობს ,,ზოგადი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის და და ,,საჯარო სკოლის წესდების შესახებ'' საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N 448 ბრძანების მიხედვით და თანაშმრომლებთან დადებული შრომითი ხელშეკრულებით, რომლებშიც გაწერილია მათი უფლება-მოვალეობები. სკოლას შემუშავებული აქვს სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების აღწერის დოკუმენტი, რომლითაც მკაფიოდ განისაზღვრება სკოლაში მოქმედი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

სტრუქტურული ერთეულებისა და დასაქმებული პირების ძირითადი ფუნქციები. ***აღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.1.1.1.სტანდარტის შესაბამისია.***

2. <u>**სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.**</u>

სტრატეგიული გეგმის ფარგლებში დასახული მიზნების მისაღწევად ქალაქ ქუთაისის N14 საჯარო სკოლის ყოველ სტრუქტურულ რგოლს შორის ფუნქციები და პასუხისმგებლობები გადანაწილებულია სკოლის საქმიანობიდან გამომდინარე მხარეთა შორის დადებული შრომითი ხელშეკრულებებისა და დებულებების საფუძველზე.სკოლაში დასაქმებულნი არიან პირები, რომლებიც ითავსებენ როგორც ადმინისტრაციულ, ასევე საგაკვეთილო პროცესს, მათი ფუნქციები გამიჯნულია, არ ხდება ფუნქციათა აღრევა , ან გადაკვეთა, რაც თავისთავად ხელს უწყობენ სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას, რაც დასტურდება საქოქმედო გეგმით. ***ინდიკატორი 3.1.1.2. სტანდარტის შესაბამისია.***

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სამოქმედო გეგმა;
- სტრატეგიული გეგმა;
- სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების აღწერის დოკუმენტი;
- სკოლის შინაგანაწესი;
- სკოლის სტრუქტურა;
- სკოლის საშტატო განრიგი.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **<u>პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;</u>**

სსიპ ქალაქ ქუთაისის N14 საჯარო სკოლას აქვს შემუშავებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც წარმოადგენს მეთოდიკურ, ნორმატიული ხასიათის დოკუმენტს, განსაზღვრავს სსიპ ქალაქ ქუთაისის N14 საჯარო სკოლაში პერსონალის მართვის პოლიტიკას და ამკვიდრებს შესაბამის პროცედურებს. ასევე, ადამიანური რესურსების მართვა რეგულირდება სკოლის შინაგანაწესით, შინაგანაწესი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად წარმოადგენს სკოლასა და სკოლაში დასაქმებულებს შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. დასაქმებული ვალდებულია გაეცნოს შინაგანაწესს და აღნიშნული დაადასტუროს საკუთარი ხელმოწერით. შინაგანაწესი ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის და განთავსებულია ყველასათვის თვალსაჩინო ადგილას (სკოლის საინფორმაციო დაფაზე, ასევე, სკოლის ოფიციალურ ვებ გვერდზე). დამრიგებლები სასწავლო წლის დაწყებისას შინაგანაწესს აცნობენ მოსწავლეებსა და მათს მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს. ყოველი ცვლილება, რომელიც შედის შინაგანაწესში, არაუგვიანეს 5 დღისა ეცნობება დაინტერესებულ პირებს. **აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი 3.1.2.1. სტანდარტის შესაბამისია.**

2. **<u>სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;</u>**

სსიპ ქალქ ქუთაისის N14 საჯარო სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და სკოლის შინაგანაწესის შესაბამისად. სკოლა უზრუნველყოფს ობიექტურობასა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

მიუკერძოებლობას. სკოლის მიერ წახალისებული და მხარდაჭერილია როგორც თანმშრომელთა, ასევე, მოსწავლეთა შემოქმედებითობა და ინოვაციურობა. სკოლაში მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესისა და შინაგანაწესის შესაბამისად, კონკურსის წესით ხდება ახალი კადრების მოზიდვა და დასაქმება. სკოლას ამ ეტაპზე არ ჰყავს მაძიებელი და მოწვეული მასწავლებელი. სკოლასა და აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის დადებული მემორანდუმის ფარგლებში უნივერსიტეტის სხვადასხვა მოდულის სტუდენტებმა წარმატებით გაიარეს პედაგოგიური პრაქტიკა სკოლის მასწავლებლებთან. სკოლას პრევენციულ და ინტერვენციულ პერსონალის მართვის პოლიტიკის კუთხით წარმოდგენილი აქვს პერსონალის დანიშვნის ბრძანებები , რომლებიც რეგულირდება ხელშეკრულებებით, სკოლის შინაგანაწესით. **აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი 3.1.2.2. სტანდარტის შესაბამისია.**

3. <u>**პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;**</u>

სკოლა პერსონალს არჩევს კანონმდებლობის შესაბამისად, შიდა და გარე ვაკანსიის გამოცხადების გზით, ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით; სკოლაში მასწავლებლის დასაქმება ხდება მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ,საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 174/ნ ბრძანების შესაბამისად, სკოლაში დაცულია მასწავლებლის შერჩევის მიზნით გამოცხადებული ვაკანსიის კომისიის შექმნის ბრძანება. კომისიის მუშაობის პრინციპია ობიექტურობა, გამჭვირვალობა, არადისკრიმინაციულობა. ვაკანსია გამოცხადებულია მასწავლებლის სახლის ვებ-გვერდზე www teacherjobs.ge, საბუთებს არჩევს სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილი საკონკურსო კომისია, რომლის შემადგენლობაში შედიან როგორც სკოლის წარმომადგენლები, ასევე, მასწავლებელთა პროფესიული კავშირის, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დარგობრივი დეპარტამენტის, ქუთაისის საგანმანათლებლო რესურსცენტრის წარმომადგენლები და მოწვეული დამოუკიდებელი სპეციალისტი., წარმოდგენილია საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმები. სხვა პერსონალის მოზიდვისა და დასაქმების ობიექტურად და გამჭვირვალედ წარმართვისთვის სკოლას აქვს შემუშავებული საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და შეფასების კრიტერიუმების დოკუმენტები. პირადი საქმეების გაცნობით დგინდება, რომ სკოლაში დასაქმებულებს აქვთ წარმოდგენილი შემდეგი ცნობები: ნასამართლობის შესახებ ცნობა, სქესობრივი თავისუფლებისა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ხელშეუხებლობის წინააღმდეგმიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ ცნობა, 2020 წლის შემდეგ დასაქმებულებს - უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობა. **ინდიკატორი 3.1.2.3. სტანდარტის შესაბამისია.**

4. **<u>პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;</u>**

სკოლაში მომუშავე ყველა პირის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას. ვაკანტური პოზიციის არსებობის შემთხვევაში სკოლა ითხოვს პირს შესაბამისი კვალიფიკაციის მიხედვით. სკოლაში დასაქმებული ყველა მასწავლებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნები შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის №174/ნ ბრძანებით დამტკიცებული „მასწავლებელთა საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესით“ გათვალისწინებულ სპეციალურ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. ამას ადასტურებს საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისობა პერსონალის პირად საქმეებთან. სხვა პერსონალის შემთხვევაში შემუშავებული აქვს ცალკეული პერსონალისთვის საკვალიფიკაციო მოთხოვნები. **ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია..**

5. <u>პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;</u>

სსიპ ქალაქ ქუთაისის N14 საჯარო სკოლა იმართება მონაწილეობისა და გუნდურობის პრინციპის დაცვით. სკოლას ჰყავს სამეურვეო საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედის 6 მასწავლებლი, 6 მშობელი და საშუალო საფეხურის მოსწავლეთა თვითმმართველობის თავმჯდომარე; ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, მრჩეველთა საბჭო, დისციპლინური კომიტეტი. სკოლის პედაგოგიური საბჭო დაკომპლექტებულია მასწავლებლებით. მასწავლებლები არიან თავისუფალი თავიანთი იდეებისა და ინიციატივების განხორციელებაში. ადმინისტრაციული სტრუქტურების წარმომადგენლებისა და პედაგოგების მონაწილეობითი და გუნდური მუშაობა იკვეთება მაგალითად კათედრების მუშაობაში. აგრეთვე, სკოლაში ვიზიტის დროს და ინტერვიუირებისას აღნიშნული დასტურდება. ***ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.***

<u>6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

შინაგანაწესის მიხედვით, სკოლას აქვს დადგენილი თანამშრომელთა წახალისების მექანიზმები. სსიპ ქალაქ ქუთაისის N14 საჯარო სკოლა თანამშრომლობს აკაკი წერეთლის უნივერსიტეტთან, კადეტთა სამხედრო ლიცეუმთან, სხვადასხვა სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციებთან და ყოველთვის იზიარებს და აზიარებს წარმატებულ გამოცდილებას. ყველა წარმატებულ მაგალითს დაუყოვნებლივ ათავსებენ სკოლის ოფიციალურ საიტზე. სკოლა ყოველ წელს განსაკუთრებული მიღწევების მასწავლებელს წარადგენს ჯილდოზე, რომელსაც აცხადებს ქუთაისის მერია მასწავლებლის დღესთან დაკავშირებით. წარდგენისას გათვალისწინებულია მასწავლებლების აზრი, რაც დასტურდება პედსაბჭოს ოქმებით.***ინდიკატორი სტანდარტთან შესაბამისია.***

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;
- პერსონალის პირადი საქმეები;
- თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- ბრძანება ვაკანტურ პოზიციაზე მასწავლებლის შერჩევის განაცხადის მიღების ვადების და პირობების განსაზღვრის შესახებ
- საკონკურსო კომისიის ოქმი N1, N2, N3;
- პედაგოგიური საბჭოს ოქმი N7. 28.09.2022;
- კონკურსის გამოცხადების ბრძანება;
- სსიპ ქალაქ ქუთაისის N14 საჯარო სკოლასა და აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის გაფორმებული მემორანდუმი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **<u>სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;</u>**

სსიპ ქალაქ ქუთაისის N14 საჯარო სკოლა საკუთარ პერსონალს აფასებს სხვადასხვა მიმართულებით. ეს არის საგაკვეთილო დაკვირვება, მასწავლებლების თვითშეფასება. სკოლა საჭიროების მიხედვით მასწავლებლებს სთავაზობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ მომზადებულ სხვადასხვა ტიპის ტრენინგს, მასწავლებლებთან თანამშრომლობით, მიზნობრივი შეხვედრებითა და ფოკუსჯგუფების ანალიზის შედეგად გამოვლენილი მიმართულებების მიხედვით შექმნილია ერთიანი დოკუმენტი, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია პერსონალის მუშაობის შეფასება და მათი პროფესიული საჭიროებების დადგენა.**ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

2. <u>პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;</u>

სსიპ ქალაქ ქუთაისის N14 საჯარო სკოლაში უწყვეტად ხორციელდება პერსონალის პროფესიული ზრდა. ეს ხდება როგორც გარე, ასევე შიდა მექანიზმების საშუალებით გამოვლენილი საჭიროების შესაბამისად. სკოლაში შემუშავებულია შიდა მექანიზმი, გაკვეთილების შეფასების რუბრიკები. მასწავლებლები მათი საჭიროების მიხედვით ესწრებიან ტრენინგებს. სკოლა ჩართული იყო USAID საბაზისო განათლების პროგრამაში. გარე მონიტორები მონიტორინგს უწევენ ტრენინგებზე მიღებული ცოდნის რეალიზებას საგაკვეთილო პროცესში. **შესაბამისად ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.**

3. <u>სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;</u>

სსიპ ქალაქ ქუთაისის N14 საჯარო სკოლა ხელს უწყობს მასწავლებელთა პროფესიულ ზრდას. სკოლაში მუშაობენ როგორც საგნობრივი ექსპერტები, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ტრენერები, ასევე USAID საბაზისო განათლების პროექტის ლიდერ მასწავლებლები. სკოლა მათ საშუალებას აძლევს და ახალისებს, ჩაატარონ სამუშაო შეხვედრები, რაც ხელს უწყობს მასწავლებელთა პროფესიულ ზრდას. ყოველ წელს კიდევ უფრო მეტი მასწავლებელი იმაღლებს სტატუსს და ასევე კიდევ უფრო მეტი მასწავლებელი აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს. დღეის მდგომარეობით სკოლას ჰყავს 5 მენტორი მასწავლებელი. **ვინაიდან სკოლა პირველად ავტორიზაციას გადის,** ***ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.***

4. .<u>სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;</u>

სსიპ ქალაქ ქუთაისის N14 საჯარო სკოლა ხელს უწყობს თანაშრომლების ინტეგრაციას სასწავლო გარემოსთან. ახალი თანამშროლების ინტეგრაციის მიზნით მათ აცნობენ შიდა სასკოლო რეგულაციებს, აცნობენ თანამშრომლებს, წარდგენისას ხაზს უსვამენ მათს ძლიერ მხარეებს, აწევრიანებენ პროფესიულ და შიდა სოციალურ ჯგუფებში. ისინი მონაწილეობას იღებენ სტრუქტურული ერთეულების მუშაობაში. აღნიშნული რეგულაციები გაწერილია ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტში, რომელშიც ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ნაბიჯი და ასევე სხვა საჭიროებებიც გათვალისწინებულია. **ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.**

5. <u>წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

სსიპ ქალაქ ქუთაისის N14 საჯარო სკოლა ახალისებს პერსონალის ინიციატივებს განვითარებასთან დაკავშირებით. ინტერვიუირებისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებმა გამოთქვეს ინიციატივა, დახმარებოდა სკოლა მათ მენტორ-წამყვანი მასწავლებლის გამოცდის დასაძლევად. შეიქმნა ჯგუფი Teams-ის პლათფორმაზე, სადაც პირადად სკოლის დირექტორი, მოადგილე და სხვა ტრენერი მასწავლებლები უძღვებოდნენ შეხვედრებს, რომლებიც ძალიან წარმატებული გამოდგა. სკოლა მუდმივად ითვალისწინებს მასწავლებლების ინიციატივებს და ამ მიზნით კათეედრების მომართვის საფუძველზე უზრუნველყოფს მათ ყველა ტიპის საგანმანათლებლო რესურსით. **ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კათედრის ოქმი;
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;
- სტრატეგიული და სამოქმედო გეგმა;
- სკოლის შინაგანაწესი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

3.3. პროცესის მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **<u>სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;</u>**

სკოლას შემუშავებული ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი, რომლითაც რეგულირდება სწავლა-სწავლება, სასწავლო გარემოსა და პროცესის ხარისხის მართვა, ადგენს ხარისხის უზრუნველყოფისა და განვითარებისთვის საჭირო ღონისძიებებს. დოკუმენტით უზრუნველყოფილია ხარისხის მონიტორინგი, აკადემიური და მატერიალური პოტენციალის ეფექტურად გამოყენება. სკოლის დირექცია და ადმინისტრაცია ხარისხის უზრუნველსაყოფად იყენებს სხვადასხვა ტექნიკურ აღჭურვილობას, სახელმძღვანელოებისა და სხვა სასწავლო მასალის მიწოდებას მასწავლებლებისა და მოსწავლეებისთვის, ასაკობრივი ჯგუფისა და მათი განვითარების დონის შესაბამისად, მათი ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად სკოლის ბიბლიოთეკაში არის სამუშაო სივრცე და მეთოდური ლიტერატურა. მოსწავლეებს ბიბლიოთეკაში საშუალება აქვთ ისარგებლონ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

უფასო უწყვეტი ინტერნეტით. სკოლა უზრუნველყოფილია თანამედროვე ლაბორატორიებით, სახელმძღვანელოებითა და კომპიუტერული ტექნიკით. ამრიგად, სკოლაში საგანმანათლებლო პროცესის მართვა და მონიტორინგი ხორციელდება ხარიხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად. კერძოდ: 1. კათედრების მიერ ხორციელდება სასწავლო პროგრამების განხორციელების შეფასება და შემდგომი გაუმჯობესება. 2. მასწავლებლის სახლის დახმარებით ხორციელდება ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობა ; 3. სკოლის მატერიალური რესურსების გაუმჯობესება. **ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.**

2. **<u>იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;</u>**

იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები. კერძოდ, მმართველობითი პროცესები წარმოდგენლია სტრატეგიული გეგმით, სამოქმედო გეგმით, ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტით; სკოლის ძირითადი პროცესებია კურიკულუმის განვითარება, სასწავლო პროცესის ორგანიზება და მართვა; სკოლის დამხმარე პროცესებია განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის წარმოება, საბიბლიოთეკო სერვისების განხორციელება, ფინანსური რესურსებს მართვა, ადამიანური რესურსების მართვა, მატერიალური რესურსის მართვა, უსაფრთხოების უზრუნველყოფა და წესრიგის დაცვა, საზოგადოებასთან ურთიერთობა, საქმისწარმოება (დოკუმენტბრუნვა). სსიპ ქალაქ ქუთაისის N14 საჯარო სკოლაში საგამნამათლებლო საქმიანობისთვის განხორციელებისთვის ყველა პირობაა, უსაფრთხო ფიზიკური გარემო, ბუნებრივი განათებებით, ელ. ენერგიით, გათბობის ცენტრალური სისტემით, უწყვეტი ინერნეტით. მმართველობითი პროცესები დელეგირებულია. სკოლის თანამშრომლები მონაწილეობენ სკოლის მართვაში თავიანთ კომპეტენციების ფარგლებში. მმართველობის დამხმარე პროცესებად სკოლა განიხილავს მშობელთა და სხვა დაინტერესებულ პირთა ჩართვას სასწავლო პროცესსა და მათს კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებში. **ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.**

3. **<u>სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;</u>**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე, საჩივრების განხილვის სისტემა. იგი გაწერილია შინაგანაწესში ვადებითა და პროცედურებითურთ. როგორც სკოლის პერსონალს, ასევე, მოსწავლესა თუ მის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს უფლება აქვთ გაასაჩივრონ სკოლის გადაწყვეტილებები. აღნიშნულის შესახებ მათ მიეწოდებათ ინფორმაცია შინაგანაწესის განხილვის დროს. შინაგანაწესი ასევე გამოკრულია საჯაროდ და გამოქვეყნებულია სკოლის ოფიციალურ ვებ გვერდზე. **ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.**

4. **<u>სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.</u>**

სსიპ ქალაქ ქუთაისის N14 საჯარო სკოლაში პერსონალის უფლებები და მოვალეობები გაწერილია ხელშეკრულებებში, რომლებიც იდება სკოლასა და სკოლაში დასაქმებულ პირებს შორის. ხელშეკრულების ნაწილს წარმოადგენს სკოლის შინაგანაწესიც, რომლის გაცნობასაც ხელმოწერით ადასტურებს დასაქმებული თანამშრომელიც. მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებები და მოვალეობები კი გაწერილია ხელშეკრულებაში, რომელიც იდება სკოლასა და მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის. შინაგანაწესი გამოკრულია სკოლის ფოიეში. დამრიგებლები სასწავლო წლის დასაწყისში მშობლებსაც და მოსწავლეებსაც შეახსენებენ შინაგანაწესით გათვალისწინებულ რეგულაციებს, მათ შორის თავიანთ უფლება-მოვალეობებსაც. გარდა აღნიშნულისა, სკოლაში მოქმედებს მრჩეველთა საბჭო, რომლის ფარგლებში იხილება საკითხები მშობელთა ინფორმირების შესახებ **ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- სტრატეგიული გეგმა;
- სამოქმედო გეგმა;
- კურიკულუმის განვითარება;
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
- ფინანსური რესურსებს მართვა;
- ადამიანური რესურსების მართვა;
- მატერიალური რესურსის მართვა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

- უსაფრთხოების უზრუნველყოფა და წესრიგის დაცვა;
- საზოგადოებასთან ურთიერთობა;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი;
- გასაჩივრების დეტალური პროცედურები.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **<u>სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღებისა და მასზე რეაგირების მექანიზმები;</u>**

სსიპ ქალაქ ქუთაისის N14 საჯარო სკოლას შემუშავებული აქვს საზოგადოებასთან ურთიერთობის /კომუნიკაციის წესი. აქტიურად იყენებს სოციალურ ქსელებს, facebook-ის დახურულ ჯგუფებს, მესენჯერს, Microsoft Teams-ის ჯგუფებს, სკოლის ოფიციალურ ვებ გვერდს, რათა მშობლებსა და დაინტერესებულ პირებს მიაწოდოს ინფორმაცია სკოლაში მიმდინარე მოვლენების შესახებ. მშობლებს შეუძლიათ თავიანთი აზრი დაფიქსირება ყველა საშუალებით. ასევე, სკოლა ღიაა პირადი საუბრებისთვის. ამ მხრივ როგორც დირექტორი და მოადგილე, ასევე, დამრიგებლები და საგნის მასწავლებლები სრულ მზაობას აცხადებენ. ინტერვიუირებისას გამოიკვეთა, რომ სკოლაში ყოველთვის ტარდება შეხვედრები მოსწავლეებთან, მათ მშობლებთან, მასწავლებლებთან, რათა ინტერესისა და სურვილის შესაბამისად, საჭიროებებიდან გამომდინარე, სკოლა ინტერესდებოდეს მათი ხედვით, რათა ცვლილებების აუცილელობის შემთხვევაში ყველას ინტერესი იყოს გათვალისწინებული. **სტანდარტის შესაბამისია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

2. <u>უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.</u>

სსიპ ქალაქ ქუთაისის N14 საჯარო სკოლის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულია სასკოლო საზოგადოების წევრები სამეურვეო საბჭოს მეშვეობით. წევრი მშობლები წარმოადგენენ მშობელთა ხმას სამეურვეო საბჭოში. თითოეული საფეხურიდან ორი წარმომადგენელი, რომელიც სამეურვეო საბჭოს წევრია, მონაწილეობს სკოლის ბიუჯეტის განხილვისა და დამტკიცების პროცესში. ასევე, ისინი მონაწილეობენ სასკოლო-სასწავლო გეგმის განხილვისა და შეთანხმების პროცესში. სამეურვეო საბჭოს წევრი, ასევე, არის სკოლის საშუალო საფეხურის მოსწავლეთა თვითმმართველობის თავმჯდომარე, რომელიც წარმოადგენს სკოლის მოსწავლეთა ხმას სამეურვეო საბჭოში. მშობლები და მოსწავლეები (2 მოსწავლე, 2 მასწავლებელი, 2 მშობელი) არიან სკოლის დისციპლინური კომიტეტის წევრებიც. სკოლაში არჩეულია მოსწავლეთა თვითმმართველობა. **ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- საზოგადოებასთან ურთიერთობის /კომუნიკაციის წესი;
- სკოლის წესდება;
- სამეურვეო საბჭოს და დისციპლინური საბჭოს ოქმები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **<u>სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;</u>**

• სკოლას ემსახურება მანდატურის სამსახური.

• სკოლა აღჭურვილია კანონმდებლობით დადგენილი პარამეტრების შესაბამისი ვიდეოსათვალთვალო სისტემით. სკოლის ტერიტორიის დისტანციური
დათვალიერება შესაძლებლობას იძლევა, ეფექტიანად მოხდეს ნებისმიერი ფიზიკური უთანხმოების თუ ჯანმრთელობის/სიცოცხლისათვის საფრთხის შემცველი ქმედების პრევენცია/რეაგირება.

ადამიანების ფიზიკური უსაფრთხოება და სკოლის შენობის დაცვა გამიჯნულია ერთმანეთისაგან. სკოლის შენობის დაცვას უზრუნველყოფს დარაჯი, უსაფრთხოების სამსახური.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

შრომის უსაფრთხოების ორგანიზებისა და მართვისათვის სკოლას კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები აქვს დაცული. სკოლას გამოყოფილი არ ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელსაც აქვს შესაბამისი პროფესიული გამოცდილება და კვალიფიკაცია, ასევე, შესაბამის აკრედიტებულ ორგანიზაციაში გავლილი აქვს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის პროგრამა. სკოლას გააჩნია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან (შესაბამის ტერიტორიულ ერთეულთან) შეთანხმებული და სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული საგანგებო მართვის გეგმა.

კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად სკოლაში განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი და ევაკუაციის გეგმა.

სკოლას აქვს შენობის მდგრადობის დასკვნა.

აღსანიშნავია,რომ სკოლამ მიმდინარე წლის 15 ივნისს სკოლამ მიმართა შსს სსდ – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსს ბატონ თეიმურაზ მღებრიშვილს წერილით (MES 8 23 0000695116), **რომლის თანახმად** სთხოვს, **რომ** შეისწავლონ სსიპ ქალაქ ქუთაისის N14 საჯარო სკოლის **შენობის** შესაბამისობა სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან და გასცენ შესაბამისი დასკვნა.

სკოლამ ავტორიზაციის ჯგუფის დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ არგუმენტირებულ პასუხად, წარმოადგინა საქართველოს შსს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სსიპ სახელმწიფო რეზერვების და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოს წერილი MIR92302203246. (31.07.2023წ), რომელშიც მოცემულია სკოლის ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობის შემოწმების აქტი. აქტის თანახმად, სკოლის შენობის ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობა არ შეესაბამება სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების მარეგულირებელ ნორმებს. სკოლას აღნიშნული უწყების მიერ დაეკისრა აქტის მე-3, მე- 6, მე-7 პუნქტებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულება.

რჩევა: სკოლას მიეცა რჩევა უზრუნველყოს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიწერილობის MIR92302203246. (31.07.2023წ) განსახორციელებელი მოთხოვნების შესრულება.

სკოლაში პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მიზნით არსებობს საჭირო ინვენტარი და პირველადი დახმარების საშუალებები, რომლებიც ვარგისია გამოყენებისათვის. მოსწავლეთა ჯანმრთელობის დაცვისა და მათი სრულყოფილი განვითარებისათვის სკოლაში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირებისათვის შესაბამისი პირობებია შექმნილი. ჰყავს ექიმი, რომელიც შეირჩა კონკურსის წესით.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

2. <u>სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;</u>

სსიპ ქალაქ ქუთაისის N14 საჯარო სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას როგორც გაკვეთილების მიმდინარეობისას, ასევე, შენობაში შესვლისა და გასვლის დროს. სკოლაში მასწავლებლები მორიგეობენ გაკვეთილების მიმდინარეობისას, სკოლის ვიზიტორებს აღრიცხავს კარის მონიტორი. სკოლას ემსახურება ორი მანდატური. სკოლას ჰყავს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირი, მოსწავლის უკონტაქტო დათვალიერებაზე პასუხისმგებელი პირი. სკოლაში ნებისმიერი დარღვევა აღირიცხება ელექტრონული წესით ელექტრონული ჟურნალის შესაბამის ველში და მოჰყვება დაუყოვნებლივი რეაგირება. ღონისძიებების ეს ერთობლიობა მინიმუმამდე ამცირებს საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის ფაქტებს. <u>ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.</u>

3. <u>სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;</u>

სსიპ ქალაქ ქუთაისის N14 საჯარო სკოლას შემუშავებული აქვს უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი, რომლითაც უზრუნველყოფილია ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემო. სკოლაში არ არსებობს ფსიქოლოგიური ძალადობის არც ერთი გამოვლენილი შემთხვევა. ეს მიმართულება, როგორც ინტერვიუირებისას გამოიკვეთა, პრიორიტეტულია, ამიტომ სადამრიგებლო საათების თემატიკა ხშირადაა ამ თემებზე ორიენტირებული. **ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.**

4. <u>სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;</u>

სსიპ ქალაქ ქუთაისის N14 საჯარო სკოლას შემუშავებული აქვს უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი, რომლითაც უზრუნველყოფილია სკოლაში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა. ყველა დამლაგებელს აქვს სამუშაო სივრცე განსაზღვრული. სკოლა ერთცვლიანია და მათ საკმარისი დრო აქვთ დასუფთავებისათვის. სველი წერილების დასუფთავებისთვის გამოყოფილია კონკრეტული საათები და ამ გრაფიკის მიხედვით ისინი ალაგებენ მათ, რასაც ადასტურებენ ხელის მოწერით. დღის ბოლოს კი მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი ადასტურებს ხელმოწერით დღის მანძილზე შესრულებული სამუშაოების ხარისხს, სასაპნეებისა თუ სხვა მარაგების შევსებას ადგილზე, ასევე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ვიზუალურად ათვალიერებს ყველა საკლასო ოთახს, დერეფანს, სველ წერტილებს და კაბინებს, რათა დროულად იქნეს აღმოჩენილი ნებისმიერი დაზიანება მათი დროულად შეკეთების მიზნით. **ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.**

5. **სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;**

სსიპ ქალაქ ქუთაისის N14 საჯარო სკოლას შემუშავებული აქვს ინფორმაციის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, რომლითაც დაცულია პერსონალური მონაცემები. სკოლაში სკოლის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია პირი, რომელიც პასუხისმგებელია პერსონალური მოცემების დაცვაზე. წინათ არსებობდა გარკვეული ტიპის გამოწვევები, მაგალითად, სოციალურ ქსელში ინფორმაციის განთავსება, თუმცა აღმოიფხვრა და ახლა სკოლა მხოლოდ მშობლის წერილობითი და/ან ზეპირი თანხმობის შემთხვევაში ავრცელებს მოსწავლეთა მონაცემებს ღია სივრცეში. არც ერთი ამ მიმართულების პრეტენზია ან პრობლემა სკოლაში არ ყოფილა. **ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.**

6. **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;**

სსიპ ქალაქ ქუთაისის N14 საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანება N2-148 თანახმად, სკოლას დამტკიცებული აქვს ინფორმაციის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი. სკოლა იცავს მის ხელთ არსებულ ინფორმაციას. ამ მიზნით სკოლაში ტარდება საინფორმაცო კამპანიები. მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლების კუთხით კიბერ უსაფრთხოების საკითხებზე თემები შესულია სადამრიგებლო პროგრამებში. ასევე საუბრები იმართება მშობლებთანაც. სკოლაში ფუნქციონირებს მონაცემთა ბაზების ელექტრონული სისტემა. **ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.**

7. **სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.**

სსიპ ქალაქ ქუთაისის N14 საჯარო სკოლას აქვს უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი. სკოლა ახორციელებს უსაფრთხოების ნორმების მონიტორინგს და ანგარიშს წარადგენს მრჩეველთა საბჭოს სხდომაზე. მრჩეველთა საბჭოს მიერ მოწოდებულ

რეკომენდაციებს ითვალისწინებენ შემდეგ მუშაობაში. როგორც ინტერვიუსას გამოიკვეთა, სკოლაში არასდროს გამოვლენილა მძიმე ხასიათის დარღვევები, ამიტომ ასეთი რთული შემთხვევების მართვის გამოცდილებაც არ არსებობს. **ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი;
- ინფორმაციის დაცვის მექანიზმი;
- ექიმის ხელშეკრულება;
- სპეცპედაგოგის ხელშეკრულება;
- მასწავლებელთა მორიგეობის ცხრილი;
- საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირის ბრძანება;
- ქალთა მიმართ ძალადობასთან და ოჯახში ძალადობის შესაძლო ჩადენის ფაქტზე ინფორმაციის მიწოდებაზე უფლებამოსილი პირის განსაზღვრის შესახებ ბრძანება;
- მოსწავლის დათვალიერებაზე პასუხისმგებელი პირის ბრძანება;
- სადამრიგებლო პროგრამა ფსიქოლოგიურ ან ემოციურ ძალადობაზე;
- სანიტარული კვანძების დასუფთავების გრაფიკი;
- 2023 წლის 15 ივნისის MES 8 23 0000695116 წერილი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).
   ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. <u>**სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;**</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

სსიპ ქალაქ ქუთაისის N14 საჯარო სკოლის ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ხარისხიანი სწავლისა და მუშაობის პირობებს. სკოლა ახლად რეაბილიტირებულია და ყველა საჭირო რესურსითა და მოწყობილობით აღჭურვილი, რათა მოსწავლეებს სწავლა გაუადვილდეთ. სკოლა წარმოადგენს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს. ***<u>ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.</u>***

2. <u>**დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;**</u>

სსიპ ქალაქ ქუთაისის N14 საჯარო სკოლაში ინფრასტრუქტურა იძლევა იმის საშუალებას, რომ ყველა სივრცე, საერთო სარგებლობის იქნება იგი თუ პირადი, ხელმისაწვდომი იყოს ყველა ტიპის მოსწავლისა თუ მასწავლებლისთვის. სკოლაში არის 5 კარი, რომელიც უზრუნველყოფს სკოლაში შემოსვლისას ნაკადების მართვას. სკოლაში არის საკმარისი რაოდენობის მერხები, სკამი და მატერიალური რესურსები ყველა მოსწავლისათვის ასაკისა და განვითარების შესაბამისად. ***<u>ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.</u>***

3. <u>**სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;**</u>

სსიპ ქალაქ ქუთაისის N14 საჯარო სკოლა უზრუნველყოფს ინკლუზიურ გარემოს. ცენტრალური შემოსასვლელი არის მიწის დონეზე, ხოლო შენობაში არის 6 საფეხურიანი კიბე, რომელზეც დამონტაჟებულია კიბის ამწე, ასევე, სკოლას აქვს ერთი ლიფტი, პანდუსი, ყველა სართულზე - ადაპტირებული სველი წერტილები, რაც საშუალებას იძლევა, სრული ხელმისაწვდომობა ჰქონდეს ყველა რესურსზე სკოლის მოსწავლეებსა და მასწავლებლებს.
<u>ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.</u>

4. <u>**სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;**</u>

სსიპ ქალაქ ქუთაისის N14 საჯარო სკოლის ინფრასტრუქტურა სრულად შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს. სკოლაში არის ნათელი საკლასო კაბინეტები, საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, ბიბლიოთეკა, IT ლაბორატორია, მოსწავლეთა თვითმმართველობის ოთახი, ექიმის კაბინეტი, სამასწავლებლო, სპორტული დარბაზი, რესურსოთახი. სკოლა სრულ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

თავისუფლებას აძლევს მოსწავლეებს, ისარგებლონ აღნიშნული რესურსებით გაკვეთილების შემდეგაც. ***ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.***

5. **სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).**

სსიპ ქალაქ ქუთაისის N14 საჯარო სკოლაში არის ყველა ტიპის საგანმანათლებლო რესურსი. სკოლა ყველა საგანს ასწავლის გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებით. დამატებითი რესურსების საჭიროებას ადგენენ კათედრები. მათი მოთხოვნის საფუძველზე სკოლა გეგმავს და იძენს საჭირო რესურსებს. სკოლა უზრუნველყოფილია საბუნებისმეტყველო ლაბორატორიით, შიდა და გარე სპორტდარბაზებით. სპეციალური მასწავლებლის მიერ ყოველი წლის დასაწყისში ისაზღვრება იმ კონკრეტული ტიპის რესურსების ჩამონათვალი, რომლებც საჭიროა სკოლის სსსმ მოსწავლეებისათვის. სკოლის ბიბლიოთეკაში არის ყველა ტიპის მეთოდოლოგიური ლიტერატურა, ასევე, კომპიუტერები და სივრცე იმისათვის, რომ იმ მოსწავლეებსა და მასწავლებლებს, რომელთაც არ აქვთ სახლში ელექტრონული მოწყობილობები, დავალებები სკოლაში შეასრულონ. ამისათვის გამოიყენება IT ლაბორატორიაც. ***ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.***

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან*;*
- შენობის შიდა აზომვითი ნახაზი*;*
- ბიბლიოთეკის დებულება;
- ბიბლიოთეკის ფონდის საინვენტარო წიგნი;
- საინვენტარიზაციო უწყისი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **<u>ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;</u>**

სსიპ ქალაქ ქუთაისის N14 საჯარო სკოლაში ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა არის გამართული. ყველა საკლასო ოთახში დამონტაჟებულია კომპიუტერი, რომელიც მიერთებულია უწყვეტ ინტერნეტთან. ეს მასწავლებლებს საშუალებას აძლევს ელექტრონული ჟურნალი აწარმოონ სრულფასოვნად. ასევე, სამასწავლებლო აღჭურვილია კომპიუტერებით, IT ლაბორატორია, ბიბლიოთეკა, რესურსოთახი - აღჭურვილია ტექნიკით. გარდა კომპიუტერებისა, სკოლაში 12 პროექტორია, რომელთა ნაწილი უძრავად არის დამონტაჟებული სხვადასხვა საკლასო ოთახში. პარალელურად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ხელმისაწვდომია დაუმონტაჟებელი პროექტორიც, რომლებსაც მასწავლებლები მოიხმარენ ნებისმიერ საკლასო ოთახში. სკოლა სარგებლობს საქმისწარმოების ელექტრონული სისტემით EFLOW და ESCHOOL. რომელსაც იყენებენ როგორც მასწავლებლებთან ან სკოლის სტრუქტურულ ერთეულებთან, ასევე მესამე პირებთან ურთიერთობისათვის. ***<u>ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.</u>***

2. <u>ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.</u>

სსიპ ქალაქ ქუთაისის N14 საჯარო სკოლას შემუშავებული აქვს რესურსებით სარგებლობის წესი. ინფორმაციული ტექნოლოგიები ხელმისაწვდომია ყველა ადამიანისათვის. ინტერვიუთი ირკვევა, რომ მათ საშუალება აქვთ ნებისმიერ საკლასო ოთახსა თუ ლაბორატორიაში, ასევე, სამასწავლებლოსა და ბიბლიოთეკაში ისარგებლონ სასკოლო რესურსით. დარჩნენ გაკვეთილების შემდეგ, მოაწყონ სამუშაო შეხვედრები, დაესწრონ ნებისმიერ ონლაინ ტრენინგს, აიმაღლონ კვალიფიკაცია, გაესაუბონ მშობლებს, განახორციელონ პროექტები და ა. შ. მასწავლებლებს ან მოსწავლეებს, რომელთაც არ აქვთ სახლში შესაბამისი მოწყობილობები, შეუძლიათ სკოლაში არსებული მოწყობილობებით სარგებლობა. ***<u>ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.</u>***

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ინვენტარიზაციის დოკუმენტი;
- ციფრული ტრანსფორმაციის გეგმა ელექტრონული რესურსების ჩამონათვლით.

3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **<u>სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;</u>**

სსიპ ქალაქ ქუთაისის N14 საჯარო სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი. კორესპონდენციები აღირიცხება დადგენილი წესის შესაბამისად. N1 ენიჭება შემოსულ დოკუმენტაციას, N2 გასულ დოკუმენტაციას, N3 საერთო ბრძანებებს. N4 საკადრო ბრძანებებს და N5 ხელშეკრულებებს. დოკუმენტები ინახება შესაბამისად და რეგისტრირდება სპეციალურ ჟურნალებში. პერსონალისა და მოსწავლის პირადი საქმეები სრულად შეესაბამება მოთხოვნებს. შემოსულ წერილებს პასუხები ეგზავნებთ ვადების დაცვით. განცხადებები მიიღება მხოლოდ უფლებამოსილი პირებისაგან. საქმისწარმოება სკოლაში ორგანიზებული და დამტკიცებულია სსიპ ქალაქ ქუთაისის N14 საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანება N2-148-ით. ***<u>ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.</u>***

2. **<u>სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;</u>**

სსიპ ქალაქ ქუთაისის N14 საჯარო სკოლა მართვისთვის იყენებს სკოლის ელექტრონულ დოკუმენტბრუნვის სისტემას eflow, eschool, სკოლა, ასევე, იყენებს სკოლის ელექტრონულ ფოსტას kutaisi14@mes.gov.ge საჭიროებისას და გადაუდებელი აუცილებლობისას სკოლის სამუშაო შეხვედრები იმართება teams-ის პლატფორმის გამოყენებით. გარდა პირისპირ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

შეხვედრებისა, ამავე პლატფორმას იყენებენ დამრიგებლები მშობლებთან ურთიერთობისთვის. გარდა ზემოთ ჩამოთვლილისა, სკოლას აქვს მუდმივად განახლებადი ოფიციალური ვებ გვერდი. ***ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.***

3.სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;

სსიპ ქალაქ ქუთაისის N14 საჯარო სკოლა მართვის საინფორმაციო სისტემაში ასახავს ყველა სავალდებულო ინფორმაციას. სკოლას გააქტიურებული აქვს სოციალურად დაუცველისა და დევნილის ველი ყველა ამ სტატუსის მქონე მოსწავლისათვის, ასევე, გააქტიურებულია მილტიდისციპლინური გუნდის დასკვნის საფუძველზე შშმ სტატუსის მქონე პირებზე შესაბამისი ველი. ყველა მოსწავლის მშობლის მონაცემი ატვირთულია სისტემაში. ყველა მასწავლებელს გააქტიურებული აქვს თავისი პროფილი და საჭიროებისა და სურვილის მიხედვით ტვირთავენ თავიანთ პროფილზე შესაბამის დოკუმენტებს შესაბამის ველებში. ***ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.***

4.სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

სსიპ ქალაქ ქუთაისის N14 საჯარო სკოლა დროულად და დაუყოვნებლივ აწვდის ანგარიშებსა თუ მოთხოვნილ ინფორმაციას საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს, თანამშრომლობს მათთან და ამისათვის იყენებს ელექტრონულ საშუალებებს, მაგალითად, შორის ელექტრონულ ფოსტას ***ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.***

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის საქმის წარმოების წესი;
- სკოლის ვებგვერდი;
- სკოლის პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

- ერთიანი ელექტრონული სისტემა.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. <u>**სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;**</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

სსიპ ქალაქ ქუთაისის N14 საჯარო სკოლას შემუშავებული აქვს საზოგადოებასთან ურთიერთობის /კომუნიკაციის წესი. საზოგადოების ინფორმირებისათვის იყენებს სკოლის ოფიციალურ ვებგვერდს www.14school.ge და სკოლის facebook გვერდს. ინტერვიუთი გამოიკვეთა, რომ საჭიროების შემთხვევაში მშობლებთან საკომუნიკაციოდ სკოლა იყენებს მესენჯერსა და სატელეფონო საუბრებს. სკოლის გვერდებზე მუდმივად ზიარდება სასკოლო ცხოვრების წარმატებული მაგალითები. ყველა მოსწავლისა თუ მასწავლებლის წარმატება, აქტივობების ამსახველი ინფორმაცია, პროექტები, პრეზენტაციები, კონფერენციებში მონაწილეობა. სკოლამ ღია სივრცეში განათავსა სკოლაში ჩატარებული სასკოლო პრობლემების კვლევის ანგარიშები.***ინდიკატორი შესაბამისია.***

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;**

სკოლაში დანიშნულია ინფორმაციის გავრცელების სანდოობაზე პასუხისმგებელი პირი - სკოლის საინფორმაციო მენეჯერი, რომელიც უზრუნველყოფს ინფორმაციის გადამოწმებას მისი უტყუარობის და სანდოობის მიზნით. ***ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.***

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;**

სსიპ ქალაქ ქუთაისის N14 საჯარო სკოლა ნებისმიერი საშუალებით მიღებულ უკუკავშირს განიხილავა და აანალიზებს, თუ რამდენადაა შესაძლებელი ამ უკუკავშირის მიხედვით რამის შეცვლა, ითვალისწინებს მოქმედ კანონმდებლობასა და ფიზიკურ შესაძლებლობებს და აუცილებლად ცვლის დამოკიდებულებას, თუ ეს მის ძალებს არ აღემატება. ბოლო ასეთი საკითხი იყო მშობლის მხრიდან სასკოლო ფორმის შემოღება და უკვე დავიწყეთ მუშაობა ამ მიმართულებით და მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები მიიღო. სკოლაში ჩატარდა მშობელთა გამოკითხვა, თუ რა მიმართულების წრეებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ისურვებდნენ სკოლაში. აღნიშნული პასუხების გაანალიზებით დაიგეგმა შემდეგი ნაბიჯები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;**

სსიპ ქალაქ ქუთაისის N14 საჯარო სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი და მასზე ინფორმაცია თავსდება ქართულ ენაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.**

სსიპ ქალაქ ქუთაისის N14 საჯარო სკოლას ვებ გვერდზე განთავსებული აქვს შემდეგი ინფორმაცია: 1. მისია, ხედვა, ღირებულებები, 2. სკოლის სტრუქტურა, 3. სკოლაში მოქმედი პროგრამების სახელწოდებები, 4. სკოლაში ჩარიცხვის პროცედურები 5. სკოლის მიერ მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), 6. სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, 7. მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, 8. სკოლაში გასაჩივრების მექანიზმები, 9. ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, 10. საკონტაქტო ინფორმაცია. 11. სიახლეები 12. კვლევები 13. ინფორმაცია ყველა მასწავლებლის შესახებ ბიოგრაფიითა და ფოტოებით, 14. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, 15. შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, 16. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, 17. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, 18. სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, 19. სკოლის უსაფრთხოების პოლიტიკა, 20. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი, 21. მოსწავლის გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმი, 22. სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები, 23. ინფორმაციის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, 24. საზოგადოებასთან ურთიერთობის /კომუნიკაციის წესი, 25. სსსმ მოსწავლეთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბრძანება N2-2-234 მშობელთან ურთიერთობის დებულების დამტკიცება;
- **საზოგადოებასთან ურთიერთობის /კომუნიკაციის წესი**
- მშობელთან ურთიერთობის დებულება;
- www.14school.ge ;
- სკოლის გვერდი სოციალურ ქსელში.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **<u>სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;</u>**

სსიპ ქალაქ ქუთასის N14 საჯარო სკოლა ფინანსურად მგრადია. მას შეუძლია დააფინანსოს სკოლის მოსწავლეთა საჭიროებები და დაგეგმილი ღონისძიებები. სკოლის წლიური შესყიდვების გეგმას ადგენენ წინა წლებისა და ბაზრის კვლევის გათვალისწინებით და ამტკიცებენ წინა წლის დეკემბერში. საჭიროებების შემთხვევაში სკოლის წლიური შესყიდვების გეგმაში შეაქვთ ცვლილებები სკოლის დირექტორის ბრძანებით. ***<u>ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.</u>***

2. **<u>სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.</u>**

სსიპ ქალაქ ქუთაისის N14 საჯარო სკოლა ფინანსურ რესურსებს მართავს მიზნობრივად. ელექტრონულ საბანკო სისტემაზე მოქმედებს ორდონიანი დაცვა, რათა თავიდან იქნას აცილებული ნებისმიერი შეცდომა. სკოლის დირექტორი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად აბარებს სკოლის სამეურვეო საბჭოს 10 დეკემბრამდე ანგარიშს ფინანსური საქმიანობის შესახებ. მონიტორინგის საშუალებას კი იძლევა სპეციალური ფორმები, რომებლსაც სკოლის ბუღალტერი ადგენს ყოველი თვის ბოლოს. მასში მოცემულია ის შემოსავლები და ხარჯები, რომლებიც სკოლას ჰქონდა კონკრეტულ თვეში. აღნიშნული ფორმა ივსება სკოლის საბანკო ამონაწერიდან. ეს გამორიცხავს ნებისმიერ შეცდომას ან ხარვეზს ფინანსების მიზნობრივად განკარგვისას. გარდა აღნიშნულისა, სკოლა ყოველი წლის ბოლოს ქმნის კომისიას, რომელიც ატარებს ფინანსური აქტივების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციას. ***<u>ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.</u>***

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

- საპროგნოზო და ფაქტობრივი ბიუჯეტი;
- წლიური ფინანსური ანგარიშების დოკუმენტი;
- ბრძანება N2-225. 09.12.2022 წ. (სსიპ ქალაქ ქუთაისის N14 საჯარო სკოლაში ფინანსური აქტივების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის მიზნით საინვენტარიზაციო კომისიის შექმნის შესახებ);
- ბრძანება 2-216. 18. 11. 2022 წ. (2023 წლის სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის დამტკიცების შესახებ);
- ბრძანება N2-76. 04.05.2023 წ. (შესყიდვების გეგმის ცვლილება).

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. <u>**სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;**</u>

სკოლაში მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვას და გარანტიებს უზრუნველყოფს სკოლის შიდა რეგულაციები. სკოლაში მოქმედებს შინაგანაწესი, რომელშიც გაწერილია მოსწავლეთა უფლებები და მოვალეობები. მოსწავლეთა უფლებების დაცვა ხორციელდება ნებისმიერ ეტაპზე ნებისმიერი პირის მიერ და რეალიზებულია სასკოლო გარემოში. მანდატურის სამსახური თავისი უფლებამოსილების ფარგლებში უზრუნველყოფს მოსწავლეთა უფლებების, უსაფრთხოებისა და შინაგანაწესის დაცვას. სკოლასა და მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში გაწერილია მოსწავლეთა უფლება-მოვალეობები. მოსწავლეები მონაწილეობას იღებენ მათი წარმომადგენლის მეშვეობით სამეურვეო საბჭოსა და დისციპლინური კომიტეტის მუშაობაში. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელიც არჩეულია დემოკრატიული პრინციპებით და რომლის მიზანს წარმოადგენს მოსწავლეების თვალით დანახული პრობლემების გათვალისწინება და სკოლის ცხოვრებაში მაქსიმალური ჩართულობის გაზრდა. სკოლაში მოქმედებს რეფერირების პროცედურები, რაც ემსახურება მოსწავლეთა ინტერესების დაცვას. პერსონალური ინფორმაცია დაცულია, გამოყოფილია პასუხისმგებელი პირი. ინფორმაციის გაცემა ხდება მშობლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

თანხმობის საფუძველზე. მოსწავლეთა ინტერესები გათვალისწინებულია სასკოლო ფორმის შემოღების პროცესშიც. *აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.*

2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;

სკოლაში მოსწავლის ქცევის კოდექსი და შინაგანაწესი, რომელიც საჯარო დოკუმენტებია და გაზიარებულია სკოლის ვებგვერდზე, ასევე გამოკრულია სკოლის შენობაში თვალსაჩინო ადგილზე, კერძოდ საინფორმაციო დაფაზე და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის. კლასის დამრიგებლების ფუნქციებში გაწერილია მოსწავლეთათვის შინაგანაწესის გაცნობის ვალდებულება. სასწავლო წლის დასაწყისში მშობელთა კრებაზე მშობლებს, ხოლო სადამრიგებლო საათზე მოსწავლეებს აცნობენ შინაგანაწესს. ბუკლეტებისა და პოსტერების სახით მოსწავლეებს ურიგდებათ საინფორმაციო ბროშურები , სადაც გაწერილია 112-ის შესახებ ინფორმაცია. სკოლის დერეფნებში გამოკრულია 112 -ის, მანდატურის, სახალხო დამცველის, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ცხელი ხაზის ნომრები. სკოლას აქვს ვებგვერდი, ასევე კლასის დამრიგებლებს აქვთ შექმნილი ჯგუფები, სადაც გაწევრიანებული არიან მშობლები და იღებენ მათთვის საჭირო ინფორმაციას. საჭიროების შემთხვევაში იგეგმება მშობელთან ინდივიდუალური შეხვედრები. სკოლის მოსწავლეებმა იციან თავიანთი უფლებები. აქედან გამომდინარე, მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებული სასკოლო საზოგადოებასთან. *ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.*

3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება, რომელიც ძალაშია მოსწავლის სწავლის დასრულებამდე და გათვალისწინებულია ორივე მხარის ინტერესები, გაწერილია მხარეთა ვალდებულებები, ხელშეკრულების მოქმედების ვადა, მხარეთა რეკვიზიტები. ასევე მშობელთან გაფორმებულია შეთანხმების ფორმა, რომელიც მოიცავს ნებართვას არასრულწლოვნების ფორმალური და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

არაფორმალური განათლების დროს ფოტოსურათების გადაღებისა და გასაჯაროების თაობაზე. აღნიშნული დოკუმენტი განთავსებულია დამრიგებელთა პორტფოლიოში. აღნიშნულის გათვალისწინებით ***<u>ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.</u>***

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- დამრიგებლის ფუნქციები;
- მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულებები.
  სკოლის ვებგვერდი.

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

სკოლის დირექტორის N 14 -148 (04.07. 2023წ) ბრძანებით დამტკიცებულია მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმები. დოკუმენტში მკაფიოდაა გაწერილი მოსწავლის ჩარიცხვის პროცედურა, სტატუსის შეჩერება/აღდგენის, შეჩერებული სტატუსის აღდგენის, საფეხურის დაძლევის პროცედურები. სკოლა ხელმძღვანელოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება N04/ნ-ით, ასევე ეროვნული სასწავლო გეგმის 35-ე მუხლი განსაზღვრავს კლასისა და საფეხურის დაძლევის პირობებს, არეგულირებს მოსწავლეთა მობილობას. განსაკუთრებული პირობები მოსწავლეთა მიღებასთან დაკავშირებით სკოლას არ აქვს. სკოლაში ირიცხება ყველა მოსწავლე ყველანაირი დისკრიმინაციის გარეშე, კლასებში რაოდენობების გათვალისწინებით. სკოლას კანონმდებლობის შესაბამისად, შემუშავებული აქვს ინდ.გეგმების შემუშავების წესი და სსსმ სტატუსის მინიჭების პროცედურები, რომელიც წარმოადგენს სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილს. სკოლა იცავს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის , მობილობისა და შეწყვეტის შესახებ ყველა საჭირო პროცედურას. აღნიშნულის გათვალისწინებით ***<u>ინდიკატორი სტანდარტთან შესაბამისია.</u>***

2. <u>სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;</u>

სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების ყველა საჭირო რეგულაციას. პროცედურების დაცვისა და შეუფერხებლად წარმართვის მიზნით , დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირი. ის პასუხისმგებელია პროცედურების შეუფერხებლად წარმართვაზე. ***<u>ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.</u>***

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;**

სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურეობის სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურეობისთვის დადგენის საფასურების შესახებ ინფორმაცია საჯარო და ხელმისაწვდომია. აღნიშნული წარმოადგენს სასწავლო სასკოლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

გეგმის შემადგენელ ნაწილს, რომელიც განთვსებულია სკოლის ვებგვერდზე. ასევე, გამოკრულია სკოლის შენობაში თვალსაჩინო ადგილზე. ინფორმაცია ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის. სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია დამრიგებლის ფუნქციები, სადაც ერთ-ერთ ვალდებულებად გაწერილია სასკოლო სასწავლო გეგმის, შინაგანაწესის და სასწავლო პროცესის მარეგულერებელი დოკუმენტების გაცნობა მოსწავლეებისა და მათი კანონიერი წარმომადგენლებისთვის. სასკოლო სასწავლო გეგმა ითვალისწინებს დამატებით სერვისებს, კერძოდ სკოლას აქვს გახანგრძლივებული სწავლების, ასევე კლუბების ფუნქციონირების გამოცდილება, რის აღდგენასაც გეგმავს სკოლა. ინტერვიუს დროს დირექციამ განმარტა, რომ 2023-2024 სასკოლო სასწავლო გეგმაში დამატებითი სერვისების შეთავაზება დაეფუძნება გამოკითხვის შედეგების ანალიზს და საჭიროების გამოვლენას.

<u>აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.</u>

4. <u>სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული</u>

სკოლის, მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის არადისკრიმინაციული და კანონდებლობის შესაბამისი. სკოლის პერსონალი, კლასის დამრიგებლები სისტემატურად აწვდიან ინფორმაციას სკოლის ვებგვერდის, საინფორმაციო შეხვედრების და დახურული ჯგუფების მეშვეობით ყველა მოსწავლეს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს სერვისების, დაგეგმილი შიდასასკოლო და ეროვნული ოლიმპიადების, ღონისძიებების, რესურსების და სერვისების შესახებ. განახლების პროცესი ეფუძნება მშობელთა და მოსწავლეთა გამოკითხვის შედეგებს. ***<u>აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.</u>***

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო- სასწავლო გეგმა;
- ინტერვიუს შედეგები;
- მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა დაშეწყვეტის მექანიზმები. სკოლის ვებგვერდი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;**

სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი; კერძოდ სკოლის დირექტორის ბრძანებით N2-148. 04.07.2023წ. დამტკიცებულია მოსწავლის გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმი. დოკუმენტში გაწერილია პირველკლასელთა და სკოლაში გადმოსული მოსწავლეების ადაპტაციის მექანიზმები და რეკომენდაციები მშობლებისთვის სკოლასთან ადაპტაციის ხელშესაწყობად. სკოლაში ხდება საბავშვო ბაღიდან სკოლაში ტრანზიციის პროცესის ხელშეწყობა. სასწავლო წლის დაწყებამდე ხდება მშობლის ინფორმირება საგნის მასწავლებლებისა და დამრიგებლების შესახებ. ეწყობოდა ღია კარის დღეები, რაც სკოლის რეაბილიტაციის გამო შეჩერებული იყო და ახალი სასწავლო წლიდან კვლავ იგეგმება. სკოლა ზრუნავს თითოეულ მოსწავლეზე, ხელს უწყობს ახლად გადმოსული მოსწავლის ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან. ყველა კლასის დამრიგებელი ახალგადმოსულ მოსწავლეს წარუდგენს კლასს, აცნობს სკოლის შიდა რეგულაციებს, თითოეული კაბინეტის განლაგებას და საერთო სარგებლობის სივრცეებით სარგებლობის წესებს. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მოსწავლეებისთვის სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშეწყობის მიზნით სპეციალური მასწავლებლები შეიმუშავებენ რეკომენდაციებს, რათა ხელი შეუწყონ ბავშვის ადაპტაციას სასკოლო გარემოში. 2023-2024 სასწავლო წლის დასაწყისში სამუშაო ჯგუფი დაინტერესებული მხარეების ჩართულობით შექმნის ტრანზიციის გეგმას, რომელიც ხელს შეუწყობს ერთიან სისტემაში მოაქციონ მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის აქტივობები. ***ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.***

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან.**

სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან. სკოლას აქვს ახალი გარემო. რეაბილიტაციის შემდეგ შეიცვალა საკლასო ოთახების, ლაბორატორიების, სველი წერტილების განლაგება. ამის გათვალისწინებით კლასის დამრიგებლებმა გადმოსვლის დღიდანვე გააცნეს მოსწავლეებს ახალი განლაგება და სკოლის ახალი გეოგრაფია. დამრიგებლების მიერ დგინდება მოსწავლეთა ინტერესები და საჭიროებები და განხორციელდება საჭიროების შესაბამისი აქტივობები. სკოლას აქვს შესაბამისად აღჭურვილი რესურსოთახი, რომელიც ხელმისაწვდომია ყველა სსსმ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

მოსწავლისთვის. სკოლაში არის ადაპტირებული სველი წერტილი და პანდუსი .ჰყავთ სპეცმასწავლებელი . ***აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.***

3. **მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;**

სკოლა სათანადო კონსულტირებას უწევს მოსწავლეს მისი მიღწევების გასაუმჯობელებლად, რისთვისაც იყენებენ მოსწავლეთა თვითშეფასების ინსტრუმენტებს და რემედიაციულ პროცესებს.
მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად, რადგან ორიენტირებულია მოსწავლეთა აკადემიური უნარების გაუმჯობესებაზე. კლასის ხელმძღვანელები საგნის მასწავლებლებთან თანამშრომლობით სისტემატიურად ახდენენ მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგს და რეგულარულად თვეში ერთხელ კომუნიკაციის სხვადასხვა საშუალებებით პირისპირ ან ელექტრონულად მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აწვდიან მოსწავლეთა აკადემიური შედეგების შესახებ ინფორმაციას. სკოლა მოსწავლეთა მიერ წლის განმავლობაში საგნისთვის დათმობილი საათების 30% და მეტი გაცდენის გამო ექსტერნის გამოცდამდე მართავს კონსულტაციებს მოსწავლის მშობელთან შეთანხმებით შედგენილი გრაფიკის შესაბამისად. ასევე სკოლის ფარგლებში იმართება შეხვედრები ერთ კლასში შემსვლელ მასწავლებელთა მონაწილეობით, სადაც განიხილავენ მოსწავლეთა საჭიროებებს, უზიარებენ გამოცდილებას და გეგმავენ სასწავლო პროცესს, რაც საშუალებას იძლევა მეტად ორიენტირებულები იყვნენ მოსწავლის მხარდაჭერაზე. ***ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.***

4. **სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;**

სკოლა აცხადებს მზაობას გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში გაუწიოს მოსწავლეს ადმინისტრაციული მხარდაჭერა კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით.
კლასის დამრიგებლები მოსწავლეთა მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან სასწავლო წლის დასაწყისში , ასევე მოსწავლეებთან სადამრიგებლო საათის ფარგლებში აცნობენ მათ უფლებებს და მოვალეობებსა და განხორციელების მექანიზმებს. მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს უფლება აქვს არ დაეთანხმოს საგნის სემესტრულ შეფასებას და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

მოითხოვოს ქულის ამაღლების მიზნით სემესტრული გამოცდის დანიშვნა. ასევე უფლება აქვს დისციპლინურ კომიტეტში მასთან დაკავშირებული საკითხის განხილვას ესწრებოდეს თვითონ და მისი მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი. დისციპლინური სახდელის დაკისრების შემთხვევაში, რომლის შესახებ ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტს გამოსცემს სკოლის დირექტორი, ეს აქტი უნდა გაეცნოს მშობელს, რომელსაც უფლება აქვს გაასაჩივროს იგი. სკოლაში დირექტორის ბრძანებით გამოყოფილია ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების განხორციელებაზე უფლებამოსილი პირი. ასევე, მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს მიეწოდებათ ინფორმაცია მანდატურის სამსახურთან არსებული ფსიქოლოგიური დახმარების ცენტრის შესახებ, სადაც მომსახურება უფასოა. მოსწავლეებს დროულად მიეწოდებათ ინფორმაცია ასაკობრივ და გაცდენების გამო ექსტერნატის ფორმით გამოცდის ჩატარების და ექსტერნად რეგისტრაციის ვადების შესახებ. გამოცდების დაწყებამდე მასწავლებლები სათანადო კონსულტაციას უწევენ მათ. აღნიშნული ბრძანება გამოკრულია სკოლაში თვალსაჩინო ადგილას და ასევე სკოლის ვებგვერდზე. სკოლაში გამოიცემა მოსწავლეების საბაზო და საშუალო საფეხურის დაძლევისა და მოსწავლეთა კლასიდან კლასში გადაყვანის ბრძანება. სკოლა განსაზღვრას პირველ კლასში მოსწავლეთა ლიმიტს, რომელიც აისახება ელექტრონულად Eschool-ის ბაზაში. ***<u>ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.</u>***

5. <u>სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას</u>.

სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას; სკოლაში მოსწავლეთა თვითმართველობის ინიციატივით, სკოლის ადმინისტრაციისა და სასკოლო საზოგადოების, ასევე ქალაქის მუნიციპალიტეტის დახმარებით განხორციელდა საქველმოქმედო აქცია: ,,ჩვენც დავბერდებით'', რომლის ფარგლებშიც მოსწავლეები ესტუმრენ მოხუცთა თავშესაფარს და გადასცეს მათ სასკოლო საზოგადოების მიერ შეგროვებული ნობათი. ასევე განხორციელდა სოციალური პროექტი : „ერთად ვებრძოლოთ მავნე ჩვევებს“, რომლის მიზანი იყო მოსწავლეებში ტოლერანტობისა და მულტიკულტურალიზმის ცნობიერების ამაღლება. ორწლიანი რეაბილიტაციის პირობებში, როცა სკოლა სხვა შენობაში ფუნქციონირებდა, პროექტები არასაკმარისად ხორციელდებოდა, ინტერვიუს დროს დირექციამ განმარტა,რომ 2023-2024

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

სასწავლო წლიდან აღდგება კლუბების მუშაობა და მოსწავლეთა ინიციატივის შემთხვევაში დაემატება სხვა კლუბებიც ***აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.***

6. **მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.**

დაწესებულების დირექტორის განმარტებით, მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

სკოლაში არაფორმალური განათლების ფარგლებში ფუნქციონირებდა ინგლისური კლუბი, რომლის ერთწლიანი მუშაობის დასრულების შემდეგ კლუბის წევრებმა შეავსეს ე.წ. ,,კმაყოფილების კითხვარი", რაც საფუძველი გახდა იმისა, რომ მომდევნო წელს განახლებულიყო კლუბის საქმიანობა გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად. სამოტივაციო წერილების შინაარსის გათვალისწინებით კლუბმა მუშაობა განაგრძო ორი მიმართულებით: ,,დრამატული წრე და ხალისიანი გრამატიკა''. სკოლაში მოეწყო მოსწავლეთა და მშობელთა/ კანონიერ წარმომადგენელთა გამოკითხვა სასკოლო ფორმის დიზაინის შერჩევის თაობაზე. ამჯერად მიმდინარეობს მშობელთა გამოკითხვა სასკოლო წრეების შესახებ, დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის მიღების თვალსაზრისით, რათა მოხდეს მომსახურეობის გაუმჯობესება. ***ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.***

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ინტერვიუს შედეგები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა.

სკოლის ვებგვერდი.

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის.

მოსწავლეები ღია კარის დღეს სტუმრობენ უმაღლეს სასწავლებლებს, ეცნობიან მათთვის საინტერესო საგანმანათლებლო პროგრამებს. სკოლა იწვევს სხვადასხვა სასწავლებლის წარმომადგენლებს, რათა მათ ინფორმაცია მიაწოდონ მოსწავლეებს და დაეხმარონ პროფესიული არჩევანის გაკეთებაში.

სკოლა სამომავლოდ გეგმავს კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურების ხელმისაწვდომობა გაზარდოს. სკოლაში საერთაშორისო პროექტის ფარგლებში ჩატარდა ინტეგრირებული გაკვეთილი კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის შესახებ, რომელზეც მოსწავლეებმა შეისწავლეს პროფესიული რეზიუმეს შევსება და გაითამაშეს ინტერვიუ დამსაქმებელს და დასაქმებულს შორის. ამ აქტივობამ ხელი შეუწყო მოსწავლეებში პროფესიული არჩევანის განვითარებას. სკოლაში ხორციელდება საგაკვეთილო და სადამრიგებლო პროექტები. აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი შესაძლებელია დაკმაყოფილებულად ჩაითვალოს.

2.სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით; აცნობს ინფორმაციას ეროვნული გამოცდების ცენტრის მიერ ინიცირებულ სიახლეებზე, კერძოდ, ღია კარის დღეს, საგამოცდო ფორმატის ცვლილებების, ახალ პროგრამების, ასევე, სრულ ინფორმაციას პროფესიულ სასწავლებლებზე. სხვადასხვა ორგანიზაციასთან იმართება საინფორმაციო ხასიათის შეხვედრები. სკოლა თანამშრომლობს აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტთანაც, რომლის ფარგლებში სკოლის საშუალო საფეხურის მოსწავლეებთან იმართება შეხვედრები უნივერსიტეტის პროგრამებთან დაკავშირებით. 2023-2024 სასწავლო წლიდან დაგეგმილი გვაქვს ამ მიმართულებით, კერძოდ საბაზო საფეხურის მე-9 კლასის მოსწავლეებისთვის და საშუალო საფეხურის მოსწავლეებისთვის დაიგეგმოს ვიზიტები ქუთაისში და მის ახლომდებარე რაიონებში მცირე ბიზნესის წარმომადგენლებთან. საწარმოებში (სამკერვალო საწარმო „იმერი“, მეტალურგიული საწარმო, კოლეჯი „იბერია“ და ა. შ. ***<u>აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.</u>***

3. <u>სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.</u>

სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს. აგროვებს ინფორმაციას კურსდამთავრებულთა პროფესიულ არჩევანთან დაკავშირებით, თუ რამდენად აღწევენ ისინი დასახულ მიზნებს. 2023-2024 სასწავლო წლიდან მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, იგეგმება უკუკავშირი მიიღონ სასკოლო საზოგადოების ყველა რგოლიდან, ამისათვის Teams – ის პლატფორმა Forms - ში ჩაატარებენ გამოკითხვას, საიდანაც მიიღებენ ინფორმაციას მათ მიერ გაწეული მომსახურეობის ხარვეზებზე, რათა შემდგომ დაგეგმონ აქტივობები მომსახურეობის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.***<u>აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.</u>***

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ინტერვიუს შედეგები.
  სასკოლო პროექტები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. <u>**სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;**</u>

სკოლას, ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად, სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმები. კერძოდ სასწავლო წლის დასაწყისში სკოლა ქმნის ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმას, სადაც გაწერილია გასახორციელებელი აქტივობები, მათი შესრულების ვადები და პასუხისმგებელი პირები. სამოქმედო გეგმა მოიცავს შემდეგ მიმართულებებს, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების შეფასება და დასკვნის შედგენა, სტატუსის მინიჭებისა და მოხსნის რეგულაცია , მოსწავლის სწავლასთან დაკავშირებული სირთულეების იდენტიფიცირება. სკოლას ამ დრომდე არ ჰქონია მოსწავლეთა სირთულის პირველადი მართვის მექანიზმები,
მომავალში ასეთი საჭიროების შემთხვევაში, იხელმძღვანელებენ ეროვნული სასწავლო გეგმით, შეიქმნება სპეციალურ მასწავლებელთან ერთად მოსწავლის ძლიერ მხარეებზე დაფუძნებულ აქტივობათა და რესურსთა ჩამონათვალი, რასაც გამოიყენებენ მოსწავლესთან სამუშაოდ. ყველა მოსწავლისთვის ცალ-ცალკე იქმნება ისგ ჯგუფი, რომლებიც უზრუნველყოფენ სპეც. მასწავებელთან კოორდინირებულ მუშაობას. მშობელი ყოველთვის ესწრება ისგ ჯგუფის შეხვედრებს, სადაც იგეგმება შესაბამისი აქტივობები. ხდება ინდივიდულური შეხვედრები სსსმ მოსწავლის მშობლებთან კონსულტირება-ინფორმირებისა და შესასრულებელ სავარჯიშოებისა და მიღწევების შესახებ ინფორმირების მიზნით. დირექტორის ბრძანებით იქმნება შიდა მონიტორინგის ჯგუფი , რომელიც მონიტორინგს უწევს ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმის შესრულებას. ყველა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

საგნობრივ კურიკულუმში გათვალისწინებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმები და ადაპტირებული კომპლექსური დავალებები. ***ინდიკატორი სტანდარტთან შესაბამისია.***

2.სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

სკოლაში თითოეული მოსწავლისთვის დირექტორის ბრძანებით იქმნება ისგ ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს ინდ. გეგმების შემუშავებას და განხორციელების ხელშეწყობას.
სკოლას აქვს რესურსოთახი, შესაბამისი რესურსებით, ჰყავს სპეციალური მასწავლებელი. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.
სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია ისგ ჯგუფის ფორმირება. ისგ ჯგუფის მუშაობა ეფუძნება მასწავლებელთა და მშობლის ერთობლივ საქმიანობას. შექმნილია მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც ახორციელებს მონიტორინგს, აღნიშნულ მოსწავლეებთან მუშაობისას საგნის მასწავლებლები კონსულტაციას გადიან სპეცმასწავლებელთან ,რომ მოხდეს მათთვის მისაწოდებელი მასალების ადაპტირება. ურთიერთთანამშრომლობით დგება კომპლექსური დავალების ადაპტირებული ვარიანტი,რომლის შედეგების ანალიზს ეფუძნება შესაბამისი ცვლილებები. ინდ. გეგმები შემუშავებულია მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის საფუძველზე და მორგებულია მოსწავლის საჭიროებებზე, შესაძლებლობასა და უნარებზე . სსსმ მოსწავლეების განვითარებაზე ზრუნავს მთელი სკოლა. ***ინდიკატორი სტანდარტთან შესაბამისია.***

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- ინდ. გეგმის შემუშავების ჩარჩო დოკუმენტი;
- რესურსოთახი, შესაბამისი რესურსები;
- სპეციალურ მასწავლებელთან დადებული ხელშეკრულება;
- ინტერვიუს შედეგები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

4.2.4.სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. <u>**სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);**</u>

სკოლას ამ ეტაპზე არ აქვს არასავალდებულო ხასიათის მომსახურეობა, რადგან სკოლის შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოების გამო სკოლა სხვა შენობაში იყო გადასული. ინტერვიუსას ადმინისტრაციამ განმარტა, რომ ახალი სასწავლო წლიდან იგეგმება სხვადასხვა სერვისის შეთავაზება, რაც სასკოლო საზოგადოების სურვილების გათვალისწინებით განისაზღვრება და რისი კარგი გამოცდილებაც აქვს სკოლას. ***<u>ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.</u>***

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

2. <u>სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას; სკოლას ამ ეტაპზე არ აქვს დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურეობა.</u>

სკოლას ამ დროისთვის არ აქვს დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება. არსებობის შემთხვევაში მომსახურება განხორციელდება ნებაყოფლობის პრინციპით, კანონმდებლობის შესაბამისად.

<u>ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.</u>

3. <u>შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.</u>

სკოლას ამ დროისთვის არ აქვს დამატებითი სახის მომსახურეობა. ყველა სახის დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურეობა დადგინდება მოსწავლეთა და მშობელთა ინტერესების საფუძველზე.
<u>ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები

- ინტერვიუს შედეგები;
- სასწავლო სასკოლო გეგმა;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი **<u>დაწყებითი საფეხური</u>**	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	■ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;

1. დაწყებით საფეხურზე სკოლას აქვს განსაზღვრული კურიკულუმის შემუსავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, რომელიც მისცემს სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. დოკუმენტში მკაფიოდაა ჩამოყალიბებული კურიკულუმის ჩამოყალიბებისა და შემდგომი განვითარების ეტაპები,ჩაშლილია შემადგენელი ნაწილებისა და კომპონენტების შესახებ ინფორმაცია. ყველა საგნის ექსპერტის აზრით, სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაშია აღნიშნული,რომ ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის წინა/მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი პროცესების/წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზება, სადაც გაანალიზებულია მოსწავლეთა ჩართულობა სასწავლო პროცესში, მოსწავლეთა შედეგები, მშობელთა ჩართულობა, შესაბამისი უკუკავშირი და ა.შ და ამის მიხედვით ხდება მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის შედგენა. აქედან გამომდინარე, კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

გათვალისწინების შესაძლებლობას ტექნოლოგიების მიმართულებით წარმოდგენილი კურიკულუმები ამ ეტაპზე შექმნილია მასწავლებელთა არსებული გამოცდილების საფუძველზე. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ სამომამვლოდ გეგმავენ სასკოლო საზოგადოება, მათ შორის მოსწავლეები და მშობლები მეტად ჩართონ კურიკულუმის შემუშავების პროცესში და გაითვალისწინონ მოსწავლეთა ინტერესები და შესაძლებლობები. **ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება**

2. ექსპერტები ერთხმად აღნიშნავენ, რომ კურიკულუმის შემუშავებაში სასკოლო საზოგადოების წევრები აქტიურად იღებდნენ მონაწილეობას.მაგალითად, მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინება მოხდა იმ კუთხით, რომ სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით ,ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის წინა/მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი პროცესების/წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზება, სადაც გაანალიზებულია მოსწავლეთა ჩართულობა სასწავლო პროცესში, მოსწავლეთა შედეგები, მშობელთა ჩართულობა და ა.შ და ამის მიხედვით ხდება მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის შედგენა. აქედან გამომდინარე კურიკულუმში ასახუალია სასკოლო საზოგადოების ინტერესები.სახელმწიფო ენის ექსპერტი აღნიშნავს,რომ პედაგოგებმა ინტერვიუსას ისაუბრეს კომპლექსური დავალების იდეებში მოსწავლეთა ინტერესებსა და შესაძლებლობებზე, რაც გულისხმობს სწავლა/სწავლებისას დიფერენცირებულ მიდგომებს. ინტერვიუს დროს ნათელი გახდა, რომ მასწავლებლები კურიკულუმის შემუშავების პროცესის უშუალო მონაწილეები არიან და გათვალისწინებულია მათი ინტერესები და ღირებულებები. **ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება**

3. დაწყებით საფეხურზე კურიკულუმის შემუშავება ხდება საგნობრივ კათედრაზე. კერძოდ, სხვადასხვა კლასის მასწავლებლები სხდებიან ერთად და შეთანხმების საფუძველზე განსაზღვრავენ თემების, საკითხების, რესურსების, დავალებებისა და დასამუშავებელი სამიზნე ცნებების ჩამონათვალს. ამაზე ინტერვიუს დროს ისაუბრეს მასწავლებლებმა. მათ ააქვთ მოსწავლის ინტერესების გათვალისწინებით, კომპლექსური დავალებების განსაზღვრის პრაქტიკა, ასევე წინარე გამოცდილების მსგავსად გეგმავენ სკოლაში რეგულირებული მშობელთან ურთიერთობების დებულების თანახმად მათგან უკუკავშირის საშუალებით მშობელთა ჩართვას ამ პროცესში. მომდევნო სასწავლო წელს გეგმავენ თემატური ერთეულების ფარგლებში ჩაატარონ კათედრის სხდომა, პარალელურმა კლასებმა ერთობლივად წარმოადგინონ რეფლექსია განხორციელებულ კომპლექსურ დავალებაზე, გამოავლინონ პრობლემები და მისი დანერგვის ეფექტური გზები. **ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება**

4.დაწყებითი საფეხურის სკოლის კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაშია საუბარი კურიკულუმების საბოლოო ვერსიის ხელმისაწვდომობას სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისათვის უზრუნველყოფს სკოლა და შესაბამისი საგნების მასწავლებლები. სასკოლო საზოგადოებასთან უკვე შეთანხმებული და არჩეული არის შეფასების მეორე მოდელი, რაც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

განმსაზღვრელი შეფასების დაწერას ითვალისწინებს მხოლოდ შემაჯამებელ სამუშაოებში. ყველა მასწავლებელს გათავისებული აქვს ცნებების თეორიაზე გადასვლის სიკეთეები და მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები. სკოლა გეგმავს,, მას შემდეგ რაც სრულყოფილი საგნობრივი კურიკულუმი გაზიარდება სასკოლო საზოგადოებაში, როგორც სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილი, გასაჯაროვდება სკოლის ვებ-გვერდსა და საინფორმაციო დაფაზე. ამ ეტაპზე მშობლებისთვის დაგეგმილი კომპლექსური დავალებების გაცნობა კომპლექსური დავალებების ბარათების და სოციალური ქსელის საშუალებით ხდება, სამომავლოდ კურიკულუმთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისა და მათი უკუკავშირის მისაღებად გამოიყენებენ სხვადასხვა საკომუნიკაციო არხს, მაგ. ელექტრონული ფოსტა, სასკოლო საჯარო ღონისძიებები, სოციალური მედია და სხვა. **ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო;
- ,,მშობელთან ურთიერთობის დებულების“ დოკუმენტი;
- პედსაბჭოს სხდომის ოქმი N 5 ;
- 2023–2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა.
- ,,კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის“ დოკუმენტში;
- პედსაბჭოს ოქმი N 2;
- ,,მოსწავლეთა ინტერესების მხარდამჭერი მექანიზმების“ დოკუმენტი;

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;

დაწყებით საფეხურზე შემუშავებული კურიკულუმი უმეტესად წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. მნიშვნელოვანია ის, რომ სკოლა გეგმავს მოსწავლეზე ორიენტირების პროცესისათვის გრძელვადიანი მიზნების მიღწევის გზა შუალედური მიზნებით ისე იყოს დაფარული, რომ სწავლა–სწავლების პროცესში ხორციელდებოდეს კომპლექსური დავალებების შესრულება. სკოლასთან გასაუბრებისას მკაფიო გახდა, რომ იგი გეგმავს ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე უზრუნველყოს თემის ფარგლებში ყველა სამიზნე ცნების დაფარვა. ასევე სკოლას შემუშავებული აქვს „მოსწავლეთა ინტერესების მხარდამჭერი მექანიზმების“ დოკუმენტი, რომლითაც დასახულია მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზა.

შემუშავებულია იმ გამოცდილების ხარჯზე, რაც სკოლას აქვს დაგროვილი, სადაც აღწერილია ის პროცესები, თუ როგორ ესახებათ მასწავლებელს, კონკრეტულ კლასში აჩვენონ მოსწავლეთა განვითარებაზე ორიენტირებული პროცესები. მასში ჩანს თემები როგორ იშლება საკითხთა კლასტერად და როგორ ახდენს მოსწავლე საყოფაცხოვრებო დანიშნულების კონტექსტით მის სიღრმისეულ შესწავლას, იქვე ყურადღება მახვილდება დიფერენცირებული სწავლების მიდგომებზე და ამოცანებზე, ასევე საკითხთა კლასტერი არის დალაგებული იმდაგვარად, რომ დაცულია ბალანსი შესასწავლი საკითხების რიგითობას შორის. ამასთან გასაუბრებაზე აღინიშნა, რომ პედაგოგებისათვის მნიშვნელოვანია შერჩეულ იქნას ის სასწავლო აქტივობები, რომელიც სწავლების პროცესში ხელს შეუწყობს მოსწავლეთა განვითარების გზის ჩვენებას, რათა თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური თავისებურებები იქნას გათვალისწინებული და შემდგომ ასახული კურიკულუმში. **ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება**.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ინდიკატორი 2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);

დაწყებით საფეხურზე საგნობრივი კურიკულუმები სახელმწიფო ენაში მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, ვინაიდან საგნობრივ ჩარჩოებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები ორიენტირდება განსაზღვრულ სამიზნე ცნებაზე, ხოლო ამ ცნებათა დაძლევისათვის განსაზღვრული კომპლექსური დავალებების იდეების რეალიზების გზა, იძლევა შესაძლებლობას, დაძლეული იყოს გლობალურ – ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, რაც, ფაქტია, კომპლექსური ბუნების დავალებების მახასიათებელია.

დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტი ასახავს მათემატიკის სამ გრძელვადიან მიზანს: მათემატიკური მოდელი, კანონზომიერება, ლოგიკა. რომლებიც ქვეცნებებად იშლებიან თემის ფარგლებში. იქვე მოყვანილია კონტექსტ მაგალითი და ძირითადი ქეისი, რომლის შესრულებითაც მასწავლებელი გაიყვანს მოსწავლეებს 6 ფუნქციურ გლობალურ უნარებზე, ასევე წარმოდგენილია სასწავლო პროექტი, რომელიც გაწერილია იმ ძირითადი განსახორციელებელი აქტივობების დაცვით, რაც უნდა შეასრულოს მოსწავლემ და ამით განივითაროს მოქალაქეობრივი, კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა ხასიათი და ნებელობა, კომუნიკაციისა და კოლაბორაციის უნარ ჩვევები ასევე ეს კომპონენტები ხშირად აქტიურდება კომპლექსური დავალების ქუდის ქვეშ. ა საბოლოოდ პროცესი იქეთ მიდის, რომ დაკმაყოფილებულია საგნის ფარგლებში მაკრო ცნებები კავშირები, ლოგიკა და სხვა.

ინგლისური/რუსული ენებში დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოები მიემართება საგნობრივ სამიზნე ცნებებეზე, მოიაზრებს მოსწავლეებში გლობალურ-ფუნქციური უნარების გააქტიურებას. წარმოდგენილი კომპლექსური შინაარსის მქონე დავალებების იდეების/ძირითადი საკითხების , შესასრულებლად მოსწავლეებს სჭირდებათ მასალის სიღრმისეული გააზრება, მაღალი სააზროვნო უნარების აქტივირება, მაგ, რუსულ ენა , V კლასი , კომპლექსური დავალება: დედის დღის მისალოცი ბარათის შექმნა/პრეზენტაცია, ალბომის პრეძენტაცია თემაზე „ჩემი საყვარელი წელიწადის დრო“.

სკოლის მიერ შემდგომი სასწავლო წლისათვის წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმი ბუნებისმეტყველებაში მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. კურიკულუმის ჩარჩოში თითოეული კლასისთვის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად განსაზღვრულია გრძელვადიანი მიზნები, მუშავდება ყველა სამიზნე ცნება, მასწავლებლებს აქვთ გამოცდილება და მზაობა იმისათვი, რომ დაგეგმონ და განახორციელონ პროცესი საინტერესოდ, რათა მიზანმიმართული იყოს, მოსწავლის გლობალურ-ფუნქციური უნარების განვითარებაზე. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში მკაფიოდაა განსაზღვრული, რომ კურიკულუმის მთავარი ორიენტირი სკოლისთვის არის ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიანი მიზნები (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი),

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები) აგრეთვე გამოკვეთილია რომ კურიკულუმის განვითარების პროცესის მთავარი პრინციპია სასკოლო კურიკულუმის შემუშავება მოხდეს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად; ხდება საკითხების შერჩევა, რომელიც ისწავლება სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულ საგნებში საფეხურის ფარგლებში (იმის გათვალისწინებით, თუ რამდენად დაძლიეს მოსწავლეებმა წინა წლის სასწავლო გეგმით განსაზღვრული პროგრამა); საკითხების განსაზღვრა, რომლებიც ისწავლება სხვა საგნის საკითხებთან ინტეგრირებით; იმის განსაზღვრა, თუ რა ფორმით უნდა გამოხატოს მოსწავლემ ცოდნა შესასწავლ საკითხთან/საკითხებთან დაკავშირებით (თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით); საზოგადოებრივი მეცნიერებების დაწყებითი საფეხურის კათედრის მასწავლებლებმა წარმოადგინეს სამიზნე ცნებებზე ფოკუსირებით, რომლებსაც უფრო აზუსტებს და მკაფიოს ხდის სამიზნე ცნებებთან დაკავშირებული ქვეცნებები. ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების მიხედვით დაგეგმილ საგნობრივ კურიკულუმებში („მე და საზოგადოება“, „ჩვენი საქართველო“) სასწავლო პროცესი აგებულია სავალდებულო თემების მიხედვით, რომლის ფარგლებშიც მუშავდება ეროვნული სასწავლო გეგმის ყველა შედეგი და სამიზნე ცნება. საგნობრივ კურიკულუმებში ასევე გამოკვეთილია საკითხთა ის კლასტერები და შესაბამისი კონტექსტ-მაგალითები, რომლეთა გამოყენებითაც მასწავლებლებმა მოსწავლეებისათვის დაგეგმეს იმ საკითხების კომპლექსურად შესწავლა, რომელიც საგაკვეთილო პროცესში ნაბიჯ-ნაბიჯ გააქტიურებს ისეთ ფუნქციურ-კომპონენტურ უნარებს როგორიცაა: კრიტიკული აზროვნება, თანამშრომლობა, კომუნიკაცია, შემოქმედებითობა, ნებელობა, მოქალაქეობა. საგნობრივი კურიკულუმები („მე და საზოგადოება“, „ჩვენი საქართველო“) წარმოდგენილია ისეთი კომპლექსური ბუნების დავალებები, სადაც მოსწავლე საკუთარ გამოცდილებასთან ინტეგრირებულად და მიზნობრივად გამოიყენებს ახალ ცოდნას, ვებს. შეაფასოს, შეძლოს თვითშეფასება რაც ეხმარება მისი პიროვნული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებასა და ითხოვს არა მხოლოდ ამ უნარების აქტივირებას, არამედ წაახალისებს მათ გაცნობიერებას, გააზრებულობასა და სრულყოფას.

დაწყებითი საფეხურის მუსიკის და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმის ჩარჩო და მასში წარმოდგენილი სამიზნე ცნება/ცნებები, რესურსები, კომპლექსური დავალების იდეები იძლევა შესაძლებლობას განსაზღვროს მოსწავლის მაქსიმალური ჩართვა პროცესში, მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიანი მიზნების მიღწევისაკენ, ითვალისწინებს საგნობრივ მოთხოვნებს და ორიენტირდება ფუნქციურ კომპონენტური ექვსი უნარის დამუშავებასაკენ , რადგან კომპლექსური ტიპის დავალებები თავისი ბუნებით მოსწავლეებისგან ავტომატურად ითხოვს ყველა ამ უნარის არა მხოლოდ აქტივირებას, არამედ წაახალისებს მათ გაცნობიერებას, გააზრებულობასა და სრულყოფას.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტს,

ინდიკატორი 3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;

კურიკულუმების ჩარჩოში განსაზღვრული კომპლექსური დავალებების იდეები, კომპლექსური დავალებები, იმთავითვე გულისხმობს სასწავლო პროცესში დიფერენცირებული სწავლების გათვალისწინებას. დაწყებით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

საფეხურზე სკოლა მიზნად ისახავს სწავლებაში ინკლუზიურ მიდგომებს. რაც ინდ ჯგუფის სხდომის ოქმებში (ოქმი N1, N2, N3) და პედსაბჭოს ოქმი N5 –დან საკითხით „ისგ–ს ჯგუფის შედეგების შეჯამება“ მკაფიოდ იკითხება. სკოლას შემუშავებული აქვს „სსსმ მოსწავლისათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციის“ დოკუმენტი, რითაც არეგულირებს სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდებას. სკოლაში ვიზიტისას პედაგოგებთან საუბრიდან ნათელი გახდა, რომ მათი პრაქტიკა ფრიად რეალური და გამოცდილებაზეა დაფუძნებული დიფერენცირებული თუ ინკლუზიური მიდგომების განხორციელების თვალსაზრისით.

კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში ნათქვამია, სწავლების ეფექტიანად წარმართვისათვის აუცილებელია მოხდეს თითეული მოსწალის ჩართვა საგაკვეთილო პროცესში, შესასრულებელი დავალება ცხადი და ადვილად გასაგები, რომ იყოს მათთვის მაგ: კომპლექსური დავალების პირობა ყველასათვის ცნობილი უნდა იყოს პირველივე გაკვეთილზე, ამასთან ერთად შესაძლებელია დავალების შინაარსისი დიფერენცირება ტიპური განვითარების მოსწავლეებისათვის. სკოლა ასევე ზრუნავს სსსმ მოსწავლეთა განვითერბაზე შემუშავებული აქვთ შესაბამისი სასწავლო გეგმები რომელშიც არ არის შეკვეცილი სამიზნე ცნებები, მხოლოდ კომპლექსური დავალების და მკვიდრი წარმოდგენების ოპტიმიზაციაა მოსწავლის შესაძლებლობიდან გამომდინარე კორექტირებული.

სკოლაში შექმნილია ისგ-ის ჯგუფი, რომელიც შეისწავლის სსსმ მოსწავლის საჭიროებებს და შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას. სკოლას ყავს 4 სსსმ მოსწავლე . დაწესებულების მიერ მოწოდებულ დანართებში წარმოდგენილია ისგ-ის ნიმუში ერთ მოსწავლისათვის ინგლისურ ენაში (III კლასი), რაც არის ერთ-ერთი დასტური იმისა, რომ რომ უცხოური ენების კათედრის მიერ წარმართული სასწავლო პროცესი ითვალისწინებს ინკლუზიურ მიდგომებს. კათედრის მიერ მოწოდებულ დოკუმენტაციაში არ ჩანს,როგორ ახდენენ კომპლექსური დავალებების დიფერენცირებას, თუმცა მათ ზეპირად განიხილეს დაწყებით საფეხურზე ერთი დავალების დიფერენცირების გზები . ასევე ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ უცხოური ენის მასწავლებლები შეისწავლიან მოსწავლეთა ინტერესებს, საჭიროებებს,შესაძლებლობებს და ყოველივე ამის გათვალისწინებით გეგმავენ სასწავლო პროცესს, იყენებენ დიფერენცირებული სწავლების სტრატეგიებს, აძლევენ მოსწავლეებს პროდუქტის ფორმის არჩევანის შესაძლებლობას. მომავალი სასწავლო წლისთვის სრულყოფილ კურიკულუმებში გათვალისწინებულ იქნება კომპლექსური დავალებების დიფერენცირება მაღალი, საშუალო და დაბალი მზაობის მოსწავლეებისათვის. სკოლას წამოდგენილი აქვს ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა. აგრეთვე სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციას დოკუმენტი საიდაც გამოკვეთილია სააჯარო სკოლა როგორ არეგულირებს სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდებას. გაწერილია სწავლასთან დაკავშირებული სირთულეების იდენტიფიცირებისა და სსსმ სტატუსის მოპოვების ,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავებისა და შესრულების რეგულაციები. მასწავლებლები ქმნიან ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს სსსმ მოსწავლეთა აკადემიური, კოგნიტური და შემეცნებითი უნარ-ჩვევების გათვალისწინებით, უზრუნველყოფენ, რომ სსსმ მოსწავლეები თანაბრად იყვნენენ ჩართული საგაკვეთილო პროცესში და სასკოლო ცხოვრებაში. აქტიურად ქმნიან სასწავლო ადაპტირებულ რესურსებს. დაგეგმილია აქტივობები, განსაზღვრულია მასალის მიწოდების, წარმოდგენის სხვადასხვა ფორმა, ყველა ტიპის მოსწავლის ინტერესების, შესაძლებლობების და საჭიროებების გათვალისწინებით. გაკვეთილზე ხდება მრავალფეროვანი რესურსის გამოყენება; წარმოდგენილი დოკუმენტაციის და გასაუბრების შედეგად კათედრას აქვს არსებულ გამოცდილებაზე დაყრდნობით ხედვა და მზაობა სასწავლო პროცესში გაითვალისწინოს დიფერენცირებულ/ინკლუზიური მიდგომები.
წარმოდგენილი თემები, საკითხები მასწავლებლის მიერ შეთავაზებული სხვადასხვა აქტივობები, როგორიცაა პრეზენტაცია, კედლის გაზეთი, ბუკლეტი განხორციელებას გულისხმობს, ხოლო კომპლექსური დავალებების პირობაში, გათვლილი ფესტივალი, მასწავლებელი მოსწავლეებს ინდივიუალურ მათ შესაძლებლობაზე გათვლილ დავალებებს, როგორიცაა: საორგანიზაციო საკითხები, სპორტული ინვენტარის დაწყობაში დახმარება, მსაჯობა სთავაზობს მოსწავლეთა დიფერენცირებულ მიდგომას ითვალისწინებს.

ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.

ინდიკატორი 4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;

სკოლას სასკოლო–სასწავლო გეგმაში განსაზღვრული აქვს მოსწავლის შეფასების მიზნები. სკოლა გეგმავს 2023–2024 სასწავლო წელს განმსაზღვრელ შეფასებად გამოიყენოს **მეორე მოდელი,** რაც პედსაბჭოს სხდომის ოქმში აქვს გაწერილი. განმსაზღვრელი შეფასების საშუალებით ადგენენ მოსწავლის აკადემიური მიღწევის დონეს საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებაში. აფასებს ცოდნათა ურთიერთდაკავშირების, ცოდნის სამივე კატეგორიის გამოყენებისა და ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარს; ხოლო განმავითარებელი შეფასებით ადგენს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას და მიმართულია სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე. მისი მიზანია ხელი შეუწყოს მოსწავლის წინსვლასა და განვითარებას. განმავითარებელი შეფასებით ფასდება ცოდნის კონსტრუირებისა და ცოდნათა ურთიერთდაკავშირების პროცესი, მოსწავლის მიერ თავისივე ძლიერი და სუსტი მხარეების დადგენის უნარი, ცოდნის სამივე კატეგორიის ათვისების პროცესი, ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარი, ასევე დგინდება წინარე ცოდნა/წარმოდგენები. მაგალითისათვის მოსწვალის შეფასების მექანიზმად სკოლას წარმოდგენილი აქვს „სამიზნე ცნებებზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ორიენტირებულ განმავითარებელი შეფასების“რუბრიკა და „სამიზნე ცნებებზე ორიენტირებული განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა“, რომლებიც წარმოადგენენ სწავლა-სწავლების პროცესში მეთოდიკური ორიენტირების რეალიზების საშუალებას. კურიკულუმის ჩარჩოში ჩაშენებული კომპლექსური დავალებების იდეები, ბუნებრივად გულისხმობს და შეიცავს შეფასების კრიტერიუმებს, რაც მომდინარეობს სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენებიდან და ფარავს მას. აღნიშნული შეფასების კრიტერიუმები სკოლას უზრუნველყოფს კურიკულუმის განხორციელებისას ეფექტურად მიმართოს განმავითარებელ შეფასებას. თუმცა სკოლას ასევე აქვს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები, როგორებიცაა: პრეზენტაცია, ექსპერიმენტი, ესე, დისკუსია, დებატი, პროდუქტის შექმნა და ა.შ. ასეთი აქტივობების შემდეგ განხორციელებული უკუკავშირი, მოსწავლეებს აძლევს იმის შესაძლებლობას, უკეთ დაინახოს მიზნის მისაღწევად გასავლელი გზა.

ინდიკატორი 5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი . სკოლას შექმნილი აქვს „კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის“ დოკუმენტი, რომელშიც გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი. რაც სკოლაში არსებულ გამოწვევებსა თუ მიგნებებს ეყრდნობა. სკოლა ამავდროულად გეგმავს, შემდგომში მეტად ხელმისაწვდომი გახადოს და გააზიაროს კურიკულუმის დანერგვის პროცესები, რათა უფრო ეფექტური გახდეს წინარე გამოცდილებაზე დაფუძნებული კურიკულუმის შემუშავება. სკოლასთან ვიზიტისას რევიზირების პრაქტიკას დამაჯერებლად გაესვა ხაზი. დაწყებით საფეხურის მოწოდებული კურიკულუმების ანალიზის შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ მათემატიკის პედაგოგები ყურადღებას აქცევენ მოსწავლეებში წინარე ცოდნის საფუძველზე ააგოს ახალი ცოდნა ამის მაგალითია, საკითხთა კლასტერი, სადაც თითოეული საკითხი იმგვარად არის წარმოდგენილი მათ შორის ეტაპობრივი განვითარების ნაბიჯები კარგად ჩანს, ამასთან ერთად მოწოდებული კომპლექსური დავალების ნიმუში გვაფიქრებინებს, მასწავლებელი წინარე ცოდნის გამააქტიურებელი კითხვებით ცდილობს ახალი ცოდნაზე გადასვლას. აქვე აღვნიშნავ მასწავლებლებმა გასაუბრებაზე ისაუბრეს რომ საჭიროა სწავლების პროცესში მოხდეს წინასწარ თემის შესწავლის დაწყებამდე წინარე ცოდნის *დიაგნოზირება.*უცხოური ენების კათედრის წევრებმა ინტერვიუში განაცხადეს, რომ ითვალისწინებენ წინარე გამოცდილებას. აკეთებენ მონიტრინგსა და შეფასებას, ხოლო შემდეგ რევიზია- გადასინჯვას. ეს ეხმარება მათ, დაადგინონ კლასების სპეციფიკა, შესაძლებლობები, საჭიროებები.მათი გათვალისწინებით გაგრძელდება და დაიხვეწება კურიკულუმზე მუშაობა. კათედრაზე ეს ანალიზი ძირითადად ზეპირი ფორმით მიმდინარეობდა , კათედრების სხდომებსა თუ სასკოლო საზოგადოების შეხვედრებისას, თუმცა სამომავლოდ შეიმუშავებენ წერილობითი ფორმის ანალიზს, რათა მეტად თვალსაჩინო, ვალიდური და გამჭვირვალე იყოს ეს პრაქტიკა. სასკოლო კურიკულუმის შემუშავება ხდება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად; კურიკულუმის განახლება ხდება ყოველწლიურად მთელი წლის განმავლობაში შეგროვილი მონაცემების საფუძველზე; სასკოლო კურიკულუმის რევიზიის პროცესში გადაწყვეტილებები მიიღება მონიტორინგისა და შეფასების ეტაპზე გამოკვეთილი პრობლემების შესწავლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

საფუძველზე; კურიკულუმი ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს; სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესი მჭიდრო კავშირშია სკოლაში მიმდინარე დამხმარე და მმართველობით პროცესებთან. კურიკულუმის შემუშავებაზე მუშაობა იწყება კონცეპტუალურ ჩარჩოს შესახებ მსჯელობით. განხილვის საგანია გამოწვევები, რომლებიც იკვეთება მოსწავლეზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პარადიგმის რეალიზების/ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების დანერგვის პროცესში (სასწავლო პროცესის ორიენტირება გრძელვადიან მიზნებზე, სასწავლო პროცესის დაფუძნება კონსტრუქტივისტულ საგანმანათლებლო პრინციპებზე, უპირობოდ პოზიტიური სასწავლო გარემო შექმნა): დაწყებითების კათედრის პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს რომ ზოგიერთ კურუკულუმში შესული კომპლექსური დავალების იდეა წინა სასწავლო წლის გამოცდილებაზე დაყრდნობით დაგეგმეს და აპირებენ წინა წლის საქმიანობის ანალიზის გამოცდილების გათვალისწინებით დაიგეგმოს საგნის კურიკულუმი. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზიდან და კათედრის წევრებთან ფოკუს-ჯგუფის ფარგლებში განხორციელებული ინტერვიუს შედეგად ჩანს, რომ მასწავლებლებს აქვთ სამომავლო ხედვა და მზაობა დაგეგმვის პროცესში გაითვალისწინონ წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო
- „მოსწავლეთა ინტერესების მხარდამჭერი მექანიზმენის“ დოკუმენტი,
- ინდ ჯგუფის სხდომის ოქმებში (ოქმი N1, N2, N3)
- პედსაბჭოს სხდომის ოქმი N5
- „სსსმ მოსწავლისათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციის“ დოკუმენტი;

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

■ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2.კურიკულუმის განხორციელება

2..2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;

მტკიცებულებათა ანალიზის საფუძველზე ცხადი ხდება, რომ სკოლაში დაწყებით საფეხურზე სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიური შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას; რაც მკაფიოა კათედრებზე შემუშავებული კურიკულუმებიდან. მასში ჩაშენებული კომპლექსური დავალებების იდეები და სანიმუშოდ წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების ბარათები მოსწავლის შემოქმედებით პროცესში ჩართულობის დემონსტრირებაა და შემდგომშიც ამასვე ისახავს მიზნად. ასევე წარმოდგენილი ინდივიდუალური გეგმები, პედსაბჭოს ოქმები, სამოქმედო გეგმის შინაარსობრივი საკითხები თუ არაფორმალური განათლების მიმართულებით განხორციელებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

პროექტები, მაგალითად, მათ შორის ერთ_ერთი „ერთად აღვნიშნოთ აღგომა“, „ბოშები“, გარემოს ქმნი შენ“ და ა. შ. რომელიც აქტიურ შემოქმედებით პროცესებში მოსწავლეთა ჩართულობის ერთ-ერთი დასტურია. ამ ტიპის სასწავლო პროექტები ხელს უწყობს მოსწავლეთა მრავალმხრივი უნარების აღმოჩენასა და განვითარებას . როგორც ინტერვიუში განაცხადეს პედაგოგებმა , სკოლა ორიენტირებულია მოსწავლეებში მაღალი სააზროვნო უნარების დახვეწასა და განვითარებაზე. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს და მომავალ სასწავლო წელს მეტად გაღრმავდება/გაფართოვდება ძალისხმევა კომპლექსური ბუნების დავალებებზე , თანამშრომლობით სწავლაზე, მოსწავლის ინიციატივების წახალისებაზე . სასურველია საგნობრივ კურიკულუმებში მეტად იქნეს გათვალისწინებული კომპლექსური ბუნების დავალებები, სადაც მოსწავლე შეიძენს ცოდნას ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით.

ყოველივე ზემოთთქმულიდან გამომდინარე ,იქმნება პოზიტიური სასკოლო კულტურა და საკლასო კლიმატი, რაც ხელისშემწყობია მოსწავლის შემოქმედებით პროცესებში ჩართულობისათვის. წარმოდგენილია დოკუმენტი „მოსწავლის ინიციატივების მხარდამჭერი მექანიზმი,“ რომლის თანახმად მოსწავლეს უფლება აქვს კანონმდებლობით დადგენილი წესით, წერილობით ან/და ზეპირად გამოხატოს საკუთარი აზრი და გამოიჩინოს ინიციატივა რომლის მხარდაჭერის მიზნით სკოლა უზრუნველყოფს სპეციალური სამუშაო სივრცის მოწყობასა და საინფორმაციო კამპანიას და ხელს შეუწყობს ინიციატივების განხორციელებას ასევე მნიშვნელოვანი და საინტერესოა საბუნებისმეტყველო კათედრის გამოცდილება, კერძოდ, ერთობლივად შემუშავებული სამუშაო გეგმის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობები, რომლებიც ექსკურსიების, პროექტებისა და სხვა ღონისძიებებით ასევე იძლევა ღიაობის, მაღალი მიმღებლობის, პრობლემაზე ორიენტირებულობისა და მოსწავლის ინიციატივების წახალისების შესაძლებლობას. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზიდან და კათედრების წევრებთან განხორციელებული ინტერვიუს შედეგად ჩანს, რომ სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილება და მზაობა მოცემულ ინდიკატორთან შესაბამისობისთვის. **ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია**.

ინდიკატორი 2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;

დაწყებით საფეხურზე სკოლას ისე აქვს კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილი ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრილი თემა, თემის საკვანძო შეკითხვები, მოსწავლისთვის შეთავაზებული დავალებების კონტექსტები, საკითხები თუ რესურსები, რომ მკაფიოა ახალი ცოდნის წინარე ცოდნაზე დაფუძნებით კონსტრუირების გახორციელების შესაძლებლობა. სკოლის პრაქტიკისა თუ დაგეგმილი კომპლექსური ბუნების დავალებებით მუშაობის ეტაპებზე მკაფიოა კომპლექსური დავალებების მნიშვნელოვანი პრინციპი, რომ სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტებია შემოტანილი. ამით მოსწავლეს კომპლექსური დავალების შესრულებისას უწევს გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი, ახსნას ნაცნობი მოვლენა მეცნიერების თვალსაზრისით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

მათი ხედვით, ფორმალური თუ არაფორმალური განათლებისას ყოველი ახალი საკითხი ემყარება არსებულ ცოდნას, ამით განამტკიცებს ძველს და უფრო იოლად აღსაქმელს გახდის ახალს. ყველა საგანში, სწავლების ყველა ეტაპზე გეგმავს სკაფოლდინგის გამოყენებას, როგორც საყრდენი სწავლების ეფექტური წარმართის გზას. ასევე წინარე ცოდნას ეფუძნება საფეხურზე არაფორმალური განათლების მიმართულებით პროექტის განხორციელების პრაქტიკა.

დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოებში , შუალედური მიზნები იმგვარად არის დაგეგმილი, რომ იგი ითვალისწინებს ახალი ცოდნის მარტივად და მოსწავლისთვის საინტერესო კონტექსტში კონსტრუირების შესაძლებლობას. ინტერვიუში ისაუბრეს პედაგოგებმა , თუ რას აკეთებენ იმისთვის, რომ მოსწავლეებმა ახალი ცოდნის აგება შეძლონ წინარე ცოდნაზე დაფუძნებით, თუ რით გამოკვეთენ მოსწავლეთა წინარე ცოდნას და რის საფუძველზე განხორციელდა კომპლექსური ბუნების დავალებების დაგეგმვა.ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები სასწავლო პროცესს წარმართავენ კონსტუქტივიზმის ხუთივე პრინციპის დაცვით.წინარე ცოდნის გათვალისწინება ყველაზე ეფეფქტური გზაააახალი ცოდნის დასაშენებლად.არსებულ ცოდნაზე დაშენებით,პედაგოგები ძველ ცოდნას განამტკიცებენ და ამითახალს უფრო აღსაქმელს ხდიან.
განხორციელებული ინტერვიუს შედეგად ჩანს, რომ სკოლას დაწყებით საფეხურზე სწავლებისას აქვს გამოცდილება და მზაობა ახალი ცოდნის კონსტრუირება მოახდინონ წინარე ცოდნაზე დაფუძნებით; **ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.**

ინდიკატორი 3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე. დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი სწავლა–სწავლების მიზნები, რაც კურიკულუმის ჩარჩოში ამოიკითხება, ინტეგრირებულია მეტაკოგნიციის განვითარების სტრატეგიებთან. ეროვნულ სასწავლო გეგმაში გამოკვეთილი 6 კომპონენტური უნარი და მათთან დაკავშირებული კოგნიტური ოპერაციები, არსებით როლს ასრულებენ ინფორმაციის გადამუშავებისა და ცოდნად გარდაქმნის პროცესში, რაც ამ უნარებზე გამჭოლად მუშაობისას საგნის ათვისების განუყოფელი ნაწილია. კომპლექსური დავალება ასევე მოიცავს საკვანძო შეკითხვებს, რომლებიც ლაიტმოტივად გასდევს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესს. ასევე კომპლექსური ბუნების დავალებების დანერგვის მიზნებსა და არსებულ მტკიცებულებებში ამოიცნობა კომპლექსური დავალებების კრიტერიუმების დაფარვის წარმოდგენა – გასიტყვებისას სწავლის სწავლაზე მხარდაჭერა რეფლექსიის სახით. კათედრებზე პედაგოგები და მათივე მცდელობით, მოსწავლეები, მიზანმიმართულად გეგმავენ საკუთარ სასწავლო საქმიანობას და ორგანიზებულად ახორციელებენ მას. ისინი გეგმავენ გამოიყენონ სწავლის, კვლევისა და ინფორმაციის მოძიების სხვადასხვა სტრატეგია, ასევე სასწავლო პროცესზე დაკვირვებისა და შეფასების შედეგები როგორც გონებრივი, ასევე ემოციური კომპონენტი. გონებრივ კომპონენტში შემავალი უნარ-ჩვევების გასავითარებლად მიმართავენ შემდეგ სტრატეგიას: მოსწავლეებს ასწავლიან ძირითად მასალაზე ხაზგასმას, მთლიანი მასალის დანაწევრებას და დანაწევრებული მასალის ათვისებას. ხოლო ემოციური კომპონენტის გასავითარებლად ეხმარებიან მოსწავლეებს ისწავლონ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

შეცდომის დანახვა და გამოსწორება, ის რომ არ ეშინოდეთ შეცდომის დაშვების, ისწავლონ ემოციების კონტროლი. სასწავლო პროცესში სწავლის სწავლაზე აქცენტების დასმა მასწავლებელთა პრაქტიკის ბუნებრივი ნაწილია, რაც სკოლაში ვიზიტისას დადასტურდა.

დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოები და ინტერვიუ ცხადყოფს, რომ მათ გააზრებული აქვთ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები, რომელიც ხაზს უსვამს მოსწავლეებში მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას. მოსწავლეები ეჩვევიან სწავლის, კვლევისა და ინფორმაციის მოძიების , წერა, კითხვა, ლაპარაკის, მოსმენის სტრატეგიებს.მოსწავლეები მსჯელობენ კომპლექსური დავალებების მათ მიერ განხორციელების გზების შესახებ. მომავალი სასწავლო წლიდან სკოლა გეგმავსააქტიურ მუშაობას, რათა მოსწავლეებმა უკეთ შეძლონ: დაგეგმვის ციკლის გააზრება, სწავლის პროცესის მონიტორინგი, სწავლის, როგორც ქცევის სოციო-ემოციური მართვა, რეფლექსია შესრულებულ სამუშაოზე; მოსწავლის ინდივიდუალური გამოცდილების გაზიარება, თვითრეგულაციის სწავლა სკოლის მიერ წარმოდგენილ მასალაში : სამომავლოდ დაგეგმილ -საგნობრივ კურიკულუმის ჩარჩოებში, სასკოლო პროექტში ჩანს, რომ პროცესი ისეა დაგეგმილი მასწავლებლის მიერ, რომ მოსწავლემ განსაზღვროს დავალების/შესასრულებელი საქმიანობის ღირებულება, დაგეგმვა- როგორ შეასრულოს დავალება, როგორ მოახდინოს სწავლის პროცესის მონიტორინგი და სწავლის პროცესის დროს თავისი ქცევის სოციო-ემოციური მართვა . პედაგოგოებს აქვს გამოცდილება და მზაობა სასწავლო პროცესში აქცენტი გაკეთდეს სწავლის სწავლაზე; **ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.**

ინდიკატორი 4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);

სკოლა დაწყებით საფეხურზე ეროვნულ სასაწვლო გეგმაზე დაფუძნებით სასკოლო სასწავლო გეგმაში საუბრობს სასწავლო პროცესის ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობის აუცილებლობაზე. ცხადია, სასწავლო პროცესში მოსწავლე ამუშავებს კონკრეტულ ფაქტობრივ მასალას, ეცნობა ინფორმაციებს არა მხოლოდ სახელმძღვანელოდან, არამედ დამატებით სხვა წყაროებიდანაც. (დეკლარატიული ცოდნა), სვამს და პასუხობს შეკითხვებს მასალასთან დაკავშირებით. აღნიშნულ ცოდნას სწავლის სტრატეგიების გამოყენებით გარდაქმნის პროცედურულ ცოდნად და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ცოდნის მოქმედებაში გადატანით, მის ინტრუმენტალიზაციისა და გამოყენებით კონკრეტულ პირობასა და მოცემულობაში პირობისეულ ცოდნად აყალიბებს.

კომპლექსური დავალების პირობიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, ქუდის ქვეშ მოსწავლემ უნდა შეასრულოს კითხვები იმ ფორმით არის წარმოდგენილი, მიემართება ცოდნათა სამ კატეგორიას, ფაქტობრივი ცოდნა რომელიც მოითხოვს საკითხის გახსენება, შემდგომ ამისა პროცედურულ დამუშავებას სადაც ხდება მასალის შესწავლა-განმტკიცება, და საყოფაცხოვრებო დანიშნულებით წარმოდგენა, ასევე მასწავლებლებმა გასაუბრებაზედაც ისაუბრეს მსგავს თემებზე და აღინიშნა სკოლა ყურადღებას აქცევს შეფასების დროსაც გათვალისწინებული იქნას ცოდნათა სამი კატეგორიის მოთხოვნები.

საგნობრივი საკითხების სიღრმისეული გააზრებისა და სასწავლო მასალის ყოველდღიურ ცხოვრებასთან დაკავშირებისთვის სკოლის მიერ მოწოდებულ მასალაში კერძოდ სამომავლოდ დაგეგმილ - კურიკულუმის ჩარჩოებში დაორგანიზდება ის კომპლექსური დავალებები, რომლებიც უნდა განახორციელდეს. შესაბამისად კომპლექსური დავალებიის შესრულების დროს აქცენტი გაკეთდება ცოდნის სამ კატეგორიაზე. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზიდან და მასწავლებლებთან წევრებთან განხორციელებული ინტერვიუს შედეგად ჩანს, რომ სკოლას აქვს გამოცდილება და
მასწავლებლებმა გამოთქვეს მზაობა საგაკვეთილო პროცესი განახორციელონ ცოდნის სამივე კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცესურული, პირობისეული) ორიენტირებით და ასახონ შესაბამის თემატურ მატრიცებში, ვინაიდან მხოლოდ ასე შეძლებენ დაეხმარონ მოსწავლეებს საგნობრივი საკითხების შინაარსობრივ გააზრებაში, სასწავლო მასალის ყოველდღიურ ცხოვრებასთან დაკავშირებაში. მასწავლებლებმა ასევე გამოთქვეს მზაობა ცოდნის სამივე კატეგორიაზე ორიენტირებით შეარჩიონ კომპლექსური დავალებები , ყოველივე კი ხელს შეუწყობს სწავლა-სწავლების პროცესის სწორ დაგეგმვასა და განხორციელებას . **ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია**.

ინდიკატორი 5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

დაწყებით საფეხურზე სწავლებისას სკოლა აცნობიერებს, რომ მის მიერ წარმოდგენილი ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით საგნის სწავლების თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ბუნების დავალებები, სწორედ ის საკვანძო ასპექტები თუ სტრუქტურულ ერთეულებია, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. იგი ყოველი განსაზღვრული თემით არის რა მოსწავლის გამოცდილების კონტექსტი, უზრუნველყოფს სასწავლო მასალის კავშირს მოსწავლის ცოდნასთან, მის ინტერესებსა და წარმოდგენებთან. მიემართება მოსწავლეთა ფუნქციური უნარების გამომუშავების და ორიენტირებულია მოსწავლეთა ცოდნის ტრანსფერზე რეალურ ცხოვრებაში და ქმნის მოსწავლის პიროვნული მოქმედების არეალს.

იმ თემებში, სადაც წარმოდგენილია კომპლექსური შინაარსის მქონე დავალებების ძირითადი საკითხები , იკითხება, რომ სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია ცოდნათა ორგანიზება. ინტერვიუში მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სკოლას აქვს საგანთა შორის გაკვეთილების ინტეგრირების გამოცდილება, განსაკუთრებით უცხო ენები და ისტ. სკოლის მიერ დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი საერთაშორისო პროექტის _ „ერთად ავღნიშნოთ აღდგომა“ მსვლელობისას განხორციელებული აქტივობების გაცნობისას, დასტურდება რომ სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნის ურთიერთდაკავშირება. ასევე, მუსიკის საგანში თითქმის ყველა კლასში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები მიემრთება საგანთშორის ინტეგრირებისკენ.

დაწყებითი საფეხურის პედაგოგების მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები დაგეგმილია ისე, რომ კომპლექსური დავალებებით სწავლება შუალედურ მიზნებად არის მოაზრებული, შესაბამისად, საგნობრივი კურიკულუმების ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ სწავლა-სწავლების აღნიშნული მიდგომა ხელს შეუწყობს მოსწავლეებში, როგორც საგნობრივი საკითხების სიღრმისეულ გააზრებას, ასევე ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას, ვინაიდან კომპლექსური ბუნების დავალებები ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, რაიმე პროდუქტის შემქნაზე. ეს ყოველივე კი თავითავად გულისხმობს მოსწავლის ყველა იმ კომპონენტური უნარის გააქტიურებას, რაც მას საშუალებას მისცემს ზემოთ აღნიშნული ოპერაციები აწარმოოს. საგნობრივ კურიკულუმებში მასწავლებლების მიერ ისეთი კომპლექსური დავალებებია ასახული, რომლებიც მოსწავლეებს ეხმარება სწავლა-სწავლების პროცესში მიღებული ცოდნა დააკავშირონ ყოველდღიურ ცხოვრებასთან. პედაგოგებმა გამოთქვეს მზაობა, რომ გააგრძელებენ ისეთი კომპლექსური დავალებების შერჩევას, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას, შესაბამისად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლაში დაწყებით საფეხურზე მოქმედ კლასებში კომპლექსური დავალების განხორციელების პროცესში ხელი შეეწყობა ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირების პროცესს.

ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო
- „მოსწავლეთა ინტერესების მხარდამჭერი მექანიზმენის“ დოკუმენტი,
- პროექტი: “ერთად აღვნიშნოთ აღდგომა”

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;

სკოლის მიერ შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმები ეყრდნობა მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივ სტანდარტებს. კურიკულუმის ანალიზის მიხედვით, ერთი მხრივ, იკითხება, რომ სასწავლო პროცესში დამუშავდება საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული სავალდებული თემები, თემაში გაწერილი სამიზნე ცნებები, მკვიდრი წარმოდგენები, საკითხები, საკვანძო შეკითხვები. მეორე მხრივ, იგი ამოიცნობა რეალიზებულ კომპლექსური დავალებების შეფასების კრიტერიუმებსა და კომპლექსური დავალებების რეფლექსიებში, რაც მკაფიოა გასიტყვებისას და მასში კარგად ჩანს მოსწავლეების კრიტიკული აზროვნება, მრავალფეროვნება, კრეატიულობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

გრძელვადიანი მიზნების მიხედვით გაწერილი კურიკულუმის ჩარჩოები, სადაც შემოთავაზებული შუალედური მიზნები, თემები/ქვეთემები, ძირითადი საკითხები უზრუნველყოფს, მოსწავლეს ჩამოუყალიბდეს მკვიდრი წარმოდგენები გრძელვადიანი მიზნებთან(შედეგებსა და სამიზნე ცნებებთან) მიმართებით. **ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება**.

ინდიკატორი 2.საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;

მოსწავლის შემეცნების (აზროვნების, კოგნიციის) განვითარებასთან ერთად ხდება სოციალური უნარ-ჩვევების ეტაპობრივი განვითარებაც. ფსიქო-სოციალური სფერო განსაზღვრავს ბავშვის პიროვნული თვისებების ჩამოყალიბებასა და ადამიანებთან ურთიერთობას. სოციალური განვითარება განაპირობებს ბავშვის უნარს, დაამყაროს ურთიერთობა გარემოსთან და გარშემომყოფებთან. ამისათვის სკოლას დაწყებით საფეხურზე კურიკულუმებში აქვს ისეთი აქტივობები/მიდგომები, როგორებიცაა: როლური თამაშები, სიმულაციები, საკომუნიკაციო ამოცანის შეცვლა, ეხმარებიან მოსწავლეებს საკუთარი თავის შეცნობაში ასაკის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდებით, რომლითაც შექებითა და წახალისებით პოზიტიურ განწყობას უქმნიან მოსწავლეებს სწავლისა და შემეცნების პროცესში; მასწავლებლები მოსწავლეებს აჩვენებენ დადებით მაგალითებს კონფლიქტური სიტუაციების მოგვარებისას. არ არიან აგრესიულები და უსამართლონი. აქცევენ ყურადღებას მოსწავლის განსხვავებული აზრებისა და მოვლენების მიმართ დამოკიდებულებას, ახალისებენ განსხვავების მიმართ შემწყნარებლობას.

გასაუბრებაზე აღინიშნა, რომ სასწავლო რესურსები არის ისე შერჩეული მოხდეს მოსწავლეთა ჩართულობა რაც იწვევს ემოციურ სტაბილურობას, გაკვეთილზე წახალისებულია თითოეული მათგანის პასუხები მცდარიც რომ იყოს და ემოციური სტრესისგან დაცულია სასწავლო გარემო, გაკვეთილზე ყურადღება არ მახვილდება კონკრეტულ სოციალურ განმასხვავებელ ფაქტორებზე, არამედ ფსიქო სოც განვითარებაზე.

დაწყებითი საფეხურის მასწავლებლების მიერ საგნობრივ კურიკულუმებში თითოეული თემის ფარგლებში წარმოდგენილი ძირითადი შესასწავლი საკითხები და კომპლექსური დავალებები მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარების ხელშეწყობის საშუალებას იძლევა. მართალია საგნობრივ კურიკულუმებში ასახულია კომპლექსური დავალების რამდენიმე იდეა, მაგრამ მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ კომპლექსური დავალების განხორციელების დროს მოსწავლეები დიდი ინტერესით ერთვებიან საგაკვეთილო პროცესში, მათთვის ყველაზე სახალისო პროდუქტის შექმნაა, ასევე ხალისით ერთვებიან კომპლექსური დავალების განხორციელების დროს საინტერესო აქტივობებში, მსჯელობენ საკუთარ ძლიერ და სუსტ მხარეებზე, აცნობიერებენ სხვების პოზიციას და შესწავლილი საკითხიდან გამომდინარე გამოხატავენ ემპათიას სხვების მიმართ, თანაკლასელებთან ამყარებენ პოზიტიურ ურთიერთობებს, უმკლავდებიან სტრესულ და კონფლიქტურ სიტუაციებს, პერსონალურ თუ სოციალურ ქცევებს შორის აკეთებენ ეთიკურ და კონსტრუქციულ არჩევანს. ვფიქრობ ამგვარი ქმედებები ემსახურება მოსწავლეთა პიროვნულ და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ფსიქო-სოციალურ განვითარებას, რაც ვლინდება კომპლექსური დავალების განხორციელების დროს. **ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.**

ინდიკატორი 3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;

შეფასების სისტემა ორიენტირებული უნდა იყოს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე, რაც ეყრდნობა მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმას. სკოლას გააზრებული და განსაზღვრული აქვს, რომ ფასდება არა მარტო სწავლის შედეგი, არამედ, როგორ მიმდინარეობს სწავლა/სწავლების პროცესი. ამისათვის წარმოდგენილია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებები. სკოლაში არსებული შეფასების სისტემა მიმართულია რა მოსწავლის ჰოლისტურ განვითარებაზე – მაღალი სააზროვნო უნარების ჩამოყალიბებაზე (კრიტიკული აზროვნება; შემოქმედებითობა; კომუნიკაცია; თანამშრომლობა; მოქალაქეობა; ხასიათი/ნებელობა), ასევე ცოდნის აგებასა და გამოყენებაზე ორიენტირებული – რითაც მოსწავლეები მისი საშუალებით მეტად აქტიურნი ხდებიან. კათედრას ასევე განსაზღვრული აქვს შეიმუშაოს კომპლექსური დავალებისათვის სამიზნე ცნებებზე დაფუძნებული შეფასება, რომელიც მასწავლებელს მისცემს შესაძლებლობას დაინახოს მოსწავლე პიროვნული, ფსიქო-სოციალური და აკადემიური უნარების ჭრილში.

წარმოდგენილი დაკვირვების კითხვარების, თვითშეფასების ფორმების საშუალებით დგინდება, რომ შეფასების სისტემა ორიენტირდება არა მხოლოდ ფაქტობრივ ცოდნაზე, არამედ ითვალისწინებს მოსწავლის პიროვნული განვითარებისთვის აქტუალურ ყველა გარემოებას , როგორია მოსწავლის ჩართულობა სასწავლო პროცესში , რა ფაქტორები უწყობს/უშლის სასწავლო პროცესში მოსწავლის აქტიურ მონაწილეობას ხელს და ა.შ. შეფასება ინტეგრირებულია სასწავლო პროცესში და განუყოფელი ნაწილია მოსწავლის ყოველდღიური პროცესის; რაც იკვეთება ასევე წარმოდგენილ უკვე განხორციელებულ კომპლექსური დავალების გეგმაში, სადაც პირობაში ჩაშენებულია შეფასების კრიტერიუმები, რომლის საშუალებითაც მასწავლებელი აფასებს თითოეული მოსწავლის მიერ შექმნილ კომპლექსური დავალების პროდუქტს, სამიზნე ცნების თითოეული მკვიდრი წარმოდგენის შესაბამისად. ასევე მოსწავლის თვითშეფასების საშუალებას იძლევა კომპლექსური დავალების ბარათის ბოლოს .წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზიდან და კათედრის წევრებთან გასაუბრებიდან გამოიკვეთა რომ, ჩანს, რომ კათედრას აქვს გამოცდილება და მზაობა შეფასების სისტემა ორიენტირებული იყოს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.

ინდიკატორი 4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

სკოლის 2023–2024 სასკოლო სასწავლო გეგმაში განსაზღვრულია შეფასების სისტემის ვალიდურობის, გამჭვირვალეობის, სანდოობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპების ხელშეწყობა, რის დადასტურებად მოაზრებულია შეფასების სისტემის შემუშავებული მეთოდოლოგია.

დაწყებითი საფეხურის მასწავლებლების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისა და მასწავლებლებთან ინტერვიურების შედეგად გამოიკვეთა, რომ დაწყებით საფეხურზე შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. მასწავლებლები ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად III, IV, V (პირველ სემესტრში) კლასებში მოსწავლეებს აფასებენ განმავითარებელი შეფასებით V კლასის მეორე სემესტრში და VI კლასში განმსაზღვრელი და განმავითარებელ შეფასებით. წარმოდგენილ შეფასების რუბრიკებში განსაზღვრულია შეფასების მიზანი, ე.ი. შეფასების ინსტრუმენტის შერჩევა ხორციელდება გარკვეულ მიზანზე ორინეტირებით. კრიტერიუმები ხაზს უსვამს მოსწავლეთა ძალისხმევას, პასუხისმგებლობას, ჩართულობას, საკუთარი ნააზრევის გადმოცემის შესაძლებლობას და წარმოადგენდეს რეფლექსიას მათი სწავლის პროცესზე. აღნიშნულ რუბრიკებს შეიმუშავებენ მასწავლებლები, განიხილავენ და თანხმდებიან კათედრის სხდომაზე, ხოლო პედაგოგიური საბჭო მათ ამტკიცებს. სკოლას აქვს შეფასების კრიტერიუმების შემუშავების პროცესში მოსწავლეთა ჩართულობის გამოცდილება. ასევე, სამართლიანობასა და გამჭვირვალობას ხელს უწყობს სასწავლო პროცესში გამოყენებული თვითშეფასება და ურთიერთშეფასება. მოსწავლეებისა და მშობლებისთვის წინასწარ არის ცნობილი შეფასების სისტემა. მართალია მასწავლებლებს შეფასების რუბრიკები წინა გამოცდილებაზე დაყრდნობით აქვთ შექმნილი, მაგრამ გეგმავენ მომდევნო წლისთვის განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებზე იმუშაონ სავალდებულო თემის ფარგლებში შედეგების მიღწევების ინდიკატორებზე დაყრდნობით, ხოლო განმავითარებელი შეფასებები მოსწავლეებს მისცენ საგნობრივი სტანდარტების შესაბამისად ცნების მკვიდრი წარმოდგენების მიხედვით.

ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

ინდიკატორი 5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;

სკოლის მიერ წარმოდგენილია შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმის დოკუმენტი, რომლის მიხედვით ვერიფიკაცია სამი მიმართულებით ხორციელდება: შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია და უკვე შექმნილი მტკიცებულებების ვერიფიკაცია. ასევე ინტერვიუს დროს პედაგოგებმა ისაუბრეს კათედრაზე შემაჯამებელი დავალებების ანალიზის წარდგენაზე და განხილვაზე, თუ როგორ ხდება მოსწავლის პროგრესის დანახვა და რას ითვალსიწინებენ სამომავლოდ. მიმდინარეობს მოსწავლეებზე დაკვირვება, მათი ნამუშევრების ანალიზი და მაწავლებლისთვის რეკომენდაციების მიცემა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთ,ა რომ შეფასების რუბრიკების შემუშავება ხდება კათედრაზე ერთობლივად, უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას. სასწავლო წლის დასაწყისში მშობლები გაეცნობიან სასკოლო სასწავლო გეგმას, სკოლაში მოქმედ შეფასების სისტემას.
ვერიფიკაციის პროცესის მონიტორინგს უზრუნველყოფს სკოლის ადმინისტრაცია და დაკვირვების შედეგად ხდება მასწავლებლის მიერ შემუშავებული შეფასების რუბრიკებისა და სისტემის მოქმედ საგნობრივ სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა. სკოლა მომავალში გეგმავს ვერიფიკაციის მექანიზმების დახვეწასა და განვითარებას.
.

ინდიკატორი 6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

სკოლას აქვს მზაობა ამ მიმართულებით იმუშაოს. 2023–2024 სასკოლო სასწავლო გეგმაში საუბრობს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების სათანადო აღრიცხვისა და შენახვის კანონმდებლობით დადგენილი წესების შესახებ. კერძოდ, სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 10 წლის ვადით მატერიალური სახით, ელექტრონულად - ხუთი წლის ვადით. სკოლა იცავს დოკუმენტაციის წარმოებასთან და სკოლაში მათ შენახვასთან დაკავშირებულ რეგულაციებს. მოსწავლეთა პირადი საქმეებისა და მათი შეფასებების წესი განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობით.

ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

- „შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის“ დოკუმენტი.
- 2023–2024 სასკოლო სასწავლო გეგმა
- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3 სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4 უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;

სკოლის მიერ საგნობრივი მიმართულებით წარმოდგენილი სასწავლო პროცესი მტკიცებულებებზე დაფუძნებით გვაფიქრებინებს, რომ სკოლაში შექმნილია პოზიტიური და ნდობაზე დაფუძნებული გარემო, რომლის დასტურად მოიაზრება მასწავლებლებისა და მოსწავლეების მიერ ერთობლივად დაგეგმილი აქტივობები, რომელშიც მოსწავლე არის სუბიექტი და არა ობიექტი. გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, საჭიროებანი; ასევე უზრუნველყოფილია გლობალური ფუნქციურ-კომპონენტური უნარების გამომუშავების ხელშეწყობა, რაც კომპლექსური დავალებების სწავლებითაა შესაძლებელი და სკოლის მიერ შემუშავებული „მოსწავლის ინიციატივების მხარდამჭერი მექანიზმის“ დოკუმენტიდან ამოიცნობა.
დოკუმენტის გაცნობის შედეგად მტკიცდება, რომ სკოლის მისია და ხედვა ორიენტირებულია მოსწავლეზე, ასევე, მოცემულია სკოლის პრიორიტეტებისა და სასკოლო საზოგადოების ინტერესებით გათვალისწინებით შექმნილი საათობრივი ბადე, მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესები, რომელიც ორიენტირებულია მოსწავლის განვითარებაზე და ა.შ. ყოველივე კი იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ სასწავლო პროცესში შექმნილია პოზიტიური გარემო, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლის ფუნქციურ-კომპონენტური უნარების გააქტიურებას (კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, კოლაბორაცია, მოქალაქეობა (პასუხისმგებლობა/ეთიკა) ხასიათი/ნება).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

სკოლაში შექმნილი პოზიტიური გარემო, თანამშრომლობითი კულტურა, მიმღებლობა და ღიაობა, სასკოლო საზოგადოებას ჰარმონიულად განვითარების საშუალებას აძლევს. აქ ნებისმიერი ადამიანი თავს გრძნობს სასკოლო საზოგადოების ღირსეულ ნაწილად, გუნდის წევრად, რომელსაც უსმენენ, აფასებენ, ხელს უწყობენ, ეხმარებიან, თანამშრომლობენ, იზიარებენ და უზიარებენ შეხედულებებს, რაც საბოლოოდ, დემოკრატიულ ღირებულებებზე აღზრდილი პიროვნების ფორმირებას უწყობს ხელს. სკოლაში არსებობს პრობლემაზე ორიენტირებული კომუნიკაციის პრაქტიკა და გაზიარებულია პასუხისმგებლობები. ნებისმიერ მასწავლებელს საშუალება აქვს ისარგებლოს სასწავლო პროცესისაგან თავისუფალი ფართით ან საერთო სარგებლობის სივრცეებით ნებისმიერ დროს, რათა განახორციელოს მისი ინიციატივები. სასწავლო პროცესთან დაკავშირებული სკითხებისთვის ყველას ეძლევა საკმარისი დრო როგორც პედსაბჭოზე. **ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება**.

ინდიკატორი 2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;

სკოლის მიერ მოსწავლის შედეგებზე დაკვირვებით, შესაძლოა ვიფიქროთ, რომ ორიენტირებულია მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე. მასწავლებელი კომპლექსური დავალებების დანერგვით უზრუნველყოფს მოსწავლეთა თანაბარ ჩართულობას სასწავლო პროცესში. თუმცა მნიშვნელოვან ასპექტებადაა დასახული მოსწავლის საჭიროებების მუდმივი მონიტორინგი. ეს შეიძლება იყოს ფორმალური თუ არაფორმალური, შემაჯამებელი თუ განმავითარებელი, დაკვირვებაზე დაფუძნებული, პორტფოლიოების, რუბრიკების და სხვა მიმართულებით მუშაობა. სკოლას სასწავლო პროცესის მოსწავლეზე ორიენტირების უზრუნველსაყოფად ასევე გააჩნია „მოსწავლის ინიციატივების მხარდამჭერი მექანიზმის“ დოკუმენტი.

დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი საგნობრივ კურიკულუმის ჩარჩოში შერჩეული კომპლექსური დავალებები უზრუნველყოფენ მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს, სადაც წამყვანია მოსწავლის ავტონომიურობა, არჩევანი, წინარე გამოცდილება და თვითრეგულაცია. მასწავლებლები ორიენტირებულები არიან მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე. მასწავლებლები ხელს უწყობენ მოსწავლეთა
იდეების წახალისებას.

მიმდინარე კურიკულუმების მთავარი ორიენტირია მოსწავლის ინტერესები, არჩევითი დავალებების შეთავაზება, მრავალმხრივი ინტელექტის თეორიის პრინციპების გათვალისწინება. რასაც ხელს შეუწყობს სწორედ,

სკოლის მხრიდან მუდმივი მონიტორინგი მოსწავლეთა პროგრესსა, რაც დაეხმარება კომპლექსური დავალებების შესაბამისი სწორი უკუკავშირი მიაწოდებაში და უკეთ სასწავლო პროცესის უკეთ დაგეგვმაში.

ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ინდიკატორი 3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;

სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში იკვეთება, რომ სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურას და კომუნიკაციას. ხშირად ხდება მასწავლებელთა შეხვედრები, პრაქტიკის გაზიარება, სიახლეების დანერგვა. სკოლაში ხორციელდება ურთიერდასწრება გამოცდილების გაზიარების მიზნით. სამომავლოდ სკოლა გეგმავს სასკოლო თემის გააქტიურებას და ჩართვას სკოლის განვითარებაში. გეგმავენ, რომ მასწავლებელთა შეხვედრები იყოს უფრო შინაარსობრივი, პროდუქტიული. სკოლის ფარგლებში თანამშრომლობითი კულტურის შესახებ წარმოდგენას გვიქმნის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისათვის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმა ,რომელშიც ჩართულია პედაგოგები ყველა საგნობრივი კათედრიდან. წარმართულ ინტერვიუებზე გამოჩნდა ურთიერთთანამშრომლობა და კომუნიკაცია კათედრის წევრებს შორის. აღნიშნულ იქნა გამოცდილების გაზიარებისა და თანამშრომლობითი კულტურის შესახებ სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და ხარისხის გაუმჯობესების კუთხით.

მასწავლებლებს აქვთ გაცნობიერებული კათედრის წევრთა შორის გამოცდილების გაზიარების, წარმატებების წინაპირობათა განსაზღვრის და პრობლემების გადაჭრის გზების ძიების, სხვა საგნობრივ კათედრებთან თანამშრომლობის აუცილებლობა, რომ სასწავლო პროცესში არსებული გამოწვევებისა და პრობლემების გადასაწყვეტად როგორც წესი მნიშვნელოვანია არა ერთი ან ორი პედაგოგის ჩართულობა, არამედ იმ გუნდის, რომელსაც მთლიანი სასკოლო საზოგადოება წარმოადგენს. **ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება**.

ინდიკატორი 4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

სკოლას გააზრებული აქვთ, რომ მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის დამოკიდებულება საკლასო ატმოსფეროს ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტია. მიაჩნიათ, რომ შექმნილი სასწავლო გარემო ორიენტირებულია მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე, შექმნილია პოზიტიური გარემო და უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დონეზე. მასწავლებლები იყენებენ შინაგანი და გარეგანი მოტივაციის ამაღლების სხვადასხვა ხერხებს, გამჭვირვალე განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასების რუბრიკებს, მოსწავლეთათვის მიცემულ პოზიტიურ უკუკავშირს და ა.შ. თავიანთი სწავლებით და დადებითი მაგალითებით მოსწავლეებს უღვივებენ ცოდნის დაუფლების წყურვილს. სასწავლო პროცესი არის არა მოსაწყენი და რუტინული სამუშაო, არამედ ცოცხალი, ხალისიანი, საინტერესო და ახალი ცოდნის მიღებაზე ორიენტირებული. სკოლაში ყველა მოსწავლეს აქვს კითხვაზე პასუხის გაცემისა და დისკუსიაში მონაწილეობის თანაბარი შესაძლებლობა; მოსწავლეთა ნაშრომების შეფასებისას სკოლის მასწავლებლები იყენებენ ობიექტურ კრიტერიუმებს, დიდ ყურადღებას უთმობენ იმას, თუ რა პრინციპით ახდენენ მოსწავლეთა წახალისებას. სკოლაში დაცულია სისუფთავე და სანიტარული ნორმები. მომავალში გეგმავენ სასკოლო და საკლასო გარემოს გაუმჯობესებაში მოსწავლეებმაც მიიღონ მონაწილეობა. ეს გამოიწვევს სასკოლო პროცესებში მათ ჩართულობას და საკუთრების განცდას, რაც, თავის მხრივ, გარემოსა და მოსწავლეთა განწყობებს გააუმჯობესებს. ხოლო მოსწავლეების განსაზღვრული უფლებამოსილებების მინიჭება, აქტივობებში ჩართვა ხელს შეუწყობს სასკოლო და საკლასო გარემოს მიმართ მათი პასუხისმგებლობის გრძნობის გაღრმავებას. სამომავლოდ ფიქრობენ არაფორმალურ განათლებას მეტი დრო დაუთმონ და განავითარონ - შექმნან კლუბები, აქტიურად გამოეხმაურონ მსოფლიო კალენდარს.

ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- „მოსწავლის ინიციატივების მხარდამჭერი მექანიზმის“ დოკუმენტი
- ინდ ჯგუფის სხდომის ოქმებში
- პედსაბჭოს სხდომის ოქმი

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

■ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;

სკოლას გააზრებული აქვს, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმა კურიკულუმს განიხილავს, როგორც ინსტრუმენტს ხარისხიანი სასწავლო პროცესის წარმართვისთვის. შესაბამისად, თვლიან, რომ კურიკულუმი არ არის ისეთი დოკუმენტი, რომელიც ერთხელ უნდა შეიქმნას და გამოიყენებოდეს მუდმივად უცვლელი სახით. კურიკულუმის შექმნა დანერგვა ციკლური პროცესია და ამ პროცესში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მიმდინარე პროცესის მონიტორინგისა და შეფასების კომპონენტს. მონიტორინგი საშუალებას იძლევა მოგროვდეს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ მიმდინარეობს კურიკულუმის დანერგვის პროცესი. გამოვლინდეს მისი დადებითი მხარეები და გამოწვევები. მოიკრიბოს ობიექტური მონაცემები პროცესის შეფასებისთვის. შეიძლება ითქვას, რომ სკოლას სწორად აქვს დანახული ობიექტური სურათის წარმოსაჩენად ეფექტური მეთოდოლოგიის შექმნის საჭიროება, რის შესაბამისად მას შექმნილი აქვს „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის“ დოკუმენტი. დოკუმენტის მიზანი სწავლის ხარისხის მონიტორინგი და სრულყოფა, აკადემიური და პოტენციალის ეფექტურად გამოყენება და მათი განვითარების ხელშეწყობაა.

კურიკულუმის განვითარება უწყვეტი პროცესია. ის გულისხმობს შემდეგი ფაზების ყოველწლიურ მონაცვლეობას: ა) კურიკულუმი შემუშავება; ბ) დანერგვა; გ) დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება; დ) გადასინჯვა და რევიზია.სკოლას გაწერილი აქვს დეტალურად თუ როგორ უნდა განხორციელდეს მონიტორინგი და შეფასება და რომელ პრინციპებს უნდა დაეყრდნოს. ოკუმენტში ვკითხულობთ, რომ სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

მონიტორინგი და შეფასება კურიკულუმის განვითარების პროცესის განუყოფელი ნაწილია იმის აღწერა, თუ: - რამდენად მიმდინარეობს პროცესები დაგეგმილი ჩარჩოს ფარგლებში (მონიტორინგი); - რამდენად მოაქვს დაგეგმილ აქტივობებს სასურველი შედეგი (შეფასება)? სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი უშუალოდ ერწყმის სასწავლო პროცესს და ასოცირდება კათედრის წევრებისა და დირექციის ინტენსიურ თანამშრომლობასთან. კვლევა და შეფასება ტარდება დაგეგმვის ეტაპზე შეთანხმებული ფორმატით (ვადები, ინსტრუმენტები) და წარიმართება სამი მიმართულებით: - მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად; - სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიული განვითარება (პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისთვის და გამოვლენილი პრობელების გადაჭრისთვის); - სკოლის ინსტიტუციური განვითარება (სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი პროცესების გაძლიერებისთვის) სკოლას აქვს მზაობა მონიტორინგი და შეფასება განახორციელოს განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად.

ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.

ინდიკატორი 2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;

სასწავლო პროცესში ხარისხის უზრუნველყოფისთვის მნიშვნელოვანია სკოლას ჰქონდეს შემუშავებული სკოლაში მიმდინარე პროცესების მონიტორინგისა და შეფასების გამართული, სრულყოფილი მექანიზმი, რაც ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას, რაც გულისხმობს მიღწევების ანალიზს, წარსულ გამოცდილებაზე დაფუძნებულ დაგეგმვას, ანალიზი ახალი შესაძლებლობებისათვის და სხვა. ამ მიზნით სკოლას ჰყავს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერი ჯგუფი. ეს ყოველივე გაწერილი აქვს „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის“ დოკუმენტში, სადაც მკაფიოა მონიტორინგის განხორციელებისას განსაზღვრული ანგარიშვალდებულებები, დაგეგმილი მიზნის მიღწევის მექანიზმები და საშუალებები. **ს**კოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტიდან “ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი” იკვეთება, რომ ხარისხის უზრუნველყოფა გულისხმობს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვასთან, განხორციელებასთან და შემდგომ მის შეფასებასთან დაკავშირებული აქტივობების გაუმჯობესებისკენ მიმართული ღონისძიებების ერთობლიობას, აგრეთვე, ხარისხის უზრუნველსაყოფად საჭიროა პროგრამების, მიმდინარე სასწავლო პროცესის სისტემატური გადახედვა, კონტროლი რათა შენარჩუნებული იქნას ხარისხი და ეფექტურობა და სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფისა და მუდმივი გაუმჯობესების მიზნით, სკოლა მუდმივად ახორციელებს სასწავლო პროგრამების განხორციელების შეფასების და შემდგომი გაუმჯობესების, ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის და სკოლის მატერიალური რესურსების გაუმჯობესებას. შესაბამისად სკოლა აქვს მზაობა და გაწერილი საქმიანობების თანამიმდევრობა, როგორ უზრუნველყოს მონიტორინგისა და შესაფებს შედგების გათვალისწინებით სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერა და დახმარება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.

ინდიკატორი 3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას. სკოლის ინფორმაციით, რაც კითხვარში აქვთ ასახული სკოლის ყველა მასწავლებელთან თანამშრომლობით შექმნილი მონიტორინგისა და შეფასების სისტემა ორიენტირებული იქნება სასკოლო საზოგადოების წევრების დახმარებასა და მხარდაჭერაზე. მონიტორინგის განხორციელებისას მკაფიოდ განისაზღვრება ანგარიშვალდებულებები, ასევე დაიგეგმება მიზნის მიღწევის მექანიზმები. ისე უნდა ითქვას , რომ კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტი სკოლაში საუკეთესო საშუალებაა, სწავლის პროცესში წარმოქმნილი პრობლემების გადაჭრის გზებზე დააფიქროს მასწავლებელი. მასწავლებლები თანამშრომლობენ მშობლებთან და კლასის დამრიგებლებთან. მათი დახმარებით ადგენენ მოსწავლეების ინტერესების სფეროს, გამოკვეთენ მათ ძლიერ და სუსტ მხარეებს, რისი საშუალებითაც ექმნებათ სრული წარმოდგენა მოსწავლეების შესახებ. ასევე მოსწავლეების შესახებ მონაცემების შეგროვება ხორციელდება განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტებზე დაყრდნობით. მომავალი სასწავლო წლიდან შემუშავებული მონიტორინგისა და შეფასების სისტემა უნდა განსაზღვრავდეს პრობლემის გადაჭრის გზას. პედაგოგებს გაცნობიერებული აქვთ ის ფაქტი, რომ მოსწავლეთა შეფასების მთავარი მიზანი მათი დახმარებაა სწავლა-სწავლების პროცესში. პრობლემის იდენტიფიცირების შემდეგ კათედრის წევრები ერთად გეგმავენ პრობლემის მოგვარების გზებს გამოვლენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად.

სკოლის მიერ წარმოდგენილია დოკუმენტი "სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია", სადაც დეტალურადაა გაწერილი ფუნქციები, პასუხისმგებლობები სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის; განსაზღვრულია სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში მონაწილეობის ფორმები - ფუნქციებსა და პასუხისმგებლობებს შორის, რომლებიც სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში გამოიკვეთება ზოგიერთი თანხვედრაშია სასკოლო საზოგადოების წევრების ყოველდღიურ საქმიანობასთან, ზოგიერთი კი - მათ დირექტორის სპეციალური ბრძანებით დაევალებათ. მოხდება აღწერა, თუ: - რამდენად მიმდინარეობს პროცესები დაგეგმილი ჩარჩოს ფარგლებში (მონიტორინგი); - რამდენად მოაქვს დაგეგმილ აქტივობებს სასურველი შედეგი (შეფასება)?. კვლევა და შეფასება ჩატარდება დაგეგმვის ეტაპზე შეთანხმებული ფორმატით. მოხდება მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად; - სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიული განვითარება (პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისთვის და გამოვლენილი პრობელების გადაჭრისთვის); - სკოლის ინსტიტუციური განვითარება (სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი პროცესების გაძლიერებისთვის) აღნიშნული დოკუმენტაციის ანალიზიდან შეგვიძლია დავადგინოთ , რომ სკოლაში კურიკულუმის მონიტორინგი და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;

წარმოდგენილი მტკიცებულებებისა და გასაუბრების შედეგად მკაფიო გახდა, რომ სკოლას დაწყებითებ საფეხურზე აქვს მონიტორინგისა და შეფასების ერთიანი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს ასევე სასწავლო პროცესის შეფასების ჰოლისტურ ხასიათს. არსებული პრაქტიკის შესაბამისად, სასწავლო პროცესის შეფასებისთვის გამოყენებულია მრავალფეროვანი წყაროები. კერძოდ, მასწავლებლები, კათედრის ხელმძღვანელი, კლასის დამრიგებლები, სემესტრის ბოლოს სასწავლო წლის ბოლოს გაწეული მუშაობის ანგარიში, რომლის საფუძველზეც მზადდება დირექტორისა და დირექტორის მოადგილეების ანგარიშები. ანგარიშზე დაყრდნობით კი ყალიბდება რეკომენდაციები. ნ პერიოდულად იმართება კლასში შემსვლელ მასწავლებლებთან შეხვედრები, რომლებიც მსჯელობენ მოსწავლეების მიღწევებზე, ძლიერ და სუსტ მხარებზე და სახავენ სამომავლო გეგმებს პრობლემების აღმოსაფხვრელად. მართალია ეს შეხვედრები დოკუმენტში გაწერილი არ არის, მაგრამ მათ აქვთ პერმანენტული ხასიათი. სამომავლოდ სასწავლო პროცესის შეფასება დაეყრდნობა როგორც მასწავებელთა თვითშეფასებას, ასევე მოსწავლეთა უკუკავშირებს და ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფების უკუკავშირებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ასევე იგეგმება და მეთოდოლოგიური დოკუმენტით განსაზღვრულია კომპლექსური დავალებების და კურიკულუმების შეფასება. რაც ადასტურებს , რომ სკოლას აქვს მზაობა შეფასება დაეყრდნოს მრავალფეროვან წყაროებს.

- მასწავლებლები. **ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება**.

ინდიკატორი 2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;

სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტზე დაკვირვება, იძლევა წარმოდგენას, რომ სკოლას აქვს გამოცდილება, კურიკულუმის შეფასებისას გამოიყენოს მასწავლებლის თვითშეფასება, საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვება, მოსწავლეთა გამოკითხვა, თუ რა შეძლეს და სად სჭირდებათ დახმარება. ასევე კათედრაზე, სამუშაო ჯგუფებში, მასწავლებლებთან, მშობლებთან, საგნობრივ ექსპერტებთან საერთო შეხვედრებზე გამოკვეთილი კურიკულუმის დანერგვის პროცესში შექმნილი სირთულეების გათვალისწინება ახალი კურიკულუმის შექმნისას, არის დასტური იმისა, რომ სკოლაში შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით.

სკოლას გააზრებული აქვს, რომ სასწავლო პროცესის შეფასება **უნდა განხორციელდეს სხვადასხვა** კონტექსტის გათვალისწინებით , რაც დაეხმარება **მათ** მოსწავლის მრავალი კუთხით იდენტიფიცირებაში. მოსწავლეებზე დაკვირვებას ახორციელებენ სხვადასხვა სიტუაციაში, იქნება ეს სასკოლო თუ არასასკოლო გარემო: სასკოლო ექსკურსიები, შემეცნებითი გასვლები, სხვადასხვა წრეებში ჩართულობა და სხვა, რადგან მოსწავლეთა შესწავლა სხვადასხვა კონტექსტში აუცილებელია სრულყოფილი შეფასებისათვის. სკოლაში ეს ხორციელდება სხვადასხვა ფორმით. შემაჯამებელი დავალების კომპონენტში სავალდებულოა კომპლექსური, კონტექსტის მქონე დავალებების გამოყენება.
სკოლა გეგმავს მონაცემთა შეგროვების სხვადასხვა მეთოდის გამოყენებას. სკოლას აქვს სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, რომელშიც ასახულია რა წყაროების საშუალებით ხდება დანერგვის პროცესის ამსახველი მონაცემების დამუშავება. ასევე ინტერვიუზე დაყრდნობით, რომელიც მოსწავლის მრავალგვარი შესაძლებლობის შეფასების საშუალებას იძლევა, ასევე წარმოდგენილი შეფასების რუბრიკების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ შეფასება ხდება, სხვადასხვა კონტექსტის გათვალისწინებით. როგორც ვხედავთ მასწავლებლებს აქვთ სამომავლო ხედვა რომ პედაგოგიური პარაქტიკის კვლევისას, რომლის მიზანია შეისწავლოს რამდენად ეფექტურია მისი შემუშავებული ინტერვენცია სწავლის შედეგების თვალსაზრისით, გათვალისწინებულია მრავალი კონტექსტი. ეს კონტექსტები არის : კლასის კლიმატი, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება, სწავლის პერიოდი, თემა, საკითხი, მოსწვალეთა ინტერესები და ა.შ. დასკვნის მართებულობას სწორედ ეს მრავალი კონტექსტიდან დანახული სიტუაცია უზრუნველყოფს. **ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.**

ინდიკატორი 3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

კურიკულუმის შეფასების პროცესში სკოლა იყენებს მონაცემთა შეგროვების შემდეგ მეთოდებს, როგორებიცაა: რაოდენობრივი და თვისობრივი კვლევები, რომელშიც ჩართული არიან ძირითადად მოსწავლეები და მასწავლებლები. თუმცა ასევე მონაწილეობენ მშობლები; საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვება, მოსწავლეთა უკუკავშირი, მშობელთა უკუკავშირი, პედაგოგთა სამუშაო შეხვედრებზე განხორციელებული აქტივობების ანალიზი, მოსწავლეთა ნამუშევრების (შემაჯამებელი წერების, კომპლექსური დავალებების და სხვა.) ანალიზი, რაც ადასტურებს, რომ სკოლა შეფასებისას იყენებს მონაცემთა შეგროვების სხვადასხვა მეთოდს, ძირითადად შემაჯამებელი დავალების ანალიზს, თუმცა ახალი სასწავლო წლისთვის იგეგმება სადიაგნოსტიკო შეფასების ჩატარებაც , რომელიც დასტურდება მოწოდებული მასალით.

შეფასებისას, მონაცემთა შეგროვება ძირითადად ხდება კათედრებზე, პარალელურ კლასისა და საგანის მასწავლებლებისაგან, სკოლას წარმოდგენილი აქვს სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, რომელშიც ასახულია რომ შეფასების პროცესში გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მეთოდები, კერძოდ რა ინსტრუმენტები გამოიყენება სასწავლო პროცესის დაგეგმვისთვის, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებისთვის, დანერგვის პროცესთან დაკავშირებით მონაცემების შესაგროვებლად, დანერგვის პროცესის მონიტორინგისა და შეფასებისთვის; შესაბამისად სკოლას აქვს მზაობა შეფასებისას გამოიყენოს მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები.

მეთოდების გამოყენების ერთობლიობა შეფასებისადმი ჰოლისტურ მიდგომას უზრუნველყოფს და ამავდროულად აბალანსებს თითოეული მეთოდის სუსტ მხარეებს. **ინდიკატორი სტნდარტს შეესაბამება.**

ინდიკატორი 4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

მნიშვნელოვანია, რომ დაწყებით საფეხურზე შეფასებისას საჭიროა სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინება: გარემო, დროის მენეჯმენტი, რესურსები, ფსიქო-ემოციური ფონი, მოსწავლეთა უნარებისა და ინტერესების გამოკვეთა. სკოლა ფიქრობს, წინასწარ შემუშავებულ შეფასების კრიტერიუმებზე დაყრდნობით, სამომავლოდ შექმნას შეფასების ერთიანი ბაზა, სადაც შეგროვდება მონაცემები და დაიგეგმება ინტერვენციები პროგრესის მისაღწევად, რაც დაწყებითი საფეხურის შედეგებისათვის უმნიშვნელოვანესია. გასათვალისწინებელია, რომ მის სასწავლო სიტუაციაზე, გარემოებაზე გავლენას ახდენს, არა მხოლოდ უშუალო გარემომცველი მიკროსისტემა, არამედ ფაქტორთა მთელი რიგი სხვადასხვა სისტემებიდან, იქნება ეს მეზო, ეგზო, მაკრო, თუ სხვა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

წარმოდგენილი მასალებიდან ირკვევა და მასწავლებელთა ინტერვიუებიდანაც დასტურდება, რომ მასწავლებლები სწავლების თითქმის ყველა საფეხურზე იყენებენ სწავლების დიფერენცირებულ მიდგომებს. გამომდინარე იქიდან, რომ მოსწავლეზე, მის სასწავლო სიტუაციაზე, გავლენას ახდენს ეფექტური განმავითარებელი შეფასება.

როგორც თვითშეფასების ნარატივიდან ირკვევა,მოსწავლეთა ცოდნის დონის განსაზღვრის მიზნით, სკოლა გეგმავს **მოსწავლეთა შეფასება მოხდეს** მულტიფაქტორული მიდგომის გათვალისწინებით: გარემო, დროის მენეჯმენტი, რესურსები, ფსიქო-ემოციური ფონი, მოსწავლეთა გაპმოკვეთილი უნარების და ინტერესები გათვალისწინებული იქნება კურიკულუმის შემუშავების დროს. წინასწარ შემუშავებულ შეფასების კრიტერიუმებზე დაყრდნობით, სამომავლოდ შეიქმნება შეფასების ერთიანი ბაზა, სადაც შეგროვდება მონაცემები და დაიგეგმება ინტერვენციები პროგრესის მისაღწევად. **ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება**.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

- [x] შეესაბამება
- [ ] მეტწილად შეესაბამება
- [ ] ნაწილობრივ შეესაბამება
- [ ] არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;

სკოლა დაწყებით საფეხურზე სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისას მუდმივად ღებულობს საგნობრივი ექსპერტებისა და ავტორიზაციის პროცესებში მხარდამჭერი ჯგუფის რეკომენდაციებს. სკოლაში ვიზიტისას გამოიკვეთა, რომ სკოლა შეფასების შედეგებს გამოიყენებს არსებულ კურიკულუმში ცვლილებების შეტანის მიზნით. იმისთვის, რომ ეს ცვლილებები იყოს შედეგიანი და რეალურად გააუმჯობესოს სასწავლო პროცესის ხარისხი, მნიშვნელოვანი სამუშაოს შესრულება მოუწევს სკოლაში შექმნილ პროფესიული განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფს. აღნიშნული ჯგუფი საგნობრივ კათედრებთან თანამშრომლობით განხორციელებული შეფასების საფუძველზე დაადგენს იმ საჭიროებებს, რომელთა გადაჭრა არსებითად გააუმჯობესებს სასწავლო პროცესს. ამ მიმართულებით ფიქრობენ, რომ შეიქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი, სადაც გათვალისწინებული იქნება დაგროვებული გამოცდილება, SWOT ანალიზი, ჩატარებული გაკვეთილის, კომპლექსური დავალების, პროექტის რეფლექსიები.

სკოლას გაცნობიერებული აქვს კურიკულუმის რევიზიის მნიშვნელობა და განხორციელების წესი, რომელიც დეტალურადაა წარმოდგენილი დოკუმენტში - "კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია". მასში გაწერილია ნაბიჯები, რომელზე დაყრდნობითაც უნდა მოხდეს კურიკულუმის ეტაპობრივი განვითარება. კურიკულუმის განახლება და განვითარება ხდება მთელი წლის განმავლობაში, სასწავლო წლის განმავლობაში, შეგროვილი მონაცემების საფუძველზე. მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის შემუშავებისათვის სარეკომენდაციო პაკეტი იქმნება რამდენიმე კომპონენტზე დაყრდნობით, რაც დეტალურადაა გაწერილი სკოლის მიერ შემოთავაზებული დოკუმენტის ფარგლებში. აღნიშნული კომპონენტებია, კათედრული მუშაობა, მოსწავლეთა ჩართულობის გაანალიზება, მოსწავლეთა შეფასებებზე დაკვირვება და პროგრესის დიაგნოსტირება, ასევე დირექციის ჩართულობა პროცესში. აღნიშნული დოკუმენტაციის ანალიზიდან და გასაუბრებიდან გამომდინარე სკოლა აქვს მზაობა კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო პაკეტის მიხედვით განახორციელოს პროცესი. **ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ინდიკატორი 2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს

სკოლა გეგმავს, რომ მონიტორინგისა და შეფასების შედეგები გაანალიზებული და გამოყენებული იყოს კურიკულუმის რევიზიის პროცესში. ახალი კურიკულუმი შედგეს იმ საჭიროებების გათვალისწინებით, რაც გამოავლინა შეფასებამ. საბოლოოდ კურიკულუმს მიეცემა დოკუმენტის სახე, რომელშიც დეტალურად იქნება გაწერილი, სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების ყველა ეტაპზე პასუხისმგებელი პირები და მათი ფუნქცია მოვალეობანი. ხედვა, განხორციელდეს მონიტორინგი და შეფასდეს შედეგები, სკოლას „კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიურ დოკუმენტში“ აქვს გაწერილი.

წლის განმავლობაში მიღებული შედეგების საფუძველზე რომელიც მიღებული დაკვირვებები , კურიკულუმის რევიზირებულ ვერსიაში უნდა აისახოს მოსწავლეთა სწავლების დინამიკა. მასწავლებლის მიერ დაგეგმილი და რეალიზებული პროცესების რეფლექსიები, სასწავლო მასალების ეფექტიანობის და ვალიდურობის მონაცემები და ა.შ. სასწავლო წლის განმავლობაში მიღებული გამოცდილება უნდა აისახოს ახალი სასწავლო წლის კურიკულუმში.

კურიკულუმის გადამუშავების პროცესი გაწერილია სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში “ სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია”. კურიკულუმის რევიზია ეყრდნობა წინარე გამოცდილებას. დოკუმენტის მიხედვით სკოლის ფარგლებში კურიკულუმის გადამუშავება ხორციელდება საგნობრივ კათედრებზე, სადაც პედაგოგთა ჯგუფი ხელმძღვანელობს რამდენიმე ფაქტორის გათვალისწინებით. განიხილება მოსწავლეთა ჩართულობის ხარისხი სასწავლო პროცესში, ასევე მოსწავლეთა შედეგებზე დაკვირვებით დგინდება კურიკულუმით განსაზღვრულმა საგანმანათლებლო აქტივობებმა რამდენად გამოიწვია მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესება. მშობელთა ჩართულობის ხარისხის გაანალიზება და ასევე მათი ინფორმირების მექანიზმების ეფექტურობის შეფასება.

> სკოლას და პედაგოგებს გააზრებული აქვთ მონიტორინგისა და მიღებული შედეგების შეფასების მნიშვნელობა, ვინაიდან კურიკულუმის დანერგვის პროცესი მუდმივ ინტერაქციას გულისხმობს დაწერილ და დაგეგმილ პროცესებსა და რეალიზებულ პროცესებს შორის. **ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.**

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

- [x] შეესაბამება
- [ ] მეტწილად შეესაბამება
- [ ] ნაწილობრივ შეესაბამება
- [ ] არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი **<u>საბაზო საფეხური</u>**	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	■ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი - ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;

1.სკოლას საბაზო საფეხურზე აქვს განსაზღვრული კურიკულუმის შემუსავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, რომელიც მისცემს სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. დოკუმენტში მკაფიოდაა ჩამოყალიბებული კურიკულუმის ჩამოყალიბებისა და შემდგომი განვითარების ეტაპები,ჩაშლილია შემადგენელი ნაწილებისა და კომპონენტების შესახებ ინფორმაცია. საბაზო საფეხურის ყველა საგნის ექსპერტის აზრით, სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაშია აღნიშნული,რომ ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის წინა/მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი პროცესების/წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზება, სადაც გაანალიზებულია მოსწავლეთა ჩართულობა სასწავლო პროცესში, მოსწავლეთა შედეგები, მშობელთა ჩართულობა, შესაბამისი უკუკავშირი და ა.შ და ამის მიხედვით ხდება მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის შედგენა. აქედან გამომდინარე, კურიკულუმის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას ტექნოლოგიების მიმართულებით წარმოდგენილი კურიკულუმები ამ ეტაპზე შექმნილია მასწავლებელთა არსებული გამოცდილების საფუძველზე. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ სამომამვლოდ გეგმავენ სასკოლო საზოგადოება, მათ შორის მოსწავლეები და მშობლები მეტად ჩართონ კურიკულუმის შემუშავების პროცესში და გაითვალისწინონ მოსწავლეთა ინტერესები და შესაძლებლობები.

ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება

2. საბაზო საფეხურზე კურიკულუმის შემუშავებაში სასკოლო საზოგადოების წევრები აქტიურად იღებდნენ მონაწილეობას.მაგალითად, მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინება მოხდა იმ კუთხით, რომ სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით , ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის წინა/მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი პროცესების/წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზება, სადაც გაანალიზებულია მოსწავლეთა ჩართულობა სასწავლო პროცესში, მოსწავლეთა შედეგები, მშობელთა ჩართულობა და ა.შ და ამის მიხედვით ხდება მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის შედგენა. აქედან გამომდინარე, კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები.სახელმწიფო ენის ექსპერტები აღნიშნავენ, რომ პედაგოგებმა ინტერვიუსას ისაუბრეს კომპლექსური დავალების იდეებში მოსწავლეთა ინტერესებსა და შესაძლებლობებზე, რაც გულისხმობს სწავლა/სწავლებისას დიფერენცირებულ მიდგომებს. ინტერვიუს დროს ნათელი გახდა, რომ მასწავლებლები კურიკულუმის შემუშავების პროცესის უშუალო მონაწილეები არიან და გათვალისწინებულია მათი ინტერესები და ღირებულებები.

ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება

3. საბაზო საფეხურზე კურიკულუმის შემუშავება ხდება საგნობრივ კათედრებზე. კერძოდ, სხვადასხვა კლასის მასწავლებლები სხდებიან ერთად და შეთანხმების საფუძველზე განსაზღვრავენ თემების, საკითხების, რესურსების, დავალებებისა და დასამუშავებელი სამიზნე ცნებების ჩამონათვალს. ამაზე ინტერვიუს დროს ისაუბრეს მასწავლებლებმა. მათ ააქვთ მოსწავლის ინტერესების გათვალისწინებით, კომპლექსური დავალებების განსაზღვრის პრაქტიკა, ასევე წინარე გამოცდილების მსგავსად გეგმავენ სკოლაში რეგულირებული მშობელთან ურთიერთობების დებულების თანახმად მათგან უკუკავშირის საშუალებით მშობელთა ჩართვას ამ პროცესში. მომდევნო სასწავლო წელს გეგმავენ თემატური ერთეულების ფარგლებში ჩაატარონ კათედრების სხდომები, პარალელურმა კლასებმა ერთობლივად წარმოადგინონ რეფლექსია განხორციელებულ კომპლექსურ დავალებაზე, გამოავლინონ პრობლემები და მისი დანერგვის ეფექტური გზები.
ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

4.საბაზო საფეხურზე სკოლის კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაშია საუბარი კურიკულუმების საბოლოო ვერსიის ხელმისაწვდომობას სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისათვის უზრუნველყოფს სკოლა და შესაბამისი საგნების მასწავლებლები. სასკოლო საზოგადოებასთან უკვე შეთანხმებული და არჩეული არის შეფასების მეორე მოდელი, რაც განმსაზღვრელი შეფასების დაწერას ითვალისწინებს მხოლოდ შემაჯამებელ სამუშაოებში. ყველა მასწავლებელს გათავისებული აქვს ცნებების თეორიაზე გადასვლის სიკეთეები და მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები. სკოლა გეგმავს, მას შემდეგ რაც სრულყოფილი საგნობრივი კურიკულუმი გაზიარდება სასკოლო საზოგადოებაში, როგორც სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილი, გასაჯაროვდება სკოლის ვებ-გვერდსა და საინფორმაციო დაფაზე. ამ ეტაპზე მშობლებისთვის დაგეგმილი კომპლექსური დავალებების გაცნობა კომპლექსური დავალებების ბარათების და სოციალური ქსელის საშუალებით ხდება, სამომავლოდ კურიკულუმთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისა და მათი უკუკავშირის მისაღებად გამოიყენებენ სხვადასხვა საკომუნიკაციო არხს, მაგ. ელექტრონული ფოსტა, სასკოლო საჯარო ღონისძიებები, სოციალური მედია და სხვა. **ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საბაზო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო;
- „მშობელთან ურთიერთობის დებულების“ დოკუმენტი;
- პედსაბჭოს სხდომის ოქმი
- 2023–2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა.
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია.
- მოსწავლეთა ინტერესების მხარდამჭერი მექანიზმები.

2.1.2.კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

1.შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;

2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);

3.პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;

4.განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;

5.დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;

საბაზო საფეხურზე შემუშავებული კურიკულუმი უმეტესად წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. მნიშვნელოვანია ის, რომ სკოლა გეგმავს მოსწავლეზე ორიენტირების პროცესისათვის გრძელვადიანი მიზნების მიღწევის გზა შუალედური მიზნებით ისე იყოს დაფარული, რომ სწავლა–სწავლების პროცესში ხორციელდებოდეს კომპლექსური დავალებების შესრულება. სკოლასთან გასაუბრებისას მკაფიო გახდა, რომ იგი გეგმავს ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე უზრუნველყოს თემის ფარგლებში ყველა სამიზნე ცნების დაფარვა საგანში. ასევე სკოლას შემუშავებული აქვს „მოსწავლეთა ინტერესების მხარდამჭერი მექანიზმების“ დოკუმენტი, რომლითაც დასახულია მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზა.

ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად გრძელვადიან მიზნებზე, სამიზნე ცნებებზე ორიენტირება და შუალედური მიზნების გათვალისწინება ეხმარება მათ მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვაში. წარმოდგენელი კურიკულუმის ჩარჩოების და ასევე ინტერვიუსას პედაგოგები გვიქმნიან წარმოდგენას, რომ მათ მიერ შექმნილი სასწავლო გარემო ორიენტირებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

თითოეული მოსწავლის განვითარებაზე. პროექტული შინაარსის დავალებების საშუალებით, მოსწავლეებს აძლევენ შესაძლებლობას კეთებისა და კვლევის პროცესში თავად მოახდინონ სწავლის კონსტრუირება.

განსაზღვრულია ძირითადი საკითხების კასტერები, კონტექტ მაგალითები, კომპლექსური დავალებიის იდეა და მაგალითები შედარებისთვი აგრეთვე სასწავლო რესურსები კომპლექსური დავალებებისათვის. წარმოდგენილია განხორციელებული სასკოლო პროექტები, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლის პიროვნული და სოციო-ემოციური განვითარებას, ზრდის მოტივაციას და ფორმალური და არაფორმალური განათლების კომპონენტში მოსწავლეთა აქტიური და თანასწორი ჩართულობის საშუალებას იძლევა. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზიდან და ინტერვიუს შედეგად ჩანს, რომ სკოლას აქვს საკმარისი მზაობა , გამოცდილება და ხედვა, წარმატებით დაგეგმოს და განავითაროს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესი. **ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია**.

ინდიკატორი 2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);

საბაზო საფეხურზე საგნობრივი კურიკულუმები კათედრის მასწავლებლებმა წარმოადგინეს სამიზნე ცნებებზე ფოკუსირებით, რომლებსაც უფრო აზუსტებს და მკაფიოს ხდის სამიზნე ცნებებთან დაკავშირებული ქვეცნებები. ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების მიხედვით დაგეგმილ საგნობრივ კურიკულუმებში სასწავლო პროცესი აგებულია სავალდებულო თემების მიხედვით, რომლის ფარგლებშიც მუშავდება ეროვნული სასწავლო გეგმის ყველა შედეგი და სამიზნე ცნება. საგნობრივ კურიკულუმებში ასევე გამოკვეთილია საკითხთა ის კლასტერები და შესაბამისი კონტექსტ-მაგალითები, რომელთა გამოყენებითაც მასწავლებლებმა მოსწავლეებისათვის დაგეგმეს იმ საკითხების კომპლექსურად შესწავლა, რომელიც საგაკვეთილო პროცესში ნაბიჯ-ნაბიჯ გააქტიურებს ისეთ ფუნქციურ-კომპონენტურ უნარებს როგორიცაა: კრიტიკული აზროვნება, თანამშრომლობა, კომუნიკაცია, შემოქმედებითობა, ნებელობა, მოქალაქეობა. საგნობრივი კურიკულუმები (ისტორია, გეოგრაფია, მოქალაქეობა) წარმოდგენილია ისეთი კომპლექსური ბუნების დავალებები, სადაც მოსწავლე საკუთარ გამოცდილებასთან ინტეგრირებულად და მიზნობრივად გამოიყენებს ახალ ცოდნას, უნარებს და ღირებულებებს. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები მათ მიერ შექმნილი საგნობრივი კურკიკულუმების ჩარჩოებზე დაყრდნობით გეგმავენ ისეთი მეტაკოგნიტური სტრატეგიების სასწავლო პროცესში გამოყენებას როგორიცაა: თვითშეფასება, შედეგების პროგნოზირება, მსჯელობა, უკუკავშირი, გადამოწმება, ასევე მასწავლებლის და მოსწავლის რეფლექსიები და განმავითარებელი შეფასება. **ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება**.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ინდიკატორი 3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;

საბაზო საფეხურზე სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია დიფერენცირებულ/ინკლუზიური მიდგომები, რაც სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებშიც ჩანს. მართალია, საგნობრივი კურიკულუმები (ისტორია, გეოგრაფია, მოქალაქეობა) წარმოდგენილია სავალდებულო თემების, სამიზნე ცნებების, სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენების, საკითხთა კლასტერების, კონტექსტ-მაგალითებისა და კომპლექსური დავალების იდეების დონეზე, თუმცა მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, პედაგოგების მზაობა დიფერენცირებულ და ინკლუზიურ მიდგომებთან დაკავშირებით, რაც გულისხმობს, როგორც თანამედროვე პარადიგმების რეალიზებას სასკოლო სივრცეში, ასევე პოზიტიური სასკოლო კულტურის ჩამოყალიბებას. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს ისაუბრეს, რომ სწავლის პროცესის დროს ისინი ყურადღებას ამახვილებენ მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და შესაძლებლობებზე, მათ ინტერესებზე. მომავალ სასწავლო წელს მოსწავლეებს დაგეგმილი საგნობრივი კურიკულუმების შესაბამის მათზე მორგებულ სასწავლო რესურსებსა და სასწავლო მასალას შესთავაზებენ, რაც მოსწავლის მაქსიმალურ ჩართულობას და ცოდნის კონსტრუირებას შეუწყობს ხელს. პედაგოგებს აქვთ მზაობა მოსწავლეებს მისცენ მათ საჭიროებებზე მორგებული კომპლექსური ტიპის დავალებები. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ კომპლექსურ დავალებებში ჩაშენებული აქვთ ინკლუზიური ხედვა, ინდივიდუალური მიდგომები. ინტერვიუდან მიღებულ ინფორმაციას განამტკიცებს სკოლის ისგ ჯგუფის ოქმები, პედსაბჭოს ოქმი N5 („ისგ ჯგუფის შედეგების შეჯამება“). სკოლას ასევე შემუშავებული აქვს „სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მოსწავლისათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციის“ დოკუმენტი, რომელიც არეგულირებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მოსწავლეებისათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდებას.

ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

ინდიკატორი 4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;

სკოლას სასკოლო–სასწავლო გეგმაში განსაზღვრული აქვს მოსწავლის შეფასების მიზნები და ამოცანები, რაც საბაზო საფეხურზე განმავითარებელ შეფასებასთან ერთად განმსაზღვრელ შეფასებას გულისხმობს. სკოლა გეგმავს 2023–2024 სასწავლო წელს განმსაზღვრელ შეფასებად გამოიყენოს **მეორე მოდელი,** რაც პედსაბჭოს სხდომის ოქმში აქვს გაწერილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

განმსაზღვრელი შეფასების საშუალებით სკოლა ადგენს მოსწავლის აკადემიური მიღწევის დონეს საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებაში. აფასებს ცოდნათა ურთიერთდაკავშირების, ცოდნის სამივე კატეგორიის გამოყენებისა და ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარს; ხოლო განმავითარებელი შეფასებით ადგენს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას და მიმართულია სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე. მისი მიზანია ხელი შეუწყოს მოსწავლის წინსვლასა და განვითარებას. განმავითარებელი შეფასებით ფასდება ცოდნის კონსტრუირებისა და ცოდნათა ურთიერთდაკავშირების პროცესი, მოსწავლის მიერ თავისივე ძლიერი და სუსტი მხარეების დადგენის უნარი, ცოდნის სამივე კატეგორიის ათვისების პროცესი, ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარი, ასევე დგინდება წინარე ცოდნა/წარმოდგენები. მაგალითისათვის მოსწავლის შეფასების მექანიზმად სკოლას წარმოდგენილი აქვს „სამიზნე ცნებებზე ორიენტირებულ განმავითარებელი შეფასების“რუბრიკა და „სამიზნე ცნებებზე ორიენტირებული განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა“, რომლებიც წარმოადგენენ სწავლა-სწავლების პროცესში მეთოდიკური ორიენტირების რეალიზების საშუალებას. კურიკულუმის ჩარჩოში ჩაშენებული კომპლექსური დავალებების იდეები, ბუნებრივად გულისხმობს და შეიცავს შეფასების კრიტერიუმებს, რაც მომდინარეობს სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენებიდან და ფარავს მას. აღნიშნული შეფასების კრიტერიუმები სკოლას უზრუნველყოფს კურიკულუმის განხორციელებისას ეფექტურად მიმართოს განმავითარებელ შეფასებას. თუმცა სკოლას ასევე აქვს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები, როგორებიცაა: პრეზენტაცია, ექსპერიმენტი, ესე, დისკუსია, დებატი, პროდუქტის შექმნა და ა.შ. ასეთი აქტივობების შემდეგ განხორციელებული უკუკავშირი, მოსწავლეებს აძლევს იმის შესაძლებლობას, უკეთ დაინახოს მიზნის მისაღწევად გასავლელი გზა. **ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება**.

ინდიკატორი 5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

საბაზო საფეხურზე კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში გამოკვეთილია პრინციპები, რომელსაც ეფუძნება სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესი, კერძოდ : სასკოლო კურიკულუმის შემუშავება ხდება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად; კურიკულუმის განახლება ხდება ყოველწლიურად მთელი წლის განმავლობაში შეგროვილი მონაცემების საფუძველზე; სასკოლო კურიკულუმის რევიზიის პროცესში გადაწყვეტილებები მიიღება მონიტორინგისა და შეფასების ეტაპზე გამოკვეთილი პრობლემების შესწავლის საფუძველზე; კურიკულუმი ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს; სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესი მჭიდრო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

კავშირშია სკოლაში მიმდინარე დამხმარე და მმართველობით პროცესებთან. კურიკულუმის შემუშავებაზე მუშაობა იწყება კონცეპტუალურ ჩარჩოს შესახებ მსჯელობით. განხილვის საგანია გამოწვევები, რომლებიც იკვეთება მოსწავლეზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პარადიგმის რეალიზების/ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების დანერგვის პროცესში (სასწავლო პროცესის ორიენტირება გრძელვადიან მიზნებზე, სასწავლო პროცესის დაფუძნება კონსტრუქტივისტულ საგანმანათლებლო პრინციპებზე, უპირობოდ პოზიტიური სასწავლო გარემო შექმნა): პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ ზოგიერთ კურუკულუმში შესული კომპლექსური დავალების იდეა წინა სასწავლო წლის გამოცდილებაზე დაყრდნობით დაგეგმეს და აპირებენ წინა წლის საქმიანობის ანალიზის გამოცდილების გათვალისწინებით დაგეგმოს საგნის კურიკულუმი. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზიდან და კათედრის წევრებთან ინტერვიუს შედეგად ჩანს, რომ მასწავლებლებს აქვთ სამომავლო ხედვა და მზაობა დაგეგმვის პროცესში გაითვალისწინონ წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საბაზო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო
- „მოსწავლეთა ინტერესების მხარდამჭერი მექანიზმენის“ დოკუმენტი,
- ინდ ჯგუფის სხდომის ოქმებში (ოქმი N1, N2, N3)
- პედსაბჭოს სხდომის ოქმი N5
- „სსსმ მოსწავლისათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციის“ დოკუმენტი

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3.კურიკულუმის განხორციელება

2..2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1.სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;

2.ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;

3.სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;

4.სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);

5.სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;

მტკიცებულებათა ანალიზის საფუძველზე ცხადი ხდება, რომ სკოლაში საბაზო საფეხურზე სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიური შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას; რაც მკაფიოა სკოლაში შემუშავებული კურიკულუმებიდან. მასში ჩაშენებული კომპლექსური დავალებების იდეები მოსწავლის შემოქმედებით პროცესში ჩართულობის დემონსტრირებაა და შემდგომშიც ამასვე ისახავს მიზნად. ასევე წარმოდგენილი ინდივიდუალური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

გეგმები, პედსაბჭოს ოქმები, სამოქმედო გეგმის შინაარსობრივი საკითხები თუ არაფორმალური განათლების მიმართულებით განხორციელებული პროექტები. სასწავლო პროცესში შესაძლებლობა არის განხორციელდეს ისეთი აქტივობები , სადაც მოსწავლე არის ცენტრალური სუბიექტი, ანუ იგი აიდენტიფიცირებს, განიხილავს და წყვეტს პრობლემებს; ეცნობა ახალ ინფორმაციას, ამუშავებს მას და განიხილავს სხვადასხვა კონტექსტში და სხვადასხვა თვალთახედვით; გადმოსცემს და ხსნის იდეებს თავისი სიტყვებით იქნება ეს წერილობით თუ დისკუსიების სახით. მოსწავლე ქმნის კომპლექსური დავალების პროდუქტს. მოსწავლის მოტივაციისა და სწავლის პროცესის ეფექტიანობისათვის თანამშრომლობით სწავლის ფორმა ჯგუფური და წყვილებში მუშაობა აქვს შერჩეული, სადაც მოსწავლეს შესაძლებლობა აქვს მუდმივად ინტერქციაში იყოს თანატოლთან, გასცეს და მიიღოს დაუყოვნებლივი უკუკავშირი, გაიზიაროს პასუხისმგებლობა საბოლოო შედეგზე. სასკოლო პროექტი კი ქმნის შესაძლებლობას თანამშრომლობითი გზით, ყველა ასაკის და საჭიროების მოსწავლე აქტიურად და თანაბრად იყოს ჩართული სხვადასხვა აქტივობებში, შერჩეული აქტივობები კი ქმნის მოსწავლის მაღალი ჩართულობის წინაპირობას, იძლევა მოსწავლის შინაგანი მოტივაციის აღძვრის შესაძლებლობას. ყოველივე ზემოთთქმულიდან გამომდინარემ იქმნება პოზიტიური სასკოლო კულტურა და საკლასო კლიმატი, რაც ხელისშემწყობია მოსწავლის შემოქმედებით პროცესებში ჩართულობისათვის. ასევე მნიშვნელოვანი და საინტერესოა საბუნებისმეტყველო კათედრის გამოცდილება, კერძოდ, ერთობლივად შემუშავებული სამუშაო გეგმის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობები, რომლებიც ექსკურსიების, პროექტებისა და სხვა ღონისძიებებით ასევე იძლევა ღიაობის, მაღალი მიმღებლობის, პრობლემაზე ორიენტირებულობისა და მოსწავლის ინიციატივების წახალისების შესაძლებლობას. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზიდან და ინტერვიუს შედეგად ჩანს, რომ სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილება და მზაობა მოცემულ ინდიკატორთან შესაბამისობის. ***ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.***

ინდიკატორი 2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;

საბაზო საფეხურზე სკოლას ისე აქვს კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილი ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული თემა, თემის საკვანძო შეკითხვები, მოსწავლისთვის შეთავაზებული დავალებების კონტექსტები, საკითხები თუ რესურსები, რომ მკაფიოა ახალი ცოდნის წინარე ცოდნაზე დაფუძნებით კონსტრუირების გახორციელების შესაძლებლობა. სკოლის პრაქტიკისა თუ დაგეგმილი კომპლექსური ბუნების დავალებებით მუშაობის ეტაპებზე მკაფიოა კომპლექსური დავალებების მნიშვნელოვანი პრინციპი, რომ სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტებია შემოტანილი. ამით მოსწავლეს კომპლექსური დავალების შესრულებისას უწევს გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი, ახსნას ნაცნობი მოვლენა მეცნიერების თვალსაზრისით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

მათი ხედვით, ფორმალური თუ არაფორმალური განათლებისას ყოველი ახალი საკითხი ემყარება არსებულ ცოდნას, ამით განამტკიცებს ძველს და უფრო იოლად აღსაქმელს გახდის ახალს.

საბაზო საფეხურზე სკოლის მიერ წარმოდგენილია კურიკულუმის ჩარჩოები, სადაც შერჩეული კომპლექსური დავალებების განხორციელების პროცესი იძლევა წინარე ცოდნის გააქტიურების საშუალებას. ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შინაარსის სხვადასხვაგვარად ინტერპრეტირება; დანერგვის ინსტრუმენტების დაკავშირება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან და წინარე ცოდნის გააქტიურების საშუალებას იძლევა. წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოებში სკოლის მიერ წარმოდგენილი სამიზნე ცნება, რომელიც უნდა დამუშავდეს შერჩეული საკითხის ფარგლებში. კათედრის წევრებთან ინტერვიუს შედეგად ჩანს, რომ სკოლას აქვს გამოცდილება და მზაობა ახალი ცოდნის კონსტრუირება მოახდინონ წინარე ცოდნაზე დაფუძნებით; ***ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.***

ინდიკატორი 3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;

წარმოდგენილი სწავლა–სწავლების მიზნები, რაც კურიკულუმის ჩარჩოში ამოიკითხება, ინტეგრირებულია მეტაკოგნიციის განვითარების სტრატეგიებთან. ეროვნულ სასწავლო გეგმაში გამოკვეთილი 6 კომპონენტური უნარი და მათთან დაკავშირებული კოგნიტური ოპერაციები, არსებით როლს ასრულებენ ინფორმაციის გადამუშავებისა და ცოდნად გარდაქმნის პროცესში, რაც ამ უნარებზე გამჭოლად მუშაობისას საგნის ათვისების განუყოფელი ნაწილია. კომპლექსური დავალება ასევე მოიცავს საკვანძო შეკითხვებს, რომლებიც ლაიტმოტივად გასდევს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესს. საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოები და ინტერვიუ ცხადყოფს, რომ მათ გააზრებული აქვთ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები, რომელიც ხაზს უსვამს მოსწავლეებში მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას. მოსწავლეები ეჩვევიან სწავლის, კვლევისა და ინფორმაციის მოძიების , წერა, კითხვა, ლაპარაკის, მოსმენის სტრატეგიებს. მოსწავლეები მსჯელობენ კომპლექსური დავალებების მათ მიერ განხორციელების გზების შესახებ.

საბაზო საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილია საკითხები, კონტექსტ-მაგალითები, კომპლექსური დავალების იდეები, თუმცა მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა მათი მზაობა იმასთან დაკავშირებით, რომ საგნობრივ კურიკულუმებში ასახული კომპლექსური დავალებების შესაბამის თემატურ მატრიცებს ნაბიჯ-ნაბიჯ ისე დაგეგმავენ, რომ სრულყოფილად იქნება წარმოდგენილი კომპლექსური დავალების პირობა შერჩეული სამიზნე ცნებებითან კორელაციაში მყოფი ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით, ეფექტური საკვანძო კითხვით, მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებებიდან, შესაძლებლობებიდან, ინტერესებიდან და მზაობიდან გამომდინარე შესაქმნელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

პროდუქტით, ხოლო კომპლექსური დავალების განხორციელების პროცესში აქცენტი გაკეთდება სწავლის სწავლაზე, რათა მოსწავლეებმა შეძლონ დავალების/შესასრულებელი საქმიანობის ღირებულების განსაზღვრა, დავალების/აქტივობის დაგეგმვა, სწავლის პროცესის მონიტორინგი, სწავლის, როგორც ქცევის სოციო-ემოციური მართვა; ეფექტიანი სასწავლო პროცესი მეტაკოგნიტური სტრატეგიების გააზრებასა და გაცნობიერებაზე იქნება ორიენტირებული.
ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

ინდიკატორი 4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);

სკოლა ეროვნულ სასწვლო გეგმაზე დაფუძნებით სასკოლო სასწავლო გეგმაში საუბრობს სასწავლო პროცესის ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობის აუცილებლობაზე. ცხადია, სასწავლო პროცესში მოსწავლე ამუშავებს კონკრეტულ ფაქტობრივ მასალას, ეცნობა ინფორმაციებს არა მხოლოდ სახელმძღვანელოდან, არამედ დამატებით სხვა წყაროებიდანაც. (დეკლარატიული ცოდნა), სვამს და პასუხობს შეკითხვებს მასალასთან დაკავშირებით. აღნიშნულ ცოდნას სწავლის სტრატეგიების გამოყენებით გარდაქმნის პროცედურულ ცოდნად და ცოდნის მოქმედებაში გადატანით, მის ინსტრუმენტალიზაციისა და გამოყენებით კონკრეტულ პირობასა და მოცემულობაში პირობისეულ ცოდნად აყალიბებს. აღნიშნული კი რეალიზდება როგორც კომპლექსური ბუნების დავალებებით, ისე პროექტული სწავლების რეალიზებისას ამ საფეხურზე.

საბაზო საფეხურზე სკოლის მიერ წარმოდგენილ მასალაში : სამომავლოდ დაგეგმილ საგნობრივ კურიკულუმის ჩარჩოებში, ჩანს, რომ პროცესი ისეა დაგეგმილი მასწავლებლის მიერ, რომ მოსწავლემ განსაზღვროს დავალების/შესასრულებელი საქმიანობის ღირებულება, დაგეგმვა- როგორ შეასრულოს დავალება, როგორ მოახდინოს სწავლის პროცესის მონიტორინგი და სწავლის პროცესის დროს თავისი ქცევის სოციო-ემოციური მართვა . წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზიდან და კათედრის წევრებთან ფოკუს-ჯგუფის ფარგლებში განხორციელებული ინტერვიუს შედეგად ჩანს, რომ მათ აქვთ გამოცდილება და მზაობა სასწავლო პროცესში აქცენტი გაკეთდეს სწავლის სწავლაზე; ***ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.***

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ინდიკატორი 5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

საბაზო საფეხურზე სწავლებისას სკოლა აცნობიერებს, რომ მის მიერ წარმოდგენილი ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით საგნის სწავლების თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ბუნების დავალებები, სწორედ ის საკვანძო ასპექტები თუ სტრუქტურულ ერთეულებია, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. იგი ყოველი განსაზღვრული თემით არის რა მოსწავლის გამოცდილების კონტექსტი, უზრუნველყოფს სასწავლი მასალის კავშირს მოსწავლის ცოდნასთან, მის ინტერესებსა და წარმოდგენებთან. მიემართება მოსწავლეთა ფუნქციური უნარების გამომუშავებას და ორიენტირებულია მოსწავლეთა ცოდნის ტრანსფერზე რეალურ ცხოვრებაში და ქმნის მოსწავლის პიროვნული მოქმედების არეალს.

საბაზო საფეხურზე საგნობრივი საკითხების სიღრმისეული გააზრებისა და სასწავლო მასალის ყოველდღიურ ცხოვრებასთან დაკავშირებისთვის სკოლის მიერ მოწოდებულ მასალაში კერძოდ სამომავლოდ დაგეგმილ კურიკულუმის ჩარჩოებში დაფიქსირებულია კომპლექსური დავალებების იდეა, რომლებიც უნდა განახორციელდეს შესაბამისად კომპლექსური დავალების შესრულების დროს აქცენტი გაკეთდება ცოდნის სამ კატეგორიაზე. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზიდან, განხორციელებული კოპლექსური დავალებებიდან და მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად მიღებული ინფორმაციიდან ჩანს, რომ სკოლას აქვს გამოცდილება და მზაობა, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებული იყოს ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული); ***ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.***

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საბაზო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო
- „მოსწავლეთა ინტერესების მხარდამჭერი მექანიზმენის“ დოკუმენტი,
- ინდ ჯგუფის სხდომის ოქმებში (ოქმი N1, N2, N3)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1.სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;

2.საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;

3.შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;

4.შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;

5.სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;

6.სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;

სკოლის მიერ შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმები ეყრდნობა მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივ სტანდარტებს. კურიკულუმის ანალიზის მიხედვით, ერთი მხრივ, იკითხება, რომ სასწავლო პროცესში დამუშავდება საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული სავალდებულო თემები, თემაში გაწერილი სამიზნე ცნებები, მკვიდრი წარმოდგენები, საკითხები, საკვანძო შეკითხვები. მეორე მხრივ, იგი ამოიცნობა რეალიზებულ კომპლექსური დავალებების შეფასების კრიტერიუმებსა და კომპლექსური დავალებების რეფლექსიებში, რაც მკაფიოა გასიტყვებისას და მასში კარგად ჩანს მოსწავლეების კრიტიკული აზროვნება, მრავალფეროვნება, კრეატიულობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

მოწოდებულ კურიკულუმის ნიმუშებში მკაფიოდ იკითხება, რომ სკოლა ზრუნავს დაგეგმოს სასწავლო პროცესი ისე, რომ გათვალისწინებული იყოს გრძელვადიანი მიზნის მისაღწევი ღონისძიებები. .საბაზო საფეხურზე სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოებში იკვეთება , რომ ახალი სასწავლო წლისთვის დაიგეგმება და განხორციელდება კომპლექსური დავალებები. მისი განხორცილების დროს მოხდება ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა , რომ პროცესი იწყება წინარე ცოდნის გააქტიურებით, მასწავლებლის მიერ შეთავაზებული შინაარსი, საკითხი და პრობლემა მოსწავლისთვის უცხო არ საშუალებას აძლევს, რომ იფიქროს პრობლემაზე, გამოწვევაზე, გაუმკლავდეს იმ აქტივობებს რომლებსაც მასწავლებელი სთავაზობს, ამისათვის თავს უყრის ყველა იმ უნარს და ცოდნას, რაც მას ამ მიმართულებით რელევანტურად მიაჩნია, ის ორიენტირებულია პრობლემის გადაჭრაზე, ნაცვლად ახალი მასალის დასწავლისა . ითვალისწინებს მათ გამოცდილებას, არგუმენტებს, ცდილობს უპასუხოს კონტრარგუმენტით, მოძებნოს გამოსავალი. ყველა ეს აქტივობა კი მისგან მოითხოვს ყველა გამოცდილების მობილიზებასა და ცოდნების ინსტრუმენტად გარდაქმნას. ამავდროულად შესაძლებელია ცოდნის ინტეგრირებულად გამოყენებაც არაფორმალურ პროექტულ და პრობლემაზე დაფუძნებულ აქტივობების ფარგლებში. ***ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.***

ინდიკატორი 2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;

მოსწავლის შემეცნების (აზროვნების, კოგნიციის) განვითარებასთან ერთად ხდება სოციალური უნარ-ჩვევების ეტაპობრივი განვითარებაც. ფსიქო-სოციალური სფერო განსაზღვრავს ბავშვის პიროვნული თვისებების ჩამოყალიბებასა და ადამიანებთან ურთიერთობას. სოციალური განვითარება განაპირობებს ბავშვის უნარს, დაამყაროს ურთიერთობა გარემოსთან და გარშემომყოფებთან. ამისათვის სკოლას საბაზო საფეხურზე კურიკულუმებში აქვს ისეთი აქტივობები/მიდგომები, როგორებიცაა: როლური თამაშები, სიმულაციები, საკომუნიკაციო ამოცანის შეცვლა, ეხმარებიან მოსწავლეებს საკუთარი თავის შეცნობაში ასაკის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდებით, რომლითაც შექებითა და წახალისებით პოზიტიურ განწყობას უქმნიან მოსწავლეებს სწავლისა და შემეცნების პროცესში; მასწავლებლები მოსწავლეებს აჩვენებენ დადებით მაგალითებს კონფლიქტური სიტუაციების მოგვარებისას. არ არიან აგრესიულები და უსამართლონი, განსაკუთრებით, მოსწავლის თანდასწრებით. აქცევენ ყურადღებას მოსწავლის განსხვავებული აზრებისა და მოვლენების მიმართ დამოკიდებულებას, ახალისებენ განსხვავების მიმართ შემწყნარებლობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

საგნობრივ კურიკულუმებში თითოეული თემის ფარგლებში წარმოდგენილი ძირითადი შესასწავლი საკითხები და კომპლექსური დავალებები მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარების ხელშეწყობის საშუალებას იძლევა. მართალია საგნობრივ კურიკულუმებში ასახულია კომპლექსური დავალების რამდენიმე იდეა, მაგრამ მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ კომპლექსური დავალების განხორციელების დროს მოსწავლეები დიდი ინტერესით ერთვებიან საგაკვეთილო პროცესში, მათთვის ყველაზე სახალისო პროდუქტის შექმნაა, ასევე ხალისით ერთვებიან კომპლექსური დავალების განხორციელების დროს საინტერესო აქტივობებში, მსჯელობენ საკუთარ ძლიერ და სუსტ მხარეებზე, აცნობიერებენ სხვების პოზიციას და შესწავლილი საკითხიდან გამომდინარე გამოხატავენ ემპათიას სხვების მიმართ, თანაკლასელებთან ამყარებენ პოზიტიურ ურთიერთობებს, უმკლავდებიან სტრესულ და კონფლიქტურ სიტუაციებს, პერსონალურ თუ სოციალურ ქცევებს შორის აკეთებენ ეთიკურ და კონსტრუქციულ არჩევანს. ვფიქრობ ამგვარი ქმედებები ემსახურება მოსწავლეთა პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას, რაც ვლინდება კომპლექსური დავალების განხორციელების დროს.

ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

ინდიკატორი 3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;

შეფასების სისტემა ორიენტირებული უნდა იყოს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე, რაც ეყრდნობა მესამე თაობის ეროვნულ სასწვლო გეგმას.სწავლებისას სკოლას გააზრებული და განსაზღვრული აქვს, რომ ფასდება არა მარტო სწავლის შედეგი, არამედ, როგორ მიმდინარეობს სწავლა/სწავლების პროცესი. ამისათვის წარმოდგენილია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებები. სკოლაში არსებული შეფასების სისტემა მიმართულია რა მოსწავლის ჰოლისტურ განვითარებაზე – მაღალი სააზროვნო უნარების ჩამოყალიბებაზე (კრიტიკული აზროვნება; შემოქმედებითობა; კომუნიკაცია; თანამშრომლობა; მოქალაქეობა; ხასიათი/ნებელობა), ასევე ცოდნის აგებასა და გამოყენებაზე ორიენტირებული – რითაც მოსწავლეები მისი საშუალებით მეტად აქტიურნი ხდებიან. მათ ასევე განსაზღვრული აქვთ შეიმუშაონ კომპლექსური დავალებისათვის სამიზნე ცნებებზე დაფუძნებული შეფასება, რომელიც მასწავლებელს მისცემს შესაძლებლობას დაინახოს მოსწავლე პიროვნული, ფსიქო-სოციალური და აკადემიური უნარების ჭრილში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

- დაკვირვების კითხვარების, თვითშეფასების ფორმები, საშუალებით დგინდება, რომ შეფასების სისტემა ორიენტირდება არა მხოლოდ ფაქტობრივ ცოდნაზე, არამედ ითვალისწინებს მოსწავლის პიროვნული განვითარებისთვის აქტუალურ ყველა გარემოებას , როგორია მოსწავლის ჩართულობა სასწავლო პროცესში , **რა ფაქტორები** უწყობს/უშლის სასწავლო პროცესში მოსწავლის აქტიურ მონაწილეობას **ხელს** , **და ა.შ.** შეფასება ინტეგრირებულია სასწავლო პროცესში და განუყოფელი ნაწილია მოსწავლის ყოველდღიური პროცესის; რაც იკვეთება ასევე წარმოდგენილ კომპლექსური დავალების გეგმაში, სადაც პირობაში ჩაშენებულია შეფასების კრიტერიუმები, რომლის საშუალებითაც მასწავლებელი აფასებს თითოეული მოსწავლის მიერ შექმნილ კომპლექსური დავალების პროდუქტს, სამიზნე ცნების თითოეული მკვიდრი წარმოდგენის შესაბამისად. ასევე მოსწავლის თვითშეფასების საშუალებას იძლევა კომპლექსური დავალების ბარათის ბოლოს .მოსწავლის ჰოლისტური შეფასების მექანიზმად სკოლას წარმოდგენილი აქვს განმავითარებელი შეფასების სახით სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომია, სადაც იკვეთება სწავლა-სწავლების პროცესში მეთოდიკური ორიენტირების რეალიზებას საშუალება. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზიდან და გასაუბრებიდან გამოიკვეთა რომ, ჩანს, რომ სკოლას აქვს გამოცდილება და მზაობა შეფასების სისტემა ორიენტირებული იყოს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე; ***ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.***

ინდიკატორი 4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;

სკოლა 2023–2024 სასკოლო სასწავლო გეგმაში საუბრობს შეფასების სისტემის ვალიდურობის, გამჭვირვალეობის, სანდოობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპების ხელშეწყობაზე, რის დადასტურებად იგი მოიაზრებს საგანში შეფასების სისტემის შემუშავებულ მეთოდოლოგიას. ხაზგასმულია მასწავლებლების მიერ შემუშავებული განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რაც უნდა შეათანხმონ და დაამტკიცონ პედაგოგიურ საბჭოზე.

მასწავლებლების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისა და ინტერვიურების შედეგად გამოიკვეთა, რომ საბაზო საფეხურზე შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად მოსწავლეებს აფასებენ განმსაზღვრელი და განმავითარებელ შეფასებით. წარმოდგენილ შეფასების რუბრიკებში განსაზღვრულია შეფასების მიზანი, ე.ი. შეფასების ინსტრუმენტის შერჩევა ხორციელდება გარკვეულ მიზანზე ორინეტირებით. კრიტერიუმები ხაზს უსვამს მოსწავლეთა ძალისხმევას, პასუხისმგებლობას, ჩართულობას, საკუთარი ნააზრევის გადმოცემის შესაძლებლობას და წარმოადგენდეს რეფლექსიას მათი სწავლის პროცესზე. აღნიშნულ რუბრიკებს შეიმუშავებენ მასწავლებლები, განიხილავენ და თანხმდებიან კათედრის სხდომაზე, ხოლო პედაგოგიური საბჭო მათ ამტკიცებს. სკოლას აქვს შეფასების კრიტერიუმების შემუშავების პროცესში მოსწავლეთა ჩართულობის გამოცდილება. ასევე, სამართლიანობასა და გამჭვირვალობას ხელს უწყობს სასწავლო პროცესში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

გამოყენებული თვითშეფასება და ურთიერთშეფასება. მოსწავლეებისა და მშობლებისთვის წინასწარ არის ცნობილი შეფასების სისტემა. მართალია მასწავლებლებს შეფასების რუბრიკები წინა გამოცდილებაზე დაყრდნობით აქვთ შექმნილი, მაგრამ გეგმავენ მომდევნო წლისთვის განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებზე იმუშაონ სავალდებულო თემის ფარგლებში შედეგების მიღწევების ინდიკატორებზე დაყრდნობით, ხოლო განმავითარებელი შეფასებები მოსწავლეებს მისცენ საგნობრივი სტანდარტების შესაბამისად ცნების მკვიდრი წარმოდგენების მიხედვით.

ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

ინდიკატორი 5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;

საბაზო საფეხურზე შეფასების სისტემის მექანიზმების განსაზღვრისას ეყრდნობა ეროვნული სასწავლო გეგმით შემოთავაზებულ შეფასების სისტემას. სკოლაში მოქმედი შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს - რეგულარულად (9 თვეში ერთხელ) ეცნობება მშობელს მოსწავლის შეფასების შესახებ, სასწავლო წლის დასაწყისში მშობლები ეცნობიან სასკოლო სასწავლო გეგმას, სკოლაში მოქმედ შეფასების სისტემას, ნიშნის ამაღლების წესს, სემესტრული გამოცდის დანიშვნის გზით და ა.შ. კათედრების სხდომებზე ანალიზდება შემაჯამებელი დავალებები. შეფასების კუთხით, მშობლებთან დამყარებულია აქტიური უკუკავშირი თანამედროვე საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენებით, რისთვისაც სკოლას შემუშავებული აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი გაწერილი „შეფასების სისტემის ვერიფიკაციის“ დოკუმენტში, რომელიც არის სკოლაში გამოყენებული შეფასების სისტემის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მექანიზმი. ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა რომ შეფასების რუბრიკების შემუშავება ხდება კათედრაზე ერთობლივად, უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას. სასწავლო წლის დასაწყისში მშობლები გაეცნობიან სასკოლო სასწავლო გეგმას, სკოლაში მოქმედ შეფასების სისტემას.

ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.

ინდიკატორი 6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

სკოლა 2023–2024 სასკოლო სასწავლო გეგმაში საუბრობს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების სათანადო აღრიცხვისა და შენახვის კანონმდებლობით დადგენილი წესების შესახებ. კერძოდ, სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 10 წლის ვადით მატერიალური სახით, ელექტრონულად - ხუთი წლის ვადით. სკოლა იცავს დოკუმენტაციის წარმოებასთან და სკოლაში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

მათ შენახვასთან დაკავშირებულ რეგულაციებს. მოსწავლეთა პირადი საქმეებისა და მათი შეფასებების წესი განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობით.

სკოლას აქვს მზაობა ამ მიმართულებით იმუშაოს.

ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- „შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის“ დოკუმენტი.
- 2023–2024 სასკოლო სასწავლო გეგმა
- საბაზო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3 სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
5 უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

სკოლის მიერ საგნობრივი მიმართულებით წარმოდგენილი სასწავლო პროცესი მტკიცებულებებზე დაფუძნებით გვაფიქრებინებს, რომ სკოლაში შექმნილია პოზიტიური და ნდობაზე დაფუძნებული გარემო, რომლის დასტურად მოიაზრება მასწავლებლებისა და მოსწავლეების მიერ ერთობლივად დაგეგმილი აქტივობები, რომელშიც მოსწავლე არის სუბიექტი და არა ობიექტი. გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, საჭიროებანი; ასევე უზრუნველყოფილია გლობალური ფუნქციურ-კომპონენტური უნარების გამომუშავების ხელშეწყობა, რაც კათედრაზე კომპლექსური დავალებების სწავლებითაა შესაძლებელი და სკოლის მიერ შემუშავებული „მოსწავლის ინიციატივების მხარდამჭერი მექანიზმის“ დოკუმენტიდან ამოიცნობა. ასევე სკოლაში შექმნილი პოზიტიური გარემო, თანამშრომლობითი კულტურა, მიმღებლობა და ღიაობა, სასკოლო საზოგადოებას ჰარმონიულად განვითარების საშუალებას აძლევს. მასწავლებლები საუბრობენ პრობლემაზე ორიენტირებული კომუნიკაციის პრაქტიკასა და გაზიარებული პასუხისმგებლობებზე, რომ ნებისმიერ მასწავლებელს საშუალება აქვს ისარგებლოს სასწავლო პროცესისაგან თავისუფალი ფართით ან საერთო სარგებლობის სივრცეებით ნებისმიერ დროს, რათა განახორციელოს მისი ინიციატივები. სასწავლო პროცესთან დაკავშირებული კითხვებისთვის ყველას ეძლევა საკმარისი დრო როგორც პედსაბჭოზე, ასევე შეუზღუდავად შეუძლიათ პირადი საუბრები და შეხვედრები როგორც დირექციასთან, ასევე კოლეგებთან. ამისათვის მათ აქვთ ფართი, მუდმივი ინტერნეტი და ნებისმიერი სასკოლო რესურსი. კათედრებზე გეგმავენ, მომავალი სასწავლო წლიდან მოსწავლეთა სწავლებისას დიფერენცირებული მიდგომების უკეთ გასათვალისწინებლად კომპლექსურ დავალებაშივე ჩაშენდეს დავალებები საშუალო და სუსტი მზაობის მოსწავლეებისათვის.

პედაგოგებთან გასაუბრების დროსაც იგრძნობოდა მხარდაჭერა, ერთიანობა და გუნდურობა. სკოლაში ხდება სსსმ მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინება. სასწავლო პროცესში შექმნილია მიმღებლობითი და მხარდამჭერი გარემო

ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.

ინდიკატორი 2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;

სკოლის მიერ მოსწავლის შედეგებზე დაკვირვებით, შესაძლოა ვიფიქროთ, რომ ორიენტირებულია მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე. მასწავლებელი კომპლექსური დავალებების დანერგვით უზრუნველყოფს მოსწავლეთა თანაბარ ჩართულობას სასწავლო პროცესში. თუმცა მნიშვნელოვან ასპექტებადაა დასახული მოსწავლის საჭიროებების მუდმივი მონიტორინგი. ეს შეიძლება იყოს ფორმალური თუ არაფორმალური, შემაჯამებელი თუ განმავითარებელი, დაკვირვებაზე დაფუძნებული, პორთფოლიოების, რუბრიკების და სხვა მიმართულებით მუშაობა. სკოლას სასწავლო პროცესში მოსწავლეზე ორიენტირების უზრუნველსაყოფად ასევე გააჩნია „მოსწავლის ინიციატივების მხარდამჭერი მექანიზმის“ დოკუმენტი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი საგნობრივ კურიკულუმის ჩარჩოში შერჩეული კომპლექსური დავალებები უზრუნველყოფენ მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს, სადაც წამყვანია მოსწავლის ავტონომიურობა, არჩევანი, წინარე გამოცდილება და თვითრეგულაცია. მასწავლებლები ორიენტირებულები არიან მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე. კურიკულუმის ჩარჩოებში განსაზღვრულია თემები, თემის ფარგლებში შერჩეული საკითხები, კომპლექსური დავალებები, რომელთა გაწერა სექტემბრამდე იგეგმება შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად. საჭიროების შემთხვევაში სკოლა შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს, წაახალისებს ინტეგრირებულ გაკვეთილებს და პროექტებში მონაწილეობას. სკოლას აქვს მზაობა პროცესი წარიმართოს მოსწავლეზე ორინეტირებულად.

ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.

ინდიკატორი 3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;

სკოლის საქმიანობა ეფუძნება თანამშრომლობით კულტურას, რაც გამოიხატა სკოლის საგნობრივი კათედრების მიერ ერთობლივად შემუშავებული სასკოლო კურიკულუმებით. იგი გულისხმობს როგორც კურიკულუმების ჩარჩოს შემუშავების, ისე კურიკულუმის განხორციელების პროცესში მასწავლებლების მიერ სამუშაო შეხვედრათა დაორგანიზებას. სკოლა აცნობიერებს, რომ თანამშრომლობა და გუნდურობა ამ მრავალფეროვნებას აქცევს მნიშვნელოვან პლატფორმად მოსწავლეზე ორიენტირებული გადაწყვეტილებების მისაღებად, რის საუკეთესო პრაქტიკა ინტეგრირებული გაკვეთილები, კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტი, ურთიერთდასწრება და უკუკავშირი, რესურსების ერთობლივად შექმნა, ურთიერთსწავლება და საგნობრივი შეხვედრების სასწავლო პროცესში რეალიზებაა.

ხდება მასწავლებელთა შეხვედრები, პრაქტიკის გაზიარება, სიახლეების დანერგვა. სამომავლოდ სკოლა გეგმავს სასკოლო თემის გააქტიურებას და ჩართვას სკოლის განვითარებაში. გეგმავენ, რომ მასწავლებელთა შეხვედრები იყოს უფრო ხშირი და შინაარსობრივი, პროდუქტიული. სკოლის ფარგლებში თანამშრომლობითი კულტურის შესახებ წარმოდგენას გვიქმნის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისათვის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმა ,რომელშიც ჩართულია პედაგოგები ყველა საგნობრივი კათედრიდან. წარმართულ ინტერვიუებზე გამოჩნდა კათედრის წევრების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ურთიერთთანამშრომლობა და კომუნიკაცია სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და ხარისხის გაუმჯობესების კუთხით. **ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.**

ინდიკატორი 4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე

მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის დამოკიდებულება საკლასო ატმოსფეროს ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტია. სკოლაში მიაჩნიათ, რომ შექმნილი სასწავლო გარემო ორიენტირებულია მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე, შექმნილია პოზიტიური გარემო და უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე. მასწავლებლები იყენებენ შინაგანი და გარეგანი მოტივაციის ამაღლების სხვადასხვა ხერხებს, გამჭვირვალე განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასების რუბრიკებს, მოსწავლეთათვის მიცემულ პოზიტიურ უკუკავშირს და ა.შ. თავიანთი სწავლებით და დადებითი მაგალითებით მოსწავლეებს უღვივებენ ცოდნის დაუფლების წყურვილს. სასწავლო პროცესი არის არა მოსაწყენი და რუტინული სამუშაო, არამედ ცოცხალი, ხალისიანი, საინტერესო და ახალი ცოდნის მიღებაზე ორიენტირებული. სკოლაში ყველა მოსწავლეს აქვს კითხვაზე პასუხის გაცემისა და დისკუსიაში მონაწილეობის თანაბარი შესაძლებლობა; მოსწავლეთა ნაშრომების შეფასებისას სკოლის მასწავლებლები იყენებენ ობიექტურ კრიტერიუმებს, დიდ ყურადღებას უთმობენ იმას, თუ რა პრინციპით ახდენენ მოსწავლეთა წახალისებას. სკოლაში დაცულია სისუფთავე და სანიტარული ნორმები. მომავალში გეგმავენ სასკოლო და საკლასო გარემოს გაუმჯობესებაში მოსწავლეებმაც მიიღონ მონაწილეობა. ეს გამოიწვევს სასკოლო პროცესებში მათ ჩართულობას და საკუთრების განცდას, რაც, თავის მხრივ, გარემოსა და მოსწავლეთა განწყობებს გააუმჯობესებს. ხოლო მოსწავლეების განსაზღვრული უფლებამოსილებების მინიჭება, აქტივობებში ჩართვა ხელს შეუწყობს სასკოლო და საკლასო გარემოს მიმართ მათი პასუხისმგებლობის გრძნობის გაღრმავებას. სამომავლოდ ფიქრობენ არაფორმალურ განათლებას მეტი დრო დაუთმონ და განავითარონ - შექმნან კლუბები, აქტიურად გამოეხმაურონ მსოფლიო კალენდარს და მეტ დროს დაუთმობენ არაფორმალურ განათლებას.

ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

- „მოსწავლის ინიციატივების მხარდამჭერი მექანიზმის“ დოკუმენტი
- ინდ ჯგუფის სხდომის ოქმებში (ოქმი N1, N2, ნ3)
- პედსაბჭოს სხდომის ოქმი N5
- „სსსმ მოსწავლისათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციის“ დოკუმენტი.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

■ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.2 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

4. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
5. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
6. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ინდიკატორი 1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;

სკოლას გააზრებული აქვს, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმა კურიკულუმს განიხილავს, როგორც ინსტრუმენტს ხარისხიანი სასწავლო პროცესის წარმართვისთვის. შესაბამისად, იგი ფიქრობს, რომ კურიკულუმი არ არის ისეთი დოკუმენტი, რომელიც ერთხელ უნდა შეიქმნას და გამოიყენებოდეს მუდმივად უცვლელი სახით. კურიკულუმის შექმნა დანერგვა ციკლური პროცესია და ამ პროცესში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მიმდინარე პროცესის მონიტორინგისა და შეფასების კომპონენტს. მონიტორინგი საშუალებას იძლევა მოგროვდეს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ მიმდინარეობს კურიკულუმის დანერგვის პროცესი. გამოვლინდეს მისი დადებითი მხარეები და გამოწვევები. მოიკრიბოს ობიექტური მონაცემები პროცესის შეფასებისთვის. შეიძლება ითქვას, რომ სკოლას სწორად აქვს დანახული ობიექტური სურათის წარმოსაჩენად ეფექტური მეთოდოლოგიის შექმნის საჭიროება, რის შესაბამისად მას შექმნილი აქვს „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის“ დოკუმენტი. დოკუმენტის მიზანი სწავლის ხარისხის მონიტორინგი და სრულყოფა, აკადემიური და პოტენციალის ეფექტურად გამოყენება და მათი განვითარების ხელშეწყობაა.

სკოლამ წარმოადგინა სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, სადაც არსებული ჩანაწერიდან დგინდება, რომ სასკოლო კურიკულუმის განვითარება უწყვეტი პროცესია. ის გულისხმობს შემდეგი ფაზების ყოველწლიურ მონაცვლეობას: ა) კურიკულუმი შემუშავება; ბ) დანერგვა; გ) დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება; დ) გადასინჯვა და რევიზია.სკოლას გაწერილი აქვს დეტალურად თუ როგორ უნდა განხორციელდეს მონიტორინგი და შეფასება და რომელ პრინციპებს უნდა დაეყრდნოს. დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება კურიკულუმის განვითარების პროცესის განუყოფელი ნაწილია იმის აღწერა, თუ: - რამდენად მიმდინარეობს პროცესები დაგეგმილი ჩარჩოს ფარგლებში (მონიტორინგი); - რამდენად მოაქვს დაგეგმილ აქტივობებს სასურველი შედეგი (შეფასება)? სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი უშუალოდ ერწყმის სასწავლო პროცესს და ასოცირდება კათედრის წევრებისა და დირექციის ინტენსიურ თანამშრომლობასთან. კვლევა და შეფასება ტარდება დაგეგმვის ეტაპზე შეთანხმებული ფორმატით (ვადები, ინსტრუმენტები) და წარიმართება სამი მიმართულებით: - მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად; - სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიული განვითარება (პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისთვის და გამოვლენილი პრობელების გადაჭრისთვის); - სკოლის ინსტიტუციური განვითარება (სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი პროცესების გაძლიერებისთვის) სკოლას აქვს მზაობა მონიტორინგი და შეფასება განახორციელოს განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად. ***ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.***

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ინდიკატორი 2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;

სასწავლო პროცესში ხარისხის უზრუნველყოფისთვის მნიშვნელოვანია სკოლას ჰქონდეს შემუშავებული სკოლაში მიმდინარე პროცესების მონიტორინგისა და შეფასების გამართული, სრულყოფილი მექანიზმი, რაც ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას, რაც გულისხმობს მიღწევების ანალიზს, წარსულ გამოცდილებაზე დაფუძნებულ დაგეგმვას, ანალიზი ახალი შესაძლებლობებისათვის და სხვა. ამ მიზნით სკოლას ჰყავს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდამჭერი ჯგუფი. ეს ყოველივე გაწერილი აქვს „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის“ დოკუმენტში, სადაც მკაფიოა მონიტორინგის განხორციელებისას განსაზღვრული ანგარიშვალდებულებები, დაგეგმილი მიზნის მიღწევის მექანიზმები და საშუალებები.

ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

ინდიკატორი 3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

სკოლის მიერ წარმოდგენილია დოკუმენტი “სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია”, სადაც დეტალურადაა გაწერილი ფუნქციები, პასუხისმგებლობები სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის; განსაზღვრულია სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში მონაწილეობის ფორმები - ფუნქციებსა და პასუხისმგებლობებს შორის, რომლებიც სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში გამოიკვეთება ზოგიერთი თანხვედრაშია სასკოლო საზოგადოების წევრების ყოველდღიურ საქმიანობასთან, ზოგიერთი კი - მათ დირექტორის სპეციალური ბრძანებით დაევალებათ. მოხდება აღწერა, თუ: - რამდენად მიმდინარეობს პროცესები დაგეგმილი ჩარჩოს ფარგლებში (მონიტორინგი); - რამდენად მოაქვს დაგეგმილ აქტივობებს სასურველი შედეგი (შეფასება)?. კვლევა და შეფასება ჩატარდება დაგეგმვის ეტაპზე შეთანხმებული ფორმატით. მოხდება მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად; - სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიული განვითარება (პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისთვის და გამოვლენილი პრობელების გადაჭრისთვის); - სკოლის ინსტიტუციური განვითარება (სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი პროცესების გაძლიერებისთვის) აღნიშნული დოკუმენტაციის ანალიზიდან შეგვიძლია დავადგინოთ , რომ სკოლაში კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის“ დოკუმენტი,
- სამიზნე ცნებებზე ორიენტირებული განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1.ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;

2.შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;

3.შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;

4.შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;

წარმოდგენილი მტკიცებულებებისა და გასაუბრების შედეგად მკაფიო გახდა, რომ სკოლას საბაზო საფეხურზე აქვს მონიტორინგისა და შეფასების ერთიანი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს ასევე სასწავლო პროცესის შეფასების ჰოლისტურ ხასიათს. არსებული პრაქტიკის შესაბამისად, სასწავლო პროცესის შეფასებისთვის გამოყენებულია მრავალფეროვანი წყაროები. კერძოდ, მასწავლებლები, კათედრის ხელმძღვანელი, კლასის დამრიგებლები, სემესტრის ბოლოს სასწავლო წლის ბოლოს გაწეული მუშაობის ანგარიში, რომლის საფუძველზეც მზადდება დირექტორისა და დირექტორის მოადგილეების ანგარიშები. ანგარიშზე დაყრდნობით კი ყალიბდება რეკომენდაციები. სამომავლოდ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ფიქრობენ, რომ სასწავლო პროცესის შეფასება დაეყრდნობა როგორც მასწავლებელთა თვითშეფასებას, ასევე მოსწავლეთა და ხარისხის განვითარებისა თუ პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფების უკუკავშირებს.

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტში "სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია " განსაზღვრულია მონიტორინგი და შეფასება სამი მიმართულებით. მოცემული ინსტრუმენტებიდან გამომდინარე, სასწავლო პროცესის შეფასებისას ხდება მოსწავლეთა დიაგნოსტირების გზით პროგრესის გაზომვა. ასევე იგეგმება და მეთოდოლოგიური დოკუმენტით განსაზღვრულია კომპლექსური დავალებების და კურიკულუმების შეფასება.რაც ადასტურებს , რომ სკოლას აქვს მზაობა შეფასება დაეყრდნოსმრავალფეროვან წყაროებს.

მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს ისაუბრეს შეფასების სისტემის გაუმჯობესების გზებზე. ისინი გეგმავენ გამოიყენონ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. ასევე მოსწავლის თვითშეფასების და ურთიერთშეფასების რუბრიკაც. აპირებენ მომავალშიც გამოიყენონ ეს გამოცდილება. მასწავლებლები კათედრაზე განიხილავენ სხვადასხვა კლასებში ჩატარებული კომპლექსური დავალების შედეგებს და იმსჯელებენ თუ როგორ ხდება შუალედური მიზნების განხორციელებით გრძელ ვადიან მიზანზე ორიენტირება. ***ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.***

ინდიკატორი 2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;

სკოლის მიერ წარმოდგენილ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების დოკუმენტში გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები მოსწავლეებზე დაკვირვებას ახორციელებენ სხვადასხვა სიტუაციაში, იქნება ეს სასკოლო თუ არასასკოლო გარემო: სასკოლო ექსკურსიები, შემეცნებითი გასვლები, სხვადასხვა წრეებში ჩართულობა და სხვა, რადგან მოსწავლეთა შესწავლა სხვადასხვა კონტექსტში აუცილებელია სრულყოფილი შეფასებისათვის. სკოლაში ეს ხორციელდება სხვადასხვა ფორმებით: შემაჯამებელი დავალების კომპონენტში სავალდებულოა კომპლექსური, კონტექსტის მქონე დავალებების გამოყენება. როგორც ვხედავთ მასწავლებლებს აქვთ სამომავლო ხედვა რომ პედაგოგიური პარაქტიკის კვლევისას, რომლის მიზანია შეისწავლოს რამდენად ეფექტურია მისი შემუშავებული ინტერვენცია სწავლის შედეგების თვალსაზრისით, გათვალისწინებულია მრავალი კონტექსტი. ეს კონტექსტები არის : კლასის კლიმატი, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება, სწავლის პერიოდი, თემა, საკითხი, მოსწვალეთა ინტერესები და ა.შ. დასკვნის მართებულობას სწორედ ეს მრავალი კონტექსტიდან დანახული სიტუაცია უზრუნველყოფს.

როგორც ინტერვიუდან ჩანს, შეფასებისას გამოიყენება მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვან მეთოდები: მასწავლებლის პირადი ჩანაწერები, განმავითარებელი/განმსაზღვრელი შეფასებები, მოსწავლის განვითარების დინამიკაზე დაკვირვებას, მოსწავლეთა თვითშეფასება, უკუკავშირი, გასასვლელი ბილეთი და სხვა. ***ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.***

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ინდიკატორი 3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;

საბაზო საფეხურის კურიკულუმის შეფასების პროცესში სკოლა იყენებს მონაცემთა შეგროვების შემდეგ მეთოდებს, როგორებიცაა: რაოდენობრივი და თვისობრივი კვლევები, რომელშიც ჩართული არიან ძირითადად მოსწავლეები და მასწავლებლები. საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვება, მოსწავლეთა უკუკავშირი, მშობელთა უკუკავშირი, პედაგოგთა სამუშაო შეხვედრებზე განხორციელებული აქტივობების ანალიზი, მოსწავლეთა ნამუშევრების (შემაჯამებელი წერების, კომპლექსური დავალებების და სხვა.) ანალიზი, რაც ადასტურებს, რომ სკოლა საბაზო საფეხურზე შეფასებისას იყენებს მონაცემთა შეგროვების სხვადასხვა მეთოდს.

სკოლა გეგმავს გამოიყენოს სადიაგნოსტიკო შეფასების პირველი ინსტრუმენტი. ასევე შექმნას და გამოიყენოს განმსაზღვრელ/განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლის მიხედვითაც შეძლებენ დაადგინონ მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებები, რაც უზრუველყოფს მოსწავლეთა ჰოლისტურ შეფასებას. მასწავლებლები ახდენსენ მონაცემების მიზნობრივ შეგროვებას და ამ მონაცემების ანალიზს. მასწავლებლები თანამშრომლობენ მშობლებთან და კლასის დამრიგებლებთან. მათი დახმარებით ადგენენ მოსწავლეების ინტერესების სფეროს, გამოკვეთენ მათ ძლიერ და სუსტ მხარეებს, რისი საშუალებითაც ექმნებათ სრული წარმოდგენა მოსწავლეების შესახებ.

ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.

ინდიკატორი 4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

მნიშვნელოვანია, რომ შეფასებისას საჭიროა სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინება: გარემო, დროის მენეჯმენტი, რესურსები, ფსიქო-ემოციური ფონი, მოსწავლეთა უნარებისა და ინტერესების გამოკვეთა. სკოლა ფიქრობს, წინასწარ შემუშავებულ შეფასების კრიტერიუმებზე დაყრდნობით, სამომავლოდ შექმნას შეფასების ერთიანი ბაზა, სადაც შეგროვდება მონაცემები და დაიგეგმება ინტერვენციები პროგრესის მისაღწევად, რაც საბაზო საფეხურის შედეგებისათვის უმნიშვნელოვანესია. გასათვალისწინებელია, რომ მის სასწავლო სიტუაციაზე, გარემოებაზე გავლენას ახდენს, არა მხოლოდ უშუალო გარემომცველი მიკროსისტემა, არამედ ფაქტორთა მთელი რიგი სხვადასხვა სისტემებიდან, იქნება ეს მეზო, ეგზო, მაკრო, თუ სხვა.

სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში "სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია" ასახულია რომ შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით. მოსწავლეთა შეფასების, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების და კურიკულუმის განვითარების მიზნით. სკოლა გეგმავს მათ მიერ შემუშავებული შეფასების სისტემა მორგებული იყოს მოსწავლეთა ინტერესებზე, შესაძლებლობებზე, საჭიროებებზე,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

რესურსებს წვდომასა და სხვა ფაქტორებზე. შესაბამისად სკოლას აქვს მზაობა შეფასება განახორციელოს სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. ***ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.***

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის“ დოკუმენტი.
- სამიზნე ცნებბეზე ორიენტირებული განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტი
- სამიზნე ცნებბეზე ორიენტირებული განმსაზღვრელი შეფასების ინსტრუმენტი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

■ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1.იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;

2.კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;

სკოლა ჩართულია ზოგადი განათლების რეფორმირების პროცესში და სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისას მუდმივად ღებულობს საგნობრივი ექსპერტებისა და ავტორიზაციის პროცესებში მხარდამჭერი ჯგუფის რეკომენდაციებს. სკოლაში ვიზიტისას გამოიკვეთა, რომ შეფასების შედეგებს გამოიყენებს არსებულ კურიკულუმში ცვლილებების შეტანის მიზნით. იმისთვის, რომ ეს ცვლილებები იყოს შედეგიანი და რეალურად გააუმჯობესოს სასწავლო პროცესის ხარისხი, მნიშვნელოვანი სამუშაოს შესრულება მოუწევს სკოლაში შექმნილ პროფესიული განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფს. აღნიშნული ჯგუფი საგნობრივ კათედრებთან თანამშრომლობით განხორციელებული შეფასების საფუძველზე დაადგენს იმ საჭიროებებს, რომელთა გადაჭრა არსებითად გააუმჯობესებს სასწავლო პროცესს. ამ მიმართულებით ისინი ფიქრობენ, რომ შეიქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი, სადაც გათვალისწინებული იქნება დაგროვებული გამოცდილება, SWOT ანალიზი, ჩატარებული გაკვეთილის, კომპლექსური დავალების, პროექტის რეფლექსიები.

მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის შემუშავებისათვის სარეკომენდაციო პაკეტი იქმნება რამდენიმე კომპონენტზე დაყრდნობით, რაც დეტალურადაა გაწერილი სკოლის მიერ შემოთავაზებული დოკუმენტის ფარგლებში. აღნიშნული კომპონენტებია, კათედრული მუშაობა, მოსწავლეთა ჩართულობის გაანალიზება, მოსწავლეთა შეფასებებზე დაკვირვება და პროგრესის დიაგნოსტირება, ასევე დირექციის ჩართულობა პროცესში. აღნიშნული დოკუმენტაციის ანალიზიდან და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის წევრებთან გასაუბრებიდან გამომდინარე გამოიკვეთა, რომ სკოლას აქვს მზაობა კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო პაკეტის მიხედვით განახორციელოს პროცესი.

სარეკომენდაციო პაკეტს მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმების გადასამუშავებლად და სკოლის ერთწლიანი სასკოლო სასწავლო გეგმის გასაახლებლად. ***ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.***

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ინდიკატორი 2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

სკოლა გეგმავს, რომ მონიტორინგისა და შეფასების შედეგები გაანალიზებული და გამოყენებული იყოს კურიკულუმის რევიზიის პროცესში. ახალი კურიკულუმი შედგეს იმ საჭიროებების გათვალისწინებით, რაც გამოავლინა შეფასებამ. საბოლოოდ კურიკულუმს მიეცემა დოკუმენტის სახე, რომელშიც დეტალურად იქნება გაწერილი, სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების ყველა ეტაპზე პასუხისმგებელი პირები და მათი ფუნქცია – მოვალეობანი. ხედვა, განხორციელდეს მონიტორინგი და შეფასდეს შედეგები, სკოლას „კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების კურიკულუმის რევიზია ეყრდნობა წინარე გამოცდილებას. დოკუმენტის მიხედვით სკოლის ფარგლებში კურიკულუმის გადამუშავება ხორციელდება საგნობრივ კათედრებზე, სადაც პედაგოგთა ჯგუფი ხელმძღვანელობს რამდენიმე ფაქტორის გათვალისწინებით. განიხილება მოსწავლეთა ჩართულობის ხარისხი სასწავლო პროცესში, ასევე მოსწავლეთა შედეგებზე დაკვირვებით დგინდება კურიკულუმით განსაზღვრულმა საგანმანათლებლო აქტივობებმა რამდენად გამოიწვია მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესება. მშობელთა ჩართულობის ხარისხის გაანალიზება და ასევე მათი ინფორმირების მექანიზმების ეფექტურობის შეფასება.აღნიშნული დოკუმენტიდან და გასაუბრებიდან დგინდება, რომ კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია დაეფუძნება წინარე გამოცდილებას და გათვალისწინებული იქნება მონიტორინგისა და შეფასების შედეგები. ***ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.***

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

- [x] შეესაბამება
- [ ] მეტწილად შეესაბამება
- [ ] ნაწილობრივ შეესაბამება
- [ ] არ შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საბაზო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო;
- „მშობელთან ურთიერთობის დებულების“ დოკუმენტი;
- პედსაბჭოს სხდომის ოქმი N 5 ;
- 2023–2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა.
- „კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის“ დოკუმენტში;
- პედსაბჭოს ოქმი N 2;
- „მოსწავლეთა ინტერესების მხარდამჭერი მექანიზმების“ დოკუმენტი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი **<u>საშუალო საფეხური</u>**	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	■ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი - ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1.კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;

2.კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;

3.კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;

4.კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;

1.სკოლას საშუალო საფეხურზე აქვს განსაზღვრული კურიკულუმის შემუსავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, რომელიც მისცემს სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. დოკუმენტში მკაფიოდაა ჩამოყალიბებული კურიკულუმის ჩამოყალიბებისა და შემდგომი განვითარების ეტაპები,ჩაშლილია შემადგენელი ნაწილებისა და კომპონენტების შესახებ ინფორმაცია. საშუალო საფეხურის ყველა საგნის ექსპერტის აზრით, სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაშია აღნიშნული,რომ ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის წინა/მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი პროცესების/წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზება, სადაც გაანალიზებულია მოსწავლეთა ჩართულობა სასწავლო პროცესში, მოსწავლეთა შედეგები, მშობელთა ჩართულობა, შესაბამისი უკუკავშირი და ა.შ და ამის მიხედვით ხდება მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის შედგენა. აქედან გამომდინარე, კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას ტექნოლოგიების მიმართულებით წარმოდგენილი კურიკულუმები ამ ეტაპზე შექმნილია მასწავლებელთა არსებული გამოცდილების საფუძველზე. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

რომ სამომამვლოდ გეგმავენ სასკოლო საზოგადოება, მათ შორის მოსწავლეები და მშობლები მეტად ჩართონ კურიკულუმის შემუშავების პროცესში და გაითვალისწინონ მოსწავლეთა ინტერესები და შესაძლებლობები.

ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება

2.საშუალო საფეხურის კურიკულუმის შემუშავებაში სასკოლო საზოგადოების წევრები აქტიურად იღებდნენ მონაწილეობას.მაგალითად, მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინება მოხდა იმ კუთხით, რომ სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით , ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის წინა/მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი პროცესების/წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზება, სადაც გაანალიზებულია მოსწავლეთა ჩართულობა სასწავლო პროცესში, მოსწავლეთა შედეგები, მშობელთა ჩართულობა და ა.შ და ამის მიხედვით ხდება მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის შედგენა. აქედან გამომდინარე, კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები.სახელმწიფო ენის ექსპერტები აღნიშნავენ, რომ პედაგოგებმა ინტერვიუსას ისაუბრეს კომპლექსური დავალების იდეებში მოსწავლეთა ინტერესებსა და შესაძლებლობებზე, რაც გულისხმობს სწავლა/სწავლებისას დიფერენცირებულ მიდგომებს. ინტერვიუს დროს ნათელი გახდა, რომ მასწავლებლები კურიკულუმის შემუშავების პროცესის უშუალო მონაწილეები არიან და გათვალისწინებულია მათი ინტერესები და ღირებულებები.

ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება

3. საშუალო საფეხურზე კურიკულუმის შემუშავება ხდება საგნობრივ კათედრებზე. კერძოდ, სხვადასხვა კლასის მასწავლებლები სხდებიან ერთად და შეთანხმების საფუძველზე განსაზღვრავენ თემების, საკითხების, რესურსების, დავალებებისა და დასამუშავებელი სამიზნე ცნებების ჩამონათვალს. ამაზე ინტერვიუს დროს ისაუბრეს მასწავლებლებმა. მათ ააქვთ მოსწავლის ინტერესების გათვალისწინებით, კომპლექსური დავალებების განსაზღვრის პრაქტიკა, ასევე წინარე გამოცდილების მსგავსად გეგმავენ სკოლაში რეგულირებული მშობელთან ურთიერთობების დებულების თანახმად მათგან უკუკავშირის საშუალებით მშობელთა ჩართვას ამ პროცესში. მომდევნო სასწავლო წელს გეგმავენ თემატური ერთეულების ფარგლებში ჩაატარონ კათედრების სხდომები, პარალელურმა კლასებმა ერთობლივად წარმოადგინონ რეფლექსია განხორციელებულ კომპლექსურ დავალებაზე, გამოავლინონ პრობლემები და მისი დანერგვის ეფექტური გზები.

ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

4.როგორც სკოლის კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაშია საუბარი კურიკულუმების საბოლოო ვერსიის ხელმისაწვდომობას სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისათვის უზრუნველყოფს სკოლა და შესაბამისი საგნების მასწავლებლები. სასკოლო საზოგადოებასთან უკვე შეთანხმებული და არჩეული არის შეფასების მეორე მოდელი, რაც განმსაზღვრელი შეფასების დაწერას ითვალისწინებს მხოლოდ შემაჯამებელ სამუშაოებში. ყველა მასწავლებელს გათავისებული აქვს ცნებების თეორიაზე გადასვლის სიკეთეები და მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები. სკოლა გეგმავს, მას შემდეგ რაც სრულყოფილი საგნობრივი კურიკულუმი გაზიარდება სასკოლო საზოგადოებაში, როგორც სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილი, გასაჯაროვდება სკოლის ვებ-გვერდსა და საინფორმაციო დაფაზე. ამ ეტაპზე მშობლებისთვის დაგეგმილი კომპლექსური დავალებების გაცნობა კომპლექსური დავალებების ბარათების და სოციალური ქსელის საშუალებით ხდება, სამომავლოდ კურიკულუმთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისა და მათი უკუკავშირის მისაღებად გამოიყენებენ სხვადასხვა საკომუნიკაციო არხს, მაგ. ელექტრონული ფოსტა, სასკოლო საჯარო ღონისძიებები, სოციალური მედია და სხვა. **ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საშუალო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო;
- „მშობელთან ურთიერთობის დებულების“ დოკუმენტი;
- პედსაბჭოს სხდომის ოქმი
- 2023–2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა.
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია.
- მოსწავლეთა ინტერესების მხარდამჭერი მექანიზმები.

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

1.შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;

2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);

3.პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;

4.განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;

5.დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;

საშუალო საფეხურზე შემუშავებული კურიკულუმი უმეტესად წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. მნიშვნელოვანია ის, რომ სკოლა გეგმავს მოსწავლეზე ორიენტირების პროცესისათვის გრძელვადიანი მიზნების მიღწევის გზა შუალედური მიზნებით ისე იყოს დაფარული, რომ სწავლა–სწავლების პროცესში ხორციელდებოდეს კომპლექსური დავალებების შესრულება. სკოლასთან გასაუბრებისას მკაფიო გახდა, რომ იგი გეგმავს ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე უზრუნველყოს თემის ფარგლებში ყველა სამიზნე ცნების დაფარვა საგანში. ასევე სკოლას შემუშავებული აქვს „მოსწავლეთა ინტერესების მხარდამჭერი მექანიზმების“ დოკუმენტი, რომლითაც დასახულია მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზა.

ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად გრძელვადიან მიზნებზე, სამიზნე ცნებებზე ორიენტირება და შუალედური მიზნების გათვალისწინება ეხმარება მათ მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვაში. წარმოდგენელი კურიკულუმის ჩარჩოების და ასევე ინტერვიუსას პედაგოგები გვიქმნიან წარმოდგენას, რომ მათ მიერ შექმნილი სასწავლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

გარემო ორიენტირებულია თითოეული მოსწავლის განვითარებაზე. პროექტული შინაარსის დავალებების საშუალებით, მოსწავლეებს აძლევენ შესაძლებლობას კეთებისა და კვლევის პროცესში თავად მოახდინონ სწავლის კონსტრუირება. განსაზღვრულია ძირითადი საკითხების კასტერები, კონტექტ მაგალითები, კომპლექსური დავალებიის იდეა და მაგალითები შედარებისთვი აგრეთვე სასწავლო რესურსები კომპლექსური დავალებებისათვის. წარმოდგენილია განხორციელებული სასკოლო პროექტები, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლის პიროვნული და სოციო-ემოციური განვითარებას, ზრდის მოტივაციას და ფორმალური და არაფორმალური განათლების კომპონენტში მოსწავლეთა აქტიური და თანასწორი ჩართულობის საშუალებას იძლევა. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზიდან და ინტერვიუს შედეგად ჩანს, რომ სკოლას აქვს საკმარისი მზაობა, გამოცდილება და ხედვა, წარმატებით დაგეგმოს და განავითაროს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესი. ***ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.***

ინდიკატორი 2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);

საშუალო საფეხურზე საგნობრივი კურიკულუმები კათედრის მასწავლებლებმა წარმოადგინეს სამიზნე ცნებებზე ფოკუსირებით, რომლებსაც უფრო აზუსტებს და მკაფიოს ხდის სამიზნე ცნებებთან დაკავშირებული ქვეცნებები. ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების მიხედვით დაგეგმილ საგნობრივ კურიკულუმებში სასწავლო პროცესი აგებულია სავალდებულო თემების მიხედვით, რომლის ფარგლებშიც მუშავდება ეროვნული სასწავლო გეგმის ყველა შედეგი და სამიზნე ცნება. საგნობრივ კურიკულუმებში ასევე გამოკვეთილია საკითხთა ის კლასტერები და შესაბამისი კონტექსტ-მაგალითები, რომელთა გამოყენებითაც მასწავლებლებმა მოსწავლეებისათვის დაგეგმეს იმ საკითხების კომპლექსურად შესწავლა, რომელიც საგაკვეთილო პროცესში ნაბიჯ-ნაბიჯ გააქტიურებს ისეთ ფუნქციურ-კომპონენტურ უნარებს როგორიცაა: კრიტიკული აზროვნება, თანამშრომლობა, კომუნიკაცია, შემოქმედებითობა, ნებელობა, მოქალაქეობა. საგნობრივი კურიკულუმები (ისტორია, გეოგრაფია, მოქალაქეობა) წარმოდგენილია ისეთი კომპლექსური ბუნების დავალებები, სადაც მოსწავლე საკუთარ გამოცდილებასთან ინტეგრირებულად და მიზნობრივად გამოიყენებს ახალ ცოდნას, უნარებს და ღირებულებებს. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები მათ მიერ შექმნილი საგნობრივი კურკიკულუმების ჩარჩოებზე დაყრდნობით გეგმავენ ისეთი მეტაკოგნიტური სტრატეგიების სასწავლო პროცესში გამოყენებას როგორიცაა: თვითშეფასება, შედეგების პროგნოზირება, მსჯელობა, უკუკავშირი, გადამოწმება, ასევე მასწავლებლის და მოსწავლის რეფლექსიები და განმავითარებელი შეფასება. ***ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.***

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ინდიკატორი 3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;

საშუალო საფეხურზე სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია დიფერენცირებულ/ინკლუზიური მიდგომები, რაც სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებშიც ჩანს. მართალია, საგნობრივი კურიკულუმები (ისტორია, გეოგრაფია, მოქალაქეობა) წარმოდგენილია სავალდებულო თემების, სამიზნე ცნებების, სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენების, საკითხთა კლასტერების, კონტექსტ-მაგალითებისა და კომპლექსური დავალების იდეების დონეზე, თუმცა მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, პედაგოგების მზაობა დიფერენცირებულ და ინკლუზიურ მიდგომებთან დაკავშირებით, რაც გულისხმობს, როგორც თანამედროვე პარადიგმების რეალიზებას სასკოლო სივრცეში, ასევე პოზიტიური სასკოლო კულტურის ჩამოყალიბებას. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს ისაუბრეს, რომ სწავლის პროცესის დროს ისინი ყურადღებას ამახვილებენ მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და შესაძლებლობებზე, მათ ინტერესებზე. მომავალ სასწავლო წელს მოსწავლეებს დაგეგმილი საგნობრივი კურიკულუმების შესაბამის მათზე მორგებულ სასწავლო რესურსებსა და სასწავლო მასალას შესთავაზებენ, რაც მოსწავლის მაქსიმალურ ჩართულობას და ცოდნის კონსტრუირებას შეუწყობს ხელს. პედაგოგებს აქვთ მზაობა მოსწავლეებს მისცენ მათ საჭიროებებზე მორგებული კომპლექსური ტიპის დავალებები. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ კომპლექსურ დავალებებში ჩაშენებული აქვთ ინკლუზიური ხედვა, ინდივიდუალური მიდგომები. ინტერვიუდან მიღებულ ინფორმაციას განამტკიცებს სკოლის ისგ ჯგუფის ოქმები, პედსაბჭოს ოქმი N5 („ისგ ჯგუფის შედეგების შეჯამება“). სკოლას ასევე შემუშავებული აქვს „სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მოსწავლისათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციის“ დოკუმენტი, რომელიც არეგულირებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მოსწავლეებისათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდებას.

ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

ინდიკატორი 4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;

სკოლას სასკოლო–სასწავლო გეგმაში განსაზღვრული აქვს მოსწავლის შეფასების მიზნები და ამოცანები, რაც საშუალო საფეხურზე განმავითარებელ შეფასებასთან ერთად განმსაზღვრელ შეფასებას გულისხმობს. სკოლა გეგმავს 2023–2024 სასწავლო წელს განმსაზღვრელ შეფასებად გამოიყენოს **მეორე მოდელი,** რაც პედსაბჭოს სხდომის ოქმში აქვს გაწერილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

განმსაზღვრელი შეფასების საშუალებით სკოლა ადგენს მოსწავლის აკადემიური მიღწევის დონეს საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებაში. აფასებს ცოდნათა ურთიერთდაკავშირების, ცოდნის სამივე კატეგორიის გამოყენებისა და ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარს; ხოლო განმავითარებელი შეფასებით ადგენს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას და მიმართულია სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე. მისი მიზანია ხელი შეუწყოს მოსწავლის წინსვლასა და განვითარებას. განმავითარებელი შეფასებით ფასდება ცოდნის კონსტრუირებისა და ცოდნათა ურთიერთდაკავშირების პროცესი, მოსწავლის მიერ თავისივე ძლიერი და სუსტი მხარეების დადგენის უნარი, ცოდნის სამივე კატეგორიის ათვისების პროცესი, ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარი, ასევე დგინდება წინარე ცოდნა/წარმოდგენები. მაგალითისათვის მოსწავლის შეფასების მექანიზმად სკოლას წარმოდგენილი აქვს „სამიზნე ცნებებზე ორიენტირებულ განმავითარებელი შეფასების“რუბრიკა და „სამიზნე ცნებებზე ორიენტირებული განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა“, რომლებიც წარმოადგენენ სწავლა-სწავლების პროცესში მეთოდიკური ორიენტირების რეალიზების საშუალებას. კურიკულუმის ჩარჩოში ჩაშენებული კომპლექსური დავალებების იდეები, ბუნებრივად გულისხმობს და შეიცავს შეფასების კრიტერიუმებს, რაც მომდინარეობს სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენებიდან და ფარავს მას. აღნიშნული შეფასების კრიტერიუმები სკოლას უზრუნველყოფს კურიკულუმის განხორციელებისას ეფექტურად მიმართოს განმავითარებელ შეფასებას. თუმცა სკოლას ასევე აქვს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები, როგორებიცაა: პრეზენტაცია, ექსპერიმენტი, ესე, დისკუსია, დებატი, პროდუქტის შექმნა და ა.შ. ასეთი აქტივობების შემდეგ განხორციელებული უკუკავშირი, მოსწავლეებს აძლევს იმის შესაძლებლობას, უკეთ დაინახოს მიზნის მისაღწევად გასავლელი გზა. ***ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.***

ინდიკატორი 5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

საშუალო საფეხურზე კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში გამოკვეთილია პრინციპები, რომელსაც ეფუძნება სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესი, კერძოდ : სასკოლო კურიკულუმის შემუშავება ხდება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად; კურიკულუმის განახლება ხდება ყოველწლიურად მთელი წლის განმავლობაში შეგროვილი მონაცემების საფუძველზე; სასკოლო კურიკულუმის რევიზიის პროცესში გადაწყვეტილებები მიიღება მონიტორინგისა და შეფასების ეტაპზე გამოკვეთილი პრობლემების შესწავლის საფუძველზე; კურიკულუმი ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს; სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესი მჭიდრო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

კავშირშია სკოლაში მიმდინარე დამხმარე და მმართველობით პროცესებთან. კურიკულუმის შემუშავებაზე მუშაობა იწყება კონცეპტუალურ ჩარჩოს შესახებ მსჯელობით. განხილვის საგანია გამოწვევები, რომლებიც იკვეთება მოსწავლეზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პარადიგმის რეალიზების/ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების დანერგვის პროცესში (სასწავლო პროცესის ორიენტირება გრძელვადიან მიზნებზე, სასწავლო პროცესის დაფუძნება კონსტრუქტივისტულ საგანმანათლებლო პრინციპებზე, უპირობოდ პოზიტიური სასწავლო გარემო შექმნა): პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ ზოგიერთ კურუკულუმში შესული კომპლექსური დავალების იდეა წინა სასწავლო წლის გამოცდილებაზე დაყრდნობით დაგეგმეს და აპირებენ წინა წლის საქმიანობის ანალიზის გამოცდილების გათვალისწინებით დაგეგმოს საგნის კურიკულუმი. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზიდან და კათედრის წევრებთან ინტერვიუს შედეგად ჩანს, რომ მასწავლებლებს აქვთ სამომავლო ხედვა და მზაობა დაგეგმვის პროცესში გაითვალისწინონ წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საშუალო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო
- „მოსწავლეთა ინტერესების მხარდამჭერი მექანიზმენის“ დოკუმენტი,
- ინდ ჯგუფის სხდომის ოქმებში (ოქმი N1, N2, N3)
- პედსაბჭოს სხდომის ოქმი N5
- „სსსმ მოსწავლისათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციის“ დოკუმენტი

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

■ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 კურიკულუმის განხორციელება

2..2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1.სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;

2.ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;

3.სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;

4.სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);

5.სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;

მტკიცებულებათა ანალიზის საფუძველზე ცხადი ხდება, რომ სკოლაში საშუალო საფეხურზე სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიური შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას; რაც მკაფიოა სკოლაში შემუშავებული კურიკულუმებიდან. მასში ჩაშენებული კომპლექსური დავალებების იდეები მოსწავლის შემოქმედებით პროცესში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ჩართულობის დემონსტრირებაა და შემდგომშიც ამასვე ისახავს მიზნად. ასევე წარმოდგენილი ინდივიდუალური გეგმები, პედსაბჭოს ოქმები, სამოქმედო გეგმის შინაარსობრივი საკითხები თუ არაფორმალური განათლების მიმართულებით განხორციელებული პროექტები. სასწავლო პროცესში შესაძლებლობა არის განხორციელდეს ისეთი აქტივობები , სადაც მოსწავლე არის ცენტრალური სუბიექტი, ანუ იგი აიდენტიფიცირებს, განიხილავს და წყვეტს პრობლემებს; ეცნობა ახალ ინფორმაციას, ამუშავებს მას და განიხილავს სხვადასხვა კონტექსტში და სხვადასხვა თვალთახედვით; გადმოსცემს და ხსნის იდეებს თავისი სიტყვებით იქნება ეს წერილობით თუ დისკუსიების სახით. მოსწავლე ქმნის კომპლექსური დავალების პროდუქტს. მოსწავლის მოტივაციისა და სწავლის პროცესის ეფექტიანობისათვის თანამშრომლობით სწავლის ფორმა ჯგუფური და წყვილებში მუშაობა აქვს შერჩეული, სადაც მოსწავლეს შესაძლებლობა აქვს მუდმივად ინტერქციაში იყოს თანატოლთან, გასცეს და მიიღოს დაუყოვნებლივი უკუკავშირი, გაიზიაროს პასუხისმგებლობა საბოლოო შედეგზე. სასკოლო პროექტი კი ქმნის შესაძლებლობას თანამშრომლობითი გზით, ყველა ასაკის და საჭიროების მოსწავლე აქტიურად და თანაბრად იყოს ჩართული სხვადასხვა აქტივობებში, შერჩეული აქტივობები კი ქმნის მოსწავლის მაღალი ჩართულობის წინაპირობას, იძლევა მოსწავლის შინაგანი მოტივაციის აღძვრის შესაძლებლობას. ყოველივე ზემოთთქმულიდან გამომდინარემ იქმნება პოზიტიური სასკოლო კულტურა და საკლასო კლიმატი, რაც ხელისშემწყობია მოსწავლის შემოქმედებით პროცესებში ჩართულობისათვის. ასევე მნიშვნელოვანი და საინტერესოა საბუნებისმეტყველო კათედრის გამოცდილება, კერძოდ, ერთობლივად შემუშავებული სამუშაო გეგმის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობები, რომლებიც ექსკურსიების, პროექტებისა და სხვა ღონისძიებებით ასევე იძლევა ღიაობის, მაღალი მიმღებლობის, პრობლემაზე ორიენტირებულობისა და მოსწავლის ინიციატივების წახალისების შესაძლებლობას. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზიდან და ინტერვიუს შედეგად ჩანს, რომ სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილება და მზაობა მოცემულ ინდიკატორთან შესაბამისობის. ***ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.***

ინდიკატორი 2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;

საშუალო საფეხურზე სკოლას ისე აქვს კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილი ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული თემა, თემის საკვანძო შეკითხვები, მოსწავლისთვის შეთავაზებული დავალებების კონტექსტები, საკითხები თუ რესურსები, რომ მკაფიოა ახალი ცოდნის წინარე ცოდნაზე დაფუძნებით კონსტრუირების გახორციელების შესაძლებლობა. სკოლის პრაქტიკისა თუ დაგეგმილი კომპლექსური ბუნების დავალებებით მუშაობის ეტაპებზე მკაფიოა კომპლექსური დავალებების მნიშვნელოვანი პრინციპი, რომ სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტებია შემოტანილი. ამით მოსწავლეს კომპლექსური დავალების შესრულებისას უწევს გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი, ახსნას ნაცნობი მოვლენა მეცნიერების თვალსაზრისით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

მათი ხედვით, ფორმალური თუ არაფორმალური განათლებისას ყოველი ახალი საკითხი ემყარება არსებულ ცოდნას, ამით განამტკიცებს ძველს და უფრო იოლად აღსაქმელს გახდის ახალს.

საშუალო საფეხურზე სკოლის მიერ წარმოდგენილია კურიკულუმის ჩარჩოები, სადაც შერჩეული კომპლექსური დავალებების განხორციელების პროცესი იძლევა წინარე ცოდნის გააქტიურების საშუალებას. ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შინაარსის სხვადასხვაგვარად ინტერპრეტირება; დანერგვის ინსტრუმენტების დაკავშირება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან და წინარე ცოდნის გააქტიურების საშუალებას იძლევა. წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოებში სკოლის მიერ წარმოდგენილი სამიზნე ცნება, რომელიც უნდა დამუშავდეს შერჩეული საკითხის ფარგლებში. კათედრის წევრებთან ინტერვიუს შედეგად ჩანს, რომ სკოლას აქვს გამოცდილება და მზაობა ახალი ცოდნის კონსტრუირება მოახდინონ წინარე ცოდნაზე დაფუძნებით; ***ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.***

ინდიკატორი 3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;

წარმოდგენილი სწავლა–სწავლების მიზნები, რაც კურიკულუმის ჩარჩოში ამოიკითხება, ინტეგრირებულია მეტაკოგნიციის განვითარების სტრატეგიებთან. ეროვნულ სასწავლო გეგმაში გამოკვეთილი 6 კომპონენტური უნარი და მათთან დაკავშირებული კოგნიტური ოპერაციები, არსებით როლს ასრულებენ ინფორმაციის გადამუშავებისა და ცოდნად გარდაქმნის პროცესში, რაც ამ უნარებზე გამჭოლად მუშაობისას საგნის ათვისების განუყოფელი ნაწილია. კომპლექსური დავალება ასევე მოიცავს საკვანძო შეკითხვებს, რომლებიც ლაიტმოტივად გასდევს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესს. საშუალო საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოები და ინტერვიუ ცხადყოფს, რომ მათ გააზრებული აქვთ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები, რომელიც ხაზს უსვამს მოსწავლეებში მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას. მოსწავლეები ეჩვევიან სწავლის, კვლევისა და ინფორმაციის მოძიების , წერა, კითხვა, ლაპარაკის, მოსმენის სტრატეგიებს. მოსწავლეები მსჯელობენ კომპლექსური დავალებების მათ მიერ განხორციელების გზების შესახებ.

საშუალო საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილია საკითხები, კონტექსტ-მაგალითები, კომპლექსური დავალების იდეები, თუმცა მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა მათი მზაობა იმასთან დაკავშირებით, რომ საგნობრივ კურიკულუმებში ასახული კომპლექსური დავალებების შესაბამის თემატურ მატრიცებს ნაბიჯ-ნაბიჯ ისე დაგეგმავენ, რომ სრულყოფილად იქნება წარმოდგენილი კომპლექსური დავალების პირობა შერჩეული სამიზნე ცნებებითან კორელაციაში მყოფი ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით, ეფექტური საკვანძო კითხვით, მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებებიდან, შესაძლებლობებიდან, ინტერესებიდან და მზაობიდან გამომდინარე შესაქმნელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

პროდუქტით, ხოლო კომპლექსური დავალების განხორციელების პროცესში აქცენტი გაკეთდება სწავლის სწავლაზე, რათა მოსწავლეებმა შეძლონ დავალების/შესასრულებელი საქმიანობის ღირებულების განსაზღვრა, დავალების/აქტივობის დაგეგმვა, სწავლის პროცესის მონიტორინგი, სწავლის, როგორც ქცევის სოციო-ემოციური მართვა; ეფექტიანი სასწავლო პროცესი მეტაკოგნიტური სტრატეგიების გააზრებასა და გაცნობიერებაზე იქნება ორიენტირებული.
ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

ინდიკატორი 4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);

სკოლა ეროვნულ სასწვლო გეგმაზე დაფუძნებით სასკოლო სასწავლო გეგმაში საუბრობს სასწავლო პროცესის ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობის აუცილებლობაზე. ცხადია, სასწავლო პროცესში მოსწავლე ამუშავებს კონკრეტულ ფაქტობრივ მასალას, ეცნობა ინფორმაციებს არა მხოლოდ სახელმძღვანელოდან, არამედ დამატებით სხვა წყაროებიდანაც. (დეკლარატიული ცოდნა), სვამს და პასუხობს შეკითხვებს მასალასთან დაკავშირებით. აღნიშნულ ცოდნას სწავლის სტრატეგიების გამოყენებით გარდაქმნის პროცედურულ ცოდნად და ცოდნის მოქმედებაში გადატანით, მის ინსტრუმენტალიზაციისა და გამოყენებით კონკრეტულ პირობასა და მოცემულობაში პირობისეულ ცოდნად აყალიბებს. აღნიშნული კი რეალიზდება როგორც კომპლექსური ბუნების დავალებებით, ისე პროექტული სწავლების რეალიზებისას ამ საფეხურზე.

საშუალო საფეხურზე სკოლის მიერ წარმოდგენილ მასალაში : სამომავლოდ დაგეგმილ საგნობრივ კურიკულუმის ჩარჩოებში, ჩანს, რომ პროცესი ისეა დაგეგმილი მასწავლებლის მიერ, რომ მოსწავლემ განსაზღვროს დავალების/შესასრულებელი საქმიანობის ღირებულება, დაგეგმვა- როგორ შეასრულოს დავალება, როგორ მოახდინოს სწავლის პროცესის მონიტორინგი და სწავლის პროცესის დროს თავისი ქცევის სოციო-ემოციური მართვა . წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზიდან და კათედრის წევრებთან ფოკუს-ჯგუფის ფარგლებში განხორციელებული ინტერვიუს შედეგად ჩანს, რომ მათ აქვთ გამოცდილება და მზაობა სასწავლო პროცესში აქცენტი გაკეთდეს სწავლის სწავლაზე; *ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.*

ინდიკატორი 5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

საშუალო საფეხურზე სწავლებისას სკოლა აცნობიერებს, რომ მის მიერ წარმოდგენილი ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით საგნის სწავლების თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ბუნების დავალებები, სწორედ ის საკვანძო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ასპექტები თუ სტრუქტურულ ერთეულებია, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. იგი ყოველი განსაზღვრული თემით არის რა მოსწავლის გამოცდილების კონტექსტი, უზრუნველყოფს სასწავლი მასალის კავშირს მოსწავლის ცოდნასთან, მის ინტერესებსა და წარმოდგენებთან. მიემართება მოსწავლეთა ფუნქციური უნარების გამომუშავებას და ორიენტირებულია მოსწავლეთა ცოდნის ტრანსფერზე რეალურ ცხოვრებაში და ქმნის მოსწავლის პიროვნული მოქმედების არეალს.
საშუალო საფეხურზე საგნობრივი საკითხების სიღრმისეული გააზრებისა და სასწავლო მასალის ყოველდღიურ ცხოვრებასთან დაკავშირებისთვის სკოლის მიერ მოწოდებულ მასალაში კერძოდ სამომავლოდ დაგეგმილ კურიკულუმის ჩარჩოებში დაფიქსირებულია კომპლექსური დავალებების იდეა, რომლებიც უნდა განახორციელდეს შესაბამისად კომპლექსური დავალების შესრულების დროს აქცენტი გაკეთდება ცოდნის სამ კატეგორიაზე. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზიდან, განხორციელებული კოპლექსური დავალებებიდან და მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად მიღებული ინფორმაციიდან ჩანს, რომ სკოლას აქვს გამოცდილება და მზაობა, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებული იყოს ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული); ***ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.***

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საშუალო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო
- „მოსწავლეთა ინტერესების მხარდამჭერი მექანიზმენის“ დოკუმენტი,
- ინდ ჯგუფის სხდომის ოქმებში (ოქმი N1, N2, N3)

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1.სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;

2.საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

3.შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;

4.შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;

5.სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;

6.სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;

სკოლის მიერ შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმები ეყრდნობა მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივ სტანდარტებს. კურიკულუმის ანალიზის მიხედვით, ერთი მხრივ, იკითხება, რომ სასწავლო პროცესში დამუშავდება საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული სავალდებულო თემები, თემაში გაწერილი სამიზნე ცნებები, მკვიდრი წარმოდგენები, საკითხები, საკვანძო შეკითხვები. მეორე მხრივ, იგი ამოიცნობა რეალიზებულ კომპლექსური დავალებების შეფასების კრიტერიუმებსა და კომპლექსური დავალებების რეფლექსიებში, რაც მკაფიოა გასიტყვებისას და მასში კარგად ჩანს მოსწავლეების კრიტიკული აზროვნება, მრავალფეროვნება, კრეატიულობა.

მოწოდებულ კურიკულუმის ნიმუშებში მკაფიოდ იკითხება, რომ სკოლა ზრუნავს დაგეგმოს სასწავლო პროცესი ისე, რომ გათვალისწინებული იყოს გრძელვადიანი მიზნის მისაღწევი ღონისძიებები. .საშუალო საფეხურზე სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოებში იკვეთება , რომ ახალი სასწავლო წლისთვის დაიგეგმება და განხორციელდება კომპლექსური დავალებები. მისი განხორცილების დროს მოხდება ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა , რომ პროცესი იწყება წინარე ცოდნის გააქტიურებით, მასწავლებლის მიერ შეთავაზებული შინაარსი, საკითხი და პრობლემა მოსწავლისთვის უცხო არ საშუალებას აძლევს, რომ იფიქროს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

პრობლემაზე, გამოწვევაზე, გაუმკლავდეს იმ აქტივობებს რომლებსაც მასწავლებელი სთავაზობს, ამისათვის თავს უყრის ყველა იმ უნარს და ცოდნას, რაც მას ამ მიმართულებით რელევანტურად მიაჩნია, ის ორიენტირებულია პრობლემის გადაჭრაზე, ნაცვლად ახალი მასალის დასწავლისა . ითვალისწინებს მათ გამოცდილებას, არგუმენტებს, ცდილობს უპასუხოს კონტრარგუმენტით, მოძებნოს გამოსავალი. ყველა ეს აქტივობა კი მისგან მოითხოვს ყველა გამოცდილების მობილიზებასა და ცოდნების ინსტრუმენტად გარდაქმნას. ამავდროულად შესაძლებელია ცოდნის ინტეგრირებულად გამოყენებაც არაფორმალურ პროექტულ და პრობლემაზე დაფუძნებულ აქტივობების ფარგლებში. ***ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.***

ინდიკატორი 2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;

მოსწავლის შემეცნების (აზროვნების, კოგნიციის) განვითარებასთან ერთად ხდება სოციალური უნარ-ჩვევების ეტაპობრივი განვითარებაც. ფსიქო-სოციალური სფერო განსაზღვრავს ბავშვის პიროვნული თვისებების ჩამოყალიბებასა და ადამიანებთან ურთიერთობას. სოციალური განვითარება განაპირობებს ბავშვის უნარს, დაამყაროს ურთიერთობა გარემოსთან და გარშემომყოფებთან. ამისათვის სკოლას საშუალო საფეხურზე კურიკულუმებში აქვს ისეთი აქტივობები/მიდგომები, როგორებიცაა: როლური თამაშები, სიმულაციები, საკომუნიკაციო ამოცანის შეცვლა, ეხმარებიან მოსწავლეებს საკუთარი თავის შეცნობაში ასაკის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდებით, რომლითაც შექებითა და წახალისებით პოზიტიურ განწყობას უქმნიან მოსწავლეებს სწავლისა და შემეცნების პროცესში; მასწავლებლები მოსწავლეებს აჩვენებენ დადებით მაგალითებს კონფლიქტური სიტუაციების მოგვარებისას. არ არიან აგრესიულები და უსამართლონი, განსაკუთრებით, მოსწავლის თანდასწრებით. აქცევენ ყურადღებას მოსწავლის განსხვავებული აზრებისა და მოვლენების მიმართ დამოკიდებულებას, ახალისებენ განსხვავების მიმართ შემწყნარებლობას.

საგნობრივ კურიკულუმებში თითოეული თემის ფარგლებში წარმოდგენილი ძირითადი შესასწავლი საკითხები და კომპლექსური დავალებები მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარების ხელშეწყობის საშუალებას იძლევა. მართალია საგნობრივ კურიკულუმებში ასახულია კომპლექსური დავალების რამდენიმე იდეა, მაგრამ მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ კომპლექსური დავალების განხორციელების დროს მოსწავლეები დიდი ინტერესით ერთვებიან საგაკვეთილო პროცესში, მათთვის ყველაზე სახალისო პროდუქტის შექმნაა, ასევე ხალისით ერთვებიან კომპლექსური დავალების განხორციელების დროს საინტერესო აქტივობებში, მსჯელობენ საკუთარ ძლიერ და სუსტ მხარეებზე, აცნობიერებენ სხვების პოზიციას და შესწავლილი საკითხიდან გამომდინარე გამოხატავენ ემპათიას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

სხვების მიმართ, თანაკლასელებთან ამყარებენ პოზიტიურ ურთიერთობებს, უმკლავდებიან სტრესულ და კონფლიქტურ სიტუაციებს, პერსონალურ თუ სოციალურ ქცევებს შორის აკეთებენ ეთიკურ და კონსტრუქციულ არჩევანს. ვფიქრობ ამგვარი ქმედებები ემსახურება მოსწავლეთა პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას, რაც ვლინდება კომპლექსური დავალების განხორციელების დროს.

ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

ინდიკატორი 3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;

შეფასების სისტემა ორიენტირებული უნდა იყოს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე, რაც ეყრდნობა მესამე თაობის ეროვნულ სასწვლო გეგმას.სწავლებისას სკოლას გააზრებული და განსაზღვრული აქვს, რომ ფასდება არა მარტო სწავლის შედეგი, არამედ, როგორ მიმდინარეობს სწავლა/სწავლების პროცესი. ამისათვის წარმოდგენილია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებები. სკოლაში არსებული შეფასების სისტემა მიმართულია რა მოსწავლის ჰოლისტურ განვითარებაზე – მაღალი სააზროვნო უნარების ჩამოყალიბებაზე (კრიტიკული აზროვნება; შემოქმედებითობა; კომუნიკაცია; თანამშრომლობა; მოქალაქეობა; ხასიათი/ნებელობა), ასევე ცოდნის აგებასა და გამოყენებაზე ორიენტირებული – რითაც მოსწავლეები მისი საშუალებით მეტად აქტიურნი ხდებიან. მათ ასევე განსაზღვრული აქვთ შეიმუშაონ კომპლექსური დავალებისათვის სამიზნე ცნებებზე დაფუძნებული შეფასება, რომელიც მასწავლებელს მისცემს შესაძლებლობას დაინახოს მოსწავლე პიროვნული, ფსიქო-სოციალური და აკადემიური უნარების ჭრილში.

- დაკვირვების კითხვარების, თვითშეფასების ფორმები, საშუალებით დგინდება, რომ შეფასების სისტემა ორიენტირდება არა მხოლოდ ფაქტობრივ ცოდნაზე, არამედ ითვალისწინებს მოსწავლის პიროვნული განვითარებისთვის აქტუალურ ყველა გარემოებას , როგორია მოსწავლის ჩართულობა სასწავლო პროცესში , **რა ფაქტორები** უწყობს/უშლის სასწავლო პროცესში მოსწავლის აქტიურ მონაწილეობას **ხელს** , **და ა.შ.** შეფასება ინტეგრირებულია სასწავლო პროცესში და განუყოფელი ნაწილია მოსწავლის ყოველდღიური პროცესის; რაც იკვეთება ასევე წარმოდგენილ კომპლექსური დავალების გეგმაში, სადაც პირობაში ჩაშენებულია შეფასების კრიტერიუმები, რომლის საშუალებითაც მასწავლებელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

აფასებს თითოეული მოსწავლის მიერ შექმნილ კომპლექსური დავალების პროდუქტს, სამიზნე ცნების თითოეული მკვიდრი წარმოდგენის შესაბამისად. ასევე მოსწავლის თვითშეფასების საშუალებას იძლევა კომპლექსური დავალების ბარათის ბოლოს .მოსწავლის ჰოლისტური შეფასების მექანიზმად სკოლას წარმოდგენილი აქვს განმავითარებელი შეფასების სახით სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომია, სადაც იკვეთება სწავლა-სწავლების პროცესში მეთოდიკური ორიენტირების რეალიზებას საშუალება. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზიდან და გასაუბრებიდან გამოიკვეთა რომ, ჩანს, რომ სკოლას აქვს გამოცდილება და მზაობა შეფასების სისტემა ორიენტირებული იყოს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;

ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

ინდიკატორი 4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;

სკოლა 2023–2024 სასკოლო სასწავლო გეგმაში საუბრობს შეფასების სისტემის ვალიდურობის, გამჭვირვალეობის, სანდოობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპების ხელშეწყობაზე, რის დადასტურებად იგი მოიაზრებს საგანში შეფასების სისტემის შემუშავებულ მეთოდოლოგიას. ხაზგასმულია მასწავლებლების მიერ შემუშავებული განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რაც უნდა შეათანხმონ და დაამტკიცონ პედაგოგიურ საბჭოზე.

მასწავლებლების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისა და ინტერვიურების შედეგად გამოიკვეთა, რომ საშუალო საფეხურზე შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად მოსწავლეებს აფასებენ განმსაზღვრელი და განმავითარებელ შეფასებით. წარმოდგენილ შეფასების რუბრიკებში განსაზღვრულია შეფასების მიზანი, ე.ი. შეფასების ინსტრუმენტის შერჩევა ხორციელდება გარკვეულ მიზანზე ორინეტირებით. კრიტერიუმები ხაზს უსვამს მოსწავლეთა ძალისხმევას, პასუხისმგებლობას, ჩართულობას, საკუთარი ნააზრევის გადმოცემის შესაძლებლობას და წარმოადგენდეს რეფლექსიას მათი სწავლის პროცესზე. აღნიშნულ რუბრიკებს შეიმუშავებენ მასწავლებლები, განიხილავენ და თანხმდებიან კათედრის სხდომაზე, ხოლო პედაგოგიური საბჭო მათ ამტკიცებს. სკოლას აქვს შეფასების კრიტერიუმების შემუშავების პროცესში მოსწავლეთა ჩართულობის გამოცდილება. ასევე, სამართლიანობასა და გამჭვირვალობას ხელს უწყობს სასწავლო პროცესში გამოყენებული თვითშეფასება და ურთიერთშეფასება. მოსწავლეებისა და მშობლებისთვის წინასწარ არის ცნობილი შეფასების სისტემა. მართალია მასწავლებლებს შეფასების რუბრიკები წინა გამოცდილებაზე დაყრდნობით აქვთ შექმნილი, მაგრამ გეგმავენ მომდევნო წლისთვის განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებზე იმუშაონ სავალდებულო თემის ფარგლებში შედეგების მიღწევების ინდიკატორებზე დაყრდნობით, ხოლო განმავითარებელი შეფასებები მოსწავლეებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

მისცენ საგნობრივი სტანდარტების შესაბამისად ცნების მკვიდრი წარმოდგენების მიხედვით. ***ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.***

ინდიკატორი 5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;

საშუალო საფეხურზე შეფასების სისტემის მექანიზმების განსაზღვრისას ეყრდნობა ეროვნული სასწავლო გეგმით შემოთავაზებულ შეფასების სისტემას. სკოლაში მოქმედი შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს - რეგულარულად (9 თვეში ერთხელ) ეცნობება მშობელს მოსწავლის შეფასების შესახებ, სასწავლო წლის დასაწყისში მშობლები ეცნობიან სასკოლო სასწავლო გეგმას, სკოლაში მოქმედ შეფასების სისტემას, ნიშნის ამაღლების წესს, სემესტრული გამოცდის დანიშვნის გზით და ა.შ. კათედრების სხდომებზე ანალიზდება შემაჯამებელი დავალებები. შეფასების კუთხით, მშობლებთან დამყარებულია აქტიური უკუკავშირი თანამედროვე საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენებით, რისთვისაც სკოლას შემუშავებული აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი გაწერილი „შეფასების სისტემის ვერიფიკაციის“ დოკუმენტში,

რომელიც არის სკოლაში გამოყენებული შეფასების სისტემის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მექანიზმი. ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა რომ შეფასების რუბრიკების შემუშავება ხდება კათედრაზე ერთობლივად, უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას. სასწავლო წლის დასაწყისში მშობლები გაეცნობიან სასკოლო სასწავლო გეგმას, სკოლაში მოქმედ შეფასების სისტემას. ***ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.***

ინდიკატორი 6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

სკოლა 2023–2024 სასკოლო სასწავლო გეგმაში საუბრობს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების სათანადო აღრიცხვისა და შენახვის კანონმდებლობით დადგენილი წესების შესახებ. კერძოდ, სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 10 წლის ვადით მატერიალური სახით, ელექტრონულად - ხუთი წლის ვადით. სკოლა იცავს დოკუმენტაციის წარმოებასთან და სკოლაში მათ შენახვასთან დაკავშირებულ რეგულაციებს. მოსწავლეთა პირადი საქმეებისა და მათი შეფასებების წესი განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობით. სკოლას აქვს მზაობა ამ მიმართულებით იმუშაოს.
<u>ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- „შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის“ დოკუმენტი.
- 2023–2024 სასკოლო სასწავლო გეგმა
- საშუალო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;

სკოლის მიერ საგნობრივი მიმართულებით წარმოდგენილი სასწავლო პროცესი მტკიცებულებებზე დაფუძნებით გვაფიქრებინებს, რომ სკოლაში შექმნილია პოზიტიური და ნდობაზე დაფუძნებული გარემო, რომლის დასტურად მოიაზრება მასწავლებლებისა და მოსწავლეების მიერ ერთობლივად დაგეგმილი აქტივობები, რომელშიც მოსწავლე არის სუბიექტი და არა ობიექტი. გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, საჭიროებანი; ასევე უზრუნველყოფილია გლობალური ფუნქციურ-კომპონენტური უნარების გამომუშავების ხელშეწყობა, რაც კათედრაზე კომპლექსური დავალებების სწავლებითაა შესაძლებელი და სკოლის მიერ შემუშავებული „მოსწავლის ინიციატივების მხარდამჭერი მექანიზმის“ დოკუმენტიდან ამოიცნობა. ასევე სკოლაში შექმნილი პოზიტიური გარემო, თანამშრომლობითი კულტურა, მიმღებლობა და ღიაობა, სასკოლო საზოგადოებას ჰარმონიულად განვითარების საშუალებას აძლევს. მასწავლებლები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

საუბრობენ პრობლემაზე ორიენტირებული კომუნიკაციის პრაქტიკასა და გაზიარებული პასუხისმგებლობებზე, რომ ნებისმიერ მასწავლებელს საშუალება აქვს ისარგებლოს სასწავლო პროცესისაგან თავისუფალი ფართით ან საერთო სარგებლობის სივრცეებით ნებისმიერ დროს, რათა განახორციელოს მისი ინიციატივები. სასწავლო პროცესთან დაკავშირებული კითხვებისთვის ყველას ეძლევა საკმარისი დრო როგორც პედსაბჭოზე, ასევე შეუზღუდავად შეუძლიათ პირადი საუბრები და შეხვედრები როგორც დირექციასთან, ასევე კოლეგებთან. ამისათვის მათ აქვთ ფართი, მუდმივი ინტერნეტი და ნებისმიერი სასკოლო რესურსი. კათედრებზე გეგმავენ, მომავალი სასწავლო წლიდან მოსწავლეთა სწავლებისას დიფერენცირებული მიდგომების უკეთ გასათვალისწინებლად კომპლექსურ დავალებაშივე ჩაშენდეს დავალებები საშუალო და სუსტი მზაობის მოსწავლეებისათვის. პედაგოგებთან გასაუბრების დროსაც იგრძნობოდა მხარდაჭერა, ერთიანობა და გუნდურობა. სკოლაში ხდება სსსმ მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინება. სასწავლო პროცესში შექმნილია მიმღებლობითი და მხარდამჭერი გარემო.

ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.

ინდიკატორი 2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;

სკოლის მიერ მოსწავლის შედეგებზე დაკვირვებით, შესაძლოა ვიფიქროთ, რომ ორიენტირებულია მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე. მასწავლებელი კომპლექსური დავალებების დანერგვით უზრუნველყოფს მოსწავლეთა თანაბარ ჩართულობას სასწავლო პროცესში. თუმცა მნიშვნელოვან ასპექტებადაა დასახული მოსწავლის საჭიროებების მუდმივი მონიტორინგი. ეს შეიძლება იყოს ფორმალური თუ არაფორმალური, შემაჯამებელი თუ განმავითარებელი, დაკვირვებაზე დაფუძნებული, პორთფოლიოების, რუბრიკების და სხვა მიმართულებით მუშაობა. სკოლას სასწავლო პროცესში მოსწავლეზე ორიენტირების უზრუნველსაყოფად ასევე გააჩნია „მოსწავლის ინიციატივების მხარდამჭერი მექანიზმის“ დოკუმენტი.

საშუალო საფეხურზე წარმოდგენილი საგნობრივ კურიკულუმის ჩარჩოში შერჩეული კომპლექსური დავალებები უზრუნველყოფენ მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს, სადაც წამყვანია მოსწავლის ავტონომიურობა, არჩევანი, წინარე გამოცდილება და თვითრეგულაცია. მასწავლებლები ორიენტირებულები არიან მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე. კურიკულუმის ჩარჩოებში განსაზღვრულია თემები, თემის ფარგლებში შერჩეული საკითხები, კომპლექსური დავალებები, რომელთა გაწერა სექტემბრამდე იგეგმება შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად. საჭიროების შემთხვევაში სკოლა შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს, წაახალისებს ინტეგრირებულ გაკვეთილებს და პროექტებში მონაწილეობას. სკოლას აქვს მზაობა პროცესი წარიმართოს მოსწავლეზე ორინეტირებულად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.

ინდიკატორი 3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;

სკოლის საქმიანობა ეფუძნება თანამშრომლობით კულტურას, რაც გამოიხატა სკოლის საგნობრივი კათედრების მიერ ერთობლივად შემუშავებული სასკოლო კურიკულუმებით. იგი გულისხმობს როგორც კურიკულუმების ჩარჩოს შემუშავების, ისე კურიკულუმის განხორციელების პროცესში მასწავლებლების მიერ სამუშაო შეხვედრათა დაორგანიზებას. სკოლა აცნობიერებს, რომ თანამშრომლობა და გუნდურობა ამ მრავალფეროვნებას აქცევს მნიშვნელოვან პლატფორმად მოსწავლეზე ორიენტირებული გადაწყვეტილებების მისაღებად, რის საუკეთესო პრაქტიკა ინტეგრირებული გაკვეთილები, კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტი, ურთიერთდასწრება და უკუკავშირი, რესურსების ერთობლივად შექმნა, ურთიერთსწავლება და საგნობრივი შეხვედრების სასწავლო პროცესში რეალიზებაა.

ხდება მასწავლებელთა შეხვედრები, პრაქტიკის გაზიარება, სიახლეების დანერგვა. სამომავლოდ სკოლა გეგმავს სასკოლო თემის გააქტიურებას და ჩართვას სკოლის განვითარებაში. გეგმავენ, რომ მასწავლებელთა შეხვედრები იყოს უფრო ხშირი და შინაარსობრივი, პროდუქტიული. სკოლის ფარგლებში თანამშრომლობითი კულტურის შესახებ წარმოდგენას გვიქმნის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისათვის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმა ,რომელშიც ჩართულია პედაგოგები ყველა საგნობრივი კათედრიდან. წარმართულ ინტერვიუებზე გამოჩნდა კათედრის წევრების ურთიერთთანამშრომლობა და კომუნიკაცია სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და ხარისხის გაუმჯობესების კუთხით.

ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

ინდიკატორი 4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე

მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის დამოკიდებულება საკლასო ატმოსფეროს ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტია. სკოლაში მიაჩნიათ, რომ შექმნილი სასწავლო გარემო ორიენტირებულია მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე, შექმნილია პოზიტიური გარემო და უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე. მასწავლებლები იყენებენ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

შინაგანი და გარეგანი მოტივაციის ამაღლების სხვადასხვა ხერხებს, გამჭვირვალე განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასების რუბრიკებს, მოსწავლეთათვის მიცემულ პოზიტიურ უკუკავშირს და ა.შ. თავიანთი სწავლებით და დადებითი მაგალითებით მოსწავლეებს უღვივებენ ცოდნის დაუფლების წყურვილს. სასწავლო პროცესი არის არა მოსაწყენი და რუტინული სამუშაო, არამედ ცოცხალი, ხალისიანი, საინტერესო და ახალი ცოდნის მიღებაზე ორიენტირებული. სკოლაში ყველა მოსწავლეს აქვს კითხვაზე პასუხის გაცემისა და დისკუსიაში მონაწილეობის თანაბარი შესაძლებლობა; მოსწავლეთა ნაშრომების შეფასებისას სკოლის მასწავლებლები იყენებენ ობიექტურ კრიტერიუმებს, დიდ ყურადღებას უთმობენ იმას, თუ რა პრინციპით ახდენენ მოსწავლეთა წახალისებას. სკოლაში დაცულია სისუფთავე და სანიტარული ნორმები. მომავალში გეგმავენ სასკოლო და საკლასო გარემოს გაუმჯობესებაში მოსწავლეებმაც მიიღონ მონაწილეობა. ეს გამოიწვევს სასკოლო პროცესებში მათ ჩართულობას და საკუთრების განცდას, რაც, თავის მხრივ, გარემოსა და მოსწავლეთა განწყობებს გააუმჯობესებს. ხოლო მოსწავლეების განსაზღვრული უფლებამოსილებების მინიჭება, აქტივობებში ჩართვა ხელს შეუწყობს სასკოლო და საკლასო გარემოს მიმართ მათი პასუხისმგებლობის გრძნობის გაღრმავებას. სამომავლოდ ფიქრობენ არაფორმალურ განათლებას მეტი დრო დაუთმონ და განავითარონ - შექმნან კლუბები, აქტიურად გამოეხმაურონ მსოფლიო კალენდარს და მეტ დროს დაუთმობენ არაფორმალურ განათლებას.

ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება,

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- „მოსწავლის ინიციატივების მხარდამჭერი მექანიზმის“ დოკუმენტი
- ინდ ჯგუფის სხდომის ოქმებში (ოქმი N1, N2, ნ3)
- პედსაბჭოს სხდომის ოქმი N5
- „სსსმ მოსწავლისათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციის“ დოკუმენტი.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

■ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;

სკოლას საშუალო საფეხურზე გააზრებული აქვს, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმა კურიკულუმს განიხილავს, როგორც ინსტრუმენტს ხარისხიანი სასწავლო პროცესის წარმართვისთვის. შესაბამისად, იგი ფიქრობს, რომ კურიკულუმი არ არის ისეთი დოკუმენტი, რომელიც ერთხელ უნდა შეიქმნას და გამოიყენებოდეს მუდმივად უცვლელი სახით. კურიკულუმის შექმნა დანერგვა ციკლური პროცესია და ამ პროცესში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მიმდინარე პროცესის მონიტორინგისა და შეფასების კომპონენტს. მონიტორინგი საშუალებას იძლევა მოგროვდეს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ მიმდინარეობს კურიკულუმის დანერგვის პროცესი. გამოვლინდეს მისი დადებითი მხარეები და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

გამოწვევები. მოიკრიბოს ობიექტური მონაცემები პროცესის შეფასებისთვის. შეიძლება ითქვას, რომ სკოლას სწორად აქვს დანახული ობიექტური სურათის წარმოსაჩენად ეფექტური მეთოდოლოგიის შექმნის საჭიროება, რის შესაბამისად მას შექმნილი აქვს „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის“ დოკუმენტი. დოკუმენტის მიზანი სწავლის ხარისხის მონიტორინგი და სრულყოფა, აკადემიური და პოტენციალის ეფექტურად გამოყენება და მათი განვითარების ხელშეწყობაა.

სკოლამ წარმოადგინა სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, სადაც არსებული ჩანაწერიდან დგინდება, რომ სასკოლო კურიკულუმის განვითარება უწყვეტი პროცესია. ის გულისხმობს შემდეგი ფაზების ყოველწლიურ მონაცვლეობას: ა) კურიკულუმი შემუშავება; ბ) დანერგვა; გ) დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება; დ) გადასინჯვა და რევიზია.სკოლას გაწერილი აქვს დეტალურად თუ როგორ უნდა განხორციელდეს მონიტორინგი და შეფასება და რომელ პრინციპებს უნდა დაეყრდნოს. დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება კურიკულუმის განვითარების პროცესის განუყოფელი ნაწილია იმის აღწერა, თუ: - რამდენად მიმდინარეობს პროცესები დაგეგმილი ჩარჩოს ფარგლებში (მონიტორინგი); - რამდენად მოაქვს დაგეგმილ აქტივობებს სასურველი შედეგი (შეფასება)? სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი უშუალოდ ერწყმის სასწავლო პროცესს და ასოცირდება კათედრის წევრებისა და დირექციის ინტენსიურ თანამშრომლობასთან. კვლევა და შეფასება ტარდება დაგეგმვის ეტაპზე შეთანხმებული ფორმატით (ვადები, ინსტრუმენტები) და წარიმართება სამი მიმართულებით: - მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად; - სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიული განვითარება (პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისთვის და გამოვლენილი პრობელების გადაჭრისთვის); - სკოლის ინსტიტუციური განვითარება (სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი პროცესების გაძლიერებისთვის) სკოლას აქვს მზაობა მონიტორინგი და შეფასება განახორციელოს განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად. ***ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.***

ინდიკატორი 2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;

სასწავლო პროცესში ხარისხის უზრუნველყოფისთვის მნიშვნელოვანია სკოლას ჰქონდეს შემუშავებული სკოლაში მიმდინარე პროცესების მონიტორინგისა და შეფასების გამართული, სრულყოფილი მექანიზმი, რაც ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას, რაც გულისხმობს მიღწევების ანალიზს, წარსულ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

გამოცდილებაზე დაფუძნებულ დაგეგმვას, ანალიზი ახალი შესაძლებლობებისათვის და სხვა. ამ მიზნით სკოლას ჰყავს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდამჭერი ჯგუფი. ეს ყოველივე გაწერილი აქვს „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის“ დოკუმენტში, სადაც მკაფიოა მონიტორინგის განხორციელებისას განსაზღვრული ანგარიშვალდებულებები, დაგეგმილი მიზნის მიღწევის მექანიზმები და საშუალებები.

ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

ინდიკატორი 3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

სკოლის მიერ წარმოდგენილია დოკუმენტი “სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია”, სადაც დეტალურადაა გაწერილი ფუნქციები, პასუხისმგებლობები სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის; განსაზღვრულია სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში მონაწილეობის ფორმები - ფუნქციებსა და პასუხისმგებლობებს შორის, რომლებიც სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში გამოიკვეთება ზოგიერთი თანხვედრაშია სასკოლო საზოგადოების წევრების ყოველდღიურ საქმიანობასთან, ზოგიერთი კი - მათ დირექტორის სპეციალური ბრძანებით დაევალებათ. მოხდება აღწერა, თუ: - რამდენად მიმდინარეობს პროცესები დაგეგმილი ჩარჩოს ფარგლებში (მონიტორინგი); - რამდენად მოაქვს დაგეგმილ აქტივობებს სასურველი შედეგი (შეფასება)?. კვლევა და შეფასება ჩატარდება დაგეგმვის ეტაპზე შეთანხმებული ფორმატით. მოხდება მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად; - სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიული განვითარება (პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისთვის და გამოვლენილი პრობელების გადაჭრისთვის); - სკოლის ინსტიტუციური განვითარება (სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი პროცესების გაძლიერებისთვის) აღნიშნული დოკუმენტაციის ანალიზიდან შეგვიძლია დავადგინოთ , რომ სკოლაში კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის“ დოკუმენტი,
- სამიზნე ცნებებზე ორიენტირებული განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1.ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2.შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3.შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4.შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;

წარმოდგენილი მტკიცებულებებისა და გასაუბრების შედეგად მკაფიო გახდა, რომ სკოლას საშუალო საფეხურზე აქვს მონიტორინგისა და შეფასების ერთიანი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს ასევე სასწავლო პროცესის შეფასების ჰოლისტურ ხასიათს. არსებული პრაქტიკის შესაბამისად, სასწავლო პროცესის შეფასებისთვის გამოყენებულია მრავალფეროვანი წყაროები. კერძოდ, მასწავლებლები, კათედრის ხელმძღვანელი, კლასის დამრიგებლები, სემესტრის ბოლოს სასწავლო წლის ბოლოს გაწეული მუშაობის ანგარიში, რომლის საფუძველზეც მზადდება დირექტორისა და დირექტორის მოადგილეების ანგარიშები. ანგარიშზე დაყრდნობით კი ყალიბდება რეკომენდაციები. სამომავლოდ ფიქრობენ, რომ სასწავლო პროცესის შეფასება დაეყრდნობა როგორც მასწავლებელთა თვითშეფასებას, ასევე მოსწავლეთა და ხარისხის განვითარებისა თუ პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფების უკუკავშირებს.

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტში "სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია " განსაზღვრულია მონიტორინგი და შეფასება სამი მიმართულებით. მოცემული ინსტრუმენტებიდან გამომდინარე, სასწავლო პროცესის შეფასებისას ხდება მოსწავლეთა დიაგნოსტირების გზით პროგრესის გაზომვა. ასევე იგეგმება და მეთოდოლოგიური დოკუმენტით განსაზღვრულია კომპლექსური დავალებების და კურიკულუმების შეფასება.რაც ადასტურებს , რომ სკოლას აქვს მზაობა შეფასება დაეყრდნოსმრავალფეროვან წყაროებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს ისაუბრეს შეფასების სისტემის გაუმჯობესების გზებზე. ისინი გეგმავენ გამოიყენონ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. ასევე მოსწავლის თვითშეფასების და ურთიერთშეფასების რუბრიკაც. აპირებენ მომავალშიც გამოიყენონ ეს გამოცდილება. მასწავლებლები კათედრაზე განიხილავენ სხვადასხვა კლასებში ჩატარებული კომპლექსური დავალების შედეგებს და იმსჯელებენ თუ როგორ ხდება შუალედური მიზნების განხორციელებით გრძელ ვადიან მიზანზე ორიენტირება. ***ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.***

ინდიკატორი 2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;

სკოლის მიერ წარმოდგენილ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების დოკუმენტში გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები მოსწავლეებზე დაკვირვებას ახორციელებენ სხვადასხვა სიტუაციაში, იქნება ეს სასკოლო თუ არასასკოლო გარემო: სასკოლო ექსკურსიები, შემეცნებითი გასვლები, სხვადასხვა წრეებში ჩართულობა და სხვა, რადგან მოსწავლეთა შესწავლა სხვადასხვა კონტექსტში აუცილებელია სრულყოფილი შეფასებისათვის. სკოლაში ეს ხორციელდება სხვადასხვა ფორმებით: შემაჯამებელი დავალების კომპონენტში სავალდებულოა კომპლექსური, კონტექსტის მქონე დავალებების გამოყენება. როგორც ვხედავთ მასწავლებლებს აქვთ სამომავლო ხედვა რომ პედაგოგიური პარაქტიკის კვლევისას, რომლის მიზანია შეისწავლოს რამდენად ეფექტურია მისი შემუშავებული ინტერვენცია სწავლის შედეგების თვალსაზრისით, გათვალისწინებულია მრავალი კონტექსტი. ეს კონტექსტები არის : კლასის კლიმატი, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება, სწავლის პერიოდი, თემა, საკითხი, მოსწვალეთა ინტერესები და ა.შ. დასკვნის მართებულობას სწორედ ეს მრავალი კონტექსტიდან დანახული სიტუაცია უზრუნველყოფს.

როგორც ინტერვიუდან ჩანს, შეფასებისას გამოიყენება მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვან მეთოდები: მასწავლებლის პირადი ჩანაწერები, განმავითარებელი/განმსაზღვრელი შეფასებები, მოსწავლის განვითარების დინამიკაზე დაკვირვებას, მოსწავლეთა თვითშეფასება, უკუკავშირი, გასასვლელი ბილეთი და სხვა.

ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.

ინდიკატორი 3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;

კურიკულუმის შეფასების პროცესში სკოლა იყენებს მონაცემთა შეგროვების შემდეგ მეთოდებს, როგორებიცაა: რაოდენობრივი და თვისობრივი კვლევები, რომელშიც ჩართული არიან ძირითადად მოსწავლეები და მასწავლებლები. საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვება, მოსწავლეთა უკუკავშირი, მშობელთა უკუკავშირი, პედაგოგთა სამუშაო შეხვედრებზე განხორციელებული აქტივობების ანალიზი, მოსწავლეთა ნამუშევრების (შემაჯამებელი წერების,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

კომპლექსური დავალებების და სხვა.) ანალიზი, რაც ადასტურებს, რომ სკოლა საშუალო საფეხურზე შეფასებისას იყენებს მონაცემთა შეგროვების სხვადასხვა მეთოდს.

სკოლა გეგმავს გამოიყენოს სადიაგნოსტიკო შეფასების პირველი ინსტრუმენტი. ასევე შექმნას და გამოიყენოს განმსაზღვრელ/განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლის მიხედვითაც შეძლებენ დაადგინონ მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებები, რაც უზრუველყოფს მოსწავლეთა ჰოლისტურ შეფასებას. მასწავლებლები ახდენსენ მონაცემების მიზნობრივ შეგროვებას და ამ მონაცემების ანალიზს. მასწავლებლები თანამშრომლობენ მშობლებთან და კლასის დამრიგებლებთან. მათი დახმარებით ადგენენ მოსწავლეების ინტერესების სფეროს, გამოკვეთენ მათ ძლიერ და სუსტ მხარეებს, რისი საშუალებითაც ექმნებათ სრული წარმოდგენა მოსწავლეების შესახებ.
ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.

ინდიკატორი 4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

მნიშვნელოვანია, რომ შეფასებისას საჭიროა სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინება: გარემო, დროის მენეჯმენტი, რესურსები, ფსიქო-ემოციური ფონი, მოსწავლეთა უნარებისა და ინტერესების გამოკვეთა. სკოლა ფიქრობს, წინასწარ შემუშავებულ შეფასების კრიტერიუმებზე დაყრდნობით, სამომავლოდ შექმნას შეფასების ერთიანი ბაზა, სადაც შეგროვდება მონაცემები და დაიგეგმება ინტერვენციები პროგრესის მისაღწევად, რაც საშუალო საფეხურის შედეგებისათვის უმნიშვნელოვანესია. გასათვალისწინებელია, რომ მის სასწავლო სიტუაციაზე, გარემოებაზე გავლენას ახდენს, არა მხოლოდ უშუალო გარემომცველი მიკროსისტემა, არამედ ფაქტორთა მთელი რიგი სხვადასხვა სისტემებიდან, იქნება ეს მეზო, ეგზო, მაკრო, თუ სხვა.
სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში "სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია" ასახულია რომ შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით. მოსწავლეთა შეფასების, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების და კურიკულუმის განვითარების მიზნით. სკოლა გეგმავს მათ მიერ შემუშავებული შეფასების სისტემა მორგებული იყოს მოსწავლეთა ინტერესებზე, შესაძლებლობებზე, საჭიროებებზე, რესურსებს წვდომასა და სხვა ფაქტორებზე. შესაბამისად სკოლას აქვს მზაობა შეფასება განახორციელოს სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. ***ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.***

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

- „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის“ დოკუმენტი.
- სამიზნე ცნებებზე ორიენტირებული განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტი
- სამიზნე ცნებებზე ორიენტირებული განმსაზღვრელი შეფასების ინსტრუმენტი.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

■ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1.იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;

2.კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ინდიკატორი 1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;

სკოლა ჩართულია ზოგადი განათლების რეფორმირების პროცესში და სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისას მუდმივად ღებულობს საგნობრივი ექსპერტებისა და ავტორიზაციის პროცესებში მხარდამჭერი ჯგუფის რეკომენდაციებს. სკოლაში ვიზიტისას გამოიკვეთა, რომ შეფასების შედეგებს გამოიყენებს არსებულ კურიკულუმში ცვლილებების შეტანის მიზნით. იმისთვის, რომ ეს ცვლილებები იყოს შედეგიანი და რეალურად გააუმჯობესოს სასწავლო პროცესის ხარისხი, მნიშვნელოვანი სამუშაოს შესრულება მოუწევს სკოლაში შექმნილ პროფესიული განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფს. აღნიშნული ჯგუფი საგნობრივ კათედრებთან თანამშრომლობით განხორციელებული შეფასების საფუძველზე დაადგენს იმ საჭიროებებს, რომელთა გადაჭრა არსებითად გააუმჯობესებს სასწავლო პროცესს. ამ მიმართულებით ისინი ფიქრობენ, რომ შეიქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი, სადაც გათვალისწინებული იქნება დაგროვებული გამოცდილება, SWOT ანალიზი, ჩატარებული გაკვეთილის, კომპლექსური დავალების, პროექტის რეფლექსიები.

მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის შემუშავებისათვის სარეკომენდაციო პაკეტი იქმნება რამდენიმე კომპონენტზე დაყრდნობით, რაც დეტალურადაა გაწერილი სკოლის მიერ შემოთავაზებული დოკუმენტის ფარგლებში. აღნიშნული კომპონენტებია, კათედრული მუშაობა, მოსწავლეთა ჩართულობის გაანალიზება, მოსწავლეთა შეფასებებზე დაკვირვება და პროგრესის დიაგნოსტირება, ასევე დირექციის ჩართულობა პროცესში. აღნიშნული დოკუმენტაციის ანალიზიდან და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის წევრებთან გასაუბრებიდან გამომდინარე გამოიკვეთა, რომ სკოლას აქვს მზაობა კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო პაკეტის მიხედვით განახორციელოს პროცესი. სარეკომენდაციო პაკეტს მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმების გადასამუშავებლად და სკოლის ერთწლიანი სასკოლო სასწავლო გეგმის გასაახლებლად. ***ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.***

ინდიკატორი 2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

სკოლა გეგმავს, რომ მონიტორინგისა და შეფასების შედეგები გაანალიზებული და გამოყენებული იყოს კურიკულუმის რევიზიის პროცესში. ახალი კურიკულუმი შედგეს იმ საჭიროებების გათვალისწინებით, რაც გამოავლინა შეფასებამ. საბოლოოდ კურიკულუმს მიეცემა დოკუმენტის სახე, რომელშიც დეტალურად იქნება გაწერილი, სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების ყველა ეტაპზე პასუხისმგებელი პირები და მათი ფუნქცია – მოვალეობანი. ხედვა, განხორციელდეს მონიტორინგი და შეფასდეს შედეგები, სკოლას „კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების კურიკულუმის რევიზია ეყრდნობა წინარე გამოცდილებას. დოკუმენტის მიხედვით სკოლის ფარგლებში კურიკულუმის გადამუშავება ხორციელდება საგნობრივ კათედრებზე, სადაც პედაგოგთა ჯგუფი ხელმძღვანელობს რამდენიმე ფაქტორის გათვალისწინებით. განიხილება მოსწავლეთა ჩართულობის ხარისხი სასწავლო პროცესში, ასევე მოსწავლეთა შედეგებზე დაკვირვებით დგინდება კურიკულუმით განსაზღვრულმა საგანმანათლებლო აქტივობებმა რამდენად გამოიწვია მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესება. მშობელთა ჩართულობის ხარისხის გაანალიზება და ასევე მათი ინფორმირების მექანიზმების ეფექტურობის შეფასება.აღნიშნული დოკუმენტიდან და გასაუბრებიდან დგინდება, რომ კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია დაეფუძნება წინარე გამოცდილებას და გათვალისწინებული იქნება მონიტორინგისა და შეფასების შედეგები. ***ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.***

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

- [x] შეესაბამება
- [ ] მეტწილად შეესაბამება
- [ ] ნაწილობრივ შეესაბამება
- [ ] არ შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საშუალო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო;
- „მშობელთან ურთიერთობის დებულების“ დოკუმენტი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

- პედსაბჭოს სხდომის ოქმი N 5;
- 2023–2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა.
- „კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის“ დოკუმენტში;
- პედსაბჭოს ოქმი N 2;
- „მოსწავლეთა ინტერესების მხარდამჭერი მექანიზმების“ დოკუმენტი.

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....
.....
.....
.....

16.08.2023
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------